# საარბიტრო

სპორტული გაზეთი | შაბათი 19 აგვისტო 2000 №159 (1181) | ფასი 50 თეთრი


2

**რევაზ არველაძე: გმადლობთ, ძმებო. ჩვენ ჩემპიონები გავხდებით!**

„დინამო“ ხელისმომკიდეს სამშაბათს ელის

4

**აფხაზავადან ჯანაშიამდე**

ყველა უმაღლესლიგელის ასაკი, წონა და სიმაღლე

6

**100 ათასი გირვანქა ჩელსიზე**

CARLING F.A. PREMIERSHIP

დღეს პრემიერლიგა იწყება

# რატიანი ისევ პატიმარია

## ყველაფერი კარგად იყო... ცუდად დამთავრდა

**გუშინ** კრწანისი-მთაწმინდის სასამართლომ განიხილა ადვოკატ ზურაბ როსტიაშვილის შუამდგომლობა თბილისის „დინამოს“ დაპატიმრებულ პრეზიდენტ მერაბ რატიანისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის თაობაზე.

4 საათისთვის სასამართლოს შენობასთან, ლესელიძის ქუჩაზე, უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. რატიანის ოჯახი, საახლობლო, „დინამოს“ წევრები, ჟურნალისტები, კლუბის ქომაგებიც შეკრებილიყვნენ და მოსამართლე მამუკა სონღულაშვილის გადაწყვეტილებას დაახლოებით ორ საათს ელოდნენ.

განაჩენი უცვლელი დარჩა, სასამართლომ ადვოკატ როსტიაშვილის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა სათანადო მტკიცებულებების უქონლობის გამო. არადა...

იხილეთ მეორე გვერდი



გუშინ კრწანისი-მთაწმინდის სასამართლოსთან: მერაბ რატიანის ახლობლები მართლმსაჯულების გადაწყვეტილებას ელიან

# სეკვესტრი

## რას მოგვიტანს მეთორმეტე ზე-12?

დღეს საქართველოს ჩემპიონატი მეთორმეტედ დაიწყება, ამჯერად ახალებური ფორმულით და გუნდების შემცირებული რაოდენობით. დღეს წინა ჩემპიონატის პრიზიორებს დააჯილდოვებენ. დღეს „დინამოს“ ახალი თავკაცის, რევაზ არველაძის სამწვრთნელო დებიუტია. უფროსი არველაძე დაიქადნა, ჩვენ უეჭველად ჩემპიონები გავხდებითო. დღეს, 19 საათიდან იწყება...



ზარმანდელი თსუ — „დინამო“: მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა...

**საქართველოს ჩემპიონატი 12 უმაღლესი ლიგა**

**პირველი წრე**

**1 ტური**

19 აგვისტო, შაბათი

| | |
|---|---|
| დილა | ვიტ ჯორჯია |
| მერანი | კოლხეთი |
| იბერია | ლოკომოტივი |
| გორდა | ბათუმი |
| თსუ | დინამო |
| ტორპედო | სიონი |



# რედონდო!

## გაყიდული და აღზევებული

UEFA CHAMPIONS LEAGUE

მადრიდის „რეალის“ ყოფილი ნახევარმცველი, არგენტინელი ფერნანდო რედონდო ჩემპიონთა ლიგის წინა გათამაშების საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. უეფამ გამოკითხა ტურნირის მონაწილე 32 გუნდის მწვრთნელი.

31 წლის რედონდომ მართლაც ჩინებულად ითამაშა და დიდი წვლილი შეიტანა ჩემპიონთა თასის მოპოვებაში. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო მისი ფანტასტიკური ფინტი „ოლდ ტრეფორდზე“, რომელსაც „მანჩესტერ იუნაიტედის“ კარში მეორე გოლი მოჰყვა.

ივლისში რედონდო 17 მილიონ დოლარად „მილანმა“ იყიდა. როგორც ამბობენ, ამ ტრანსფერით „რეალმა“ ძალიან ბევრი დაკარგა.

# რატიანი ისევ პატიმარია

## ყველაფერი კარგად იყო... ცუდად დამთავრდა

დასაწყისი პირველ გვერდზე

სასამართლომ გადაწყვეტილება ისე მიიღო, თავად პატიმარი არ დაისწრეს, რადგან ადვოკატმა სასამართლოში სამი დღით ადრე რატიანის საქმის ხელახლა გარჩევაზე დასწრების განაცხადი ვერ წარადგინა. „დინამოს“ პრეზიდენტი იზოლიატორში დატოვეს.

სასამართლოს თავმჯდომარე, გამომძიებელი, პროკურორი და ადვოკატი, როგორც ვთქვით, დაახლოებით ორი საათით განმარტოვდნენ და სონღულაშვილის კაბინეტში როსტიაშვილის შუამდგომლობის განხილვა დაიწყეს. მერე კარი გაიღო, ადვოკატმა კეისი დახურა, მომღიმარი სახით დერეფანში გამოვიდა. მას მომლოდინენი მისცვივდნენ.

— მგონი, ყველაფერი კარგადაა. ბითაროვის წერილი ქვას ხეთქავს. ჩემი სიტყვების საწინააღმდეგო ვერავინ ვერაფერი თქვა — ხმამაღლა განაცხადა როსტიაშვილმა. რატიანის ოჯახის წევრებს სახეები გაუნათდათ, ერთმანეთს გადაეხვივნენ, პატიმრის მცირეწლოვანი ქალიშვილებიც სიხარულით აქეთ-იქით დახტოდნენ.

კაბინეტიდან ქაღალდების დასტით გამომძიებელი გამოვიდა, მოსამართლე გადაწყვეტილებას პირველ დარბაზში წაიკითხავს, იქ შებრძანდითო. ხალხი ცქმუტავს, რატიანის განთავისუფლების მოლოდინში არიან, ადვოკატის სიტყვების მერე თითქმის დარწმუნებულნიც, რომ ერთ-ორ საათში პატიმარს გაათავისუფლებენ.

შინდისფერმანტიიანი მამუკა სონღულაშვილი დარბაზში შემოდის. ფურცელს ისწორებს და გადაწყვეტილებას კითხულობს... პირველივე სიტყვების შემდეგ ყველაფერი ცხადია, ბოლო წინადადება კი ასეთია — შესაბამისი მტკიცებულებების არქონის გამო ადვოკატ როსტიაშვილის შუამდგომლობა არ არის დაკმაყოფილებული. გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება საოლქო სასამართლოში.

სონღულაშვილმა დამსწრეთ თავი დაუკრა და კარი მიიხურა. ორიოდ წუთის წინ ანთებული იმედიანი თვალები ჩაქრა, ყველანი ერთმანეთს ამშვიდებდნენ, იყო ცრემლებიც.

როსტიაშვილი სკამიდან მძიმედ წამოდგა, რაღაც ჩაინიშნა და კვლავ ხმამაღლა განაცხადა, გამოძიება ტენდენციური და არაობიექტურიაო და იქვე დაამატა, ამ გადაწყვეტილებას საოლქო სასამართლოში აუცილებლად გავასაჩივრებო. მან ისიც თქვა, რომ საოლქო სასამართლოს დიდი იმედიც არა აქვს.

— შესაბამისი მტკიცებულება არასაკმარისია და შემოწმებას საჭიროებსო, სასამართლოს გადაწყვეტილებაში წერია. ასე თუ იყო, ამდგარიყვნენ და გადაემოწმებინათ ჩემს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის სინამდვილე. გამოძიება არ არის დაინტერესებული, რომ რატიანი განთავისუფლდეს — თქვა ადვოკატმა, კეისი დაკეტა და...



მოსამართლე მამუკა სონღულაშვილი

**ქოგა ინასარიძე**

# გმადლობთ, ძმებო. ჩვენ ჩემპიონები გავხდებით!

## დინამო ხელისმომკიდეს სამშაბათს ელის



რეზო არველაძე და მერაბ მეტრეველი

**დღეს ეროვნული ჩემპიონატი იწყება. გუშინ ამასთან დაკავშირებით დიღმის ბაზაზე პრესკონფერენცია გაიმართა. ჟურნალისტთა კითხვების „დინამოს“ დროებითი საკოორდინაციო საბჭოს ერთ-ერთი წევრი, მერაბ მეტრეველი და კლუბის მთავარი მწვრთნელი რეზო არველაძე პასუხობდნენ. თავიდან „დინამოს“ კრიზისიდან გამოსაყვანად ჩატარებული ღონისძიებების შესახებ მერაბ მეტრეველმა ისაუბრა:**

— დროებითი საკოორდინაციო საბჭო „დინამოს“ გადარჩენა-შენარჩუნებისთვის შეიქმნა, სერიოზული სირთულეები იყო და ვფიქრობ, გარკვეულწილად სიტუაცია განვმუხტეთ. საბჭომ ფუნქციონირების დღიდან (1 აგვისტო) 20-მდე საკითხის ირგვლივ წარმართა მუშაობა. ძირითადი პუნქტები კლუბის რეგისტრაციაში გატარებას და ვალების რესტრუქტურიზაციას ეხებოდა. სამშაბათს ყველაფერი გადაწყდება. ძველ დამფუძნებლებს (სპორტკლუბ „დინამოს“ საბჭო და შპს „ბერმუხა“) შორის შეთანხმება მოხდა და ალბათ სწორედ ისინი დარჩებიან „დინამოს“ სათავეში. მეორე გზა, როგორც იცით, ტენდერია, მაგრამ ამის საჭიროებას ვერ ვხედავ, რადგან ფაქტობრივად შეთანხმება მიღწეულია. ასე რომ, რეგისტრაციის საკითხსაც წინ არაფერი უდგას, თუ დამფუძნებლები ერთ აზრზე იქნებიან (ეს ასეც იქნება), სასამართლოს უფლება არა აქვს, „დინამოს“ უარი უთხრას რეგისტრაციაზე. ასე რომ, ჩემის აზრით, საკოორდინაციო საბჭომ თავისი მისია პირნათლად შეასრულა, ახლა ყველაფერი დამოკიდებულია კლუბის დამფუძნებლებზე და იმ ორგანიზაციებზე, რომლებმაც ჩვენ ეს დავალება მოგვცა.

როგორც იცით, მე სახელმწიფო კომისიის წევრიც ვარ და ორიოდე სიტყვას „ეროვნულ“ სტადიონზეც ვიტყვი. ეს ნაგებობაც ალბათ ძველ დამფუძნებლებს, სტადიონის საკოორდინაციო საბჭოს დარჩება. ჩვენ მათ გარკვეულ გარანტიებს მოვთხოვთ და იმედი მაქვს, ისინი ამ მოთხოვნებს შეასრულებენ.

**— რა გარანტია გაქვთ, რომ ასე მოხდება?**

— სტადიონის ერთ-ერთი დამფუძნებელი ქალაქის მერიაა, რომელიც საკონტროლო პაკეტის 63,5 პროცენტს ფლობს. გარანტია ისაა, რომ მერია სახელმწიფო ორგანიზაციაა, თანაც არსებობს სახელმწიფოს მეთაურის საგანგებო დავალება რის საფუძველზეც მერიამ უნდა უზრუნველყოს სტადიონის განათება და მინდვრის საფარის მოწესრიგება.

**— ასეთი დავალება არაერთხელ მიუღია მერიას, მაგრამ ამ საკითხების მოწესრიგებაში წლების მანძილზე ინერტულობას იჩენდა...**

— რატომ? ვერ დაგეთანხმებით, მერიამ რაღაც-რაღაცეები გააკეთა. ჩემი ინფორმაციით, 500 ათასი ლარი აქვს გადარიცხული სტადიონის მოსაწესრიგებლად.

**— ნუ დავივიწყებთ, რომ მარტო განათებას 700 ათასი ლარი სჭირდება...**

— მერია მზად არის საამისოდ... სახელმწიფო კომისიის სხდომებს ორი ვიცე-პრემიერი ესწრებოდა და მათ უარი არ უთქვამთ სტადიონზე განათების მოწესრიგებაზე, თანაც თუ ეს მათ ძალებს აღემატება, მაშინ სახელმწიფო იზრუნებს პრობლემის მოგვარებაზე... რუმინეთის ნაკრებთან მატჩი თბილისში უნდა ჩატარდეს და იმედი მაქვს, იქამდე ყველაფერი მოესწრება.



გუშინდელი პრესკონფერენცია დიღმის ბაზაზე ღია ცის ქვეშ

**— დავუშვათ, „დინამოსთან“ დაკავშირებით დამფუძნებლები ვერ შეთანხმდნენ, მაშინ ტენდერი გარდაუვალია...**

— ტენდერი ასე ჩქარა ვერ ჩატარდება, უამრავი პროცესია გასარკვევი, სხვა თუ არაფერი, მოსაძებნია ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ჩვენს პირობებს ზედმიწევნით დააკმაყოფილებს, ამას კი წლები სჭირდება, მაგრამ ვიმეორებ, საქმის მსვლელობიდან გამომდინარე, ტენდერი არ იქნება საჭირო.

ამის შემდეგ სიტყვა *რეზო არველაძემ* აიღო და გუნდის მდგომარეობაზე ისაუბრა:

— „დინამოს“ მოსამზადებელ პროცესში ხელი არ შეშლია. ვარჯიში 17 ივნისს დავიწყეთ, ნაყოფიერი შეკრება გავიარეთ ქობულეთში. გუნდში ჩინებული განწყობაა. ეს იმითაცაა განპირობებული, რომ დროებითი საკოორდინაციო საბჭოს ძალისხმევით ბიჭებს ხელფასები სრულად გავუსტუმრეთ. მადლობელი ვარ ამ ხალხის, მადლობელი ვარ არჩილ და შოთა არველაძეებისაც, მათ უსასყიდლოდ გადმოგვცეს ბურთები და სპორტული ინვენტარი. ყველგან მხარდაჭერას ვგრძნობ. კატეგორიულად მოვითხოვე სიმყუდროვე ყოფილიყო ბაზაზე. შსს-მ საკუთრების დაცვის პოლიცია გამოყო და ამიერიდან აქ შემთხვევითი ხალხი ვერ მოხვდება. ნებართვის და საშვის გარეშე ჩიტიც ვერ შემოფრინდება ბაზაზე...

სანამ „მრეტების“ ვალის ნაწილს არ გადავიხდით, ტრანსფერებს ვერ განვახორციელებთ. ეს, რა თქმა უნდა, გვზღუდავს, მაგრამ რას ვიზამთ: ისე, ვინც ფიფას გადაწყვეტილებით განათხოვრებული გვყავდა ან დროებით ჩვენთან ვარჯიშობდა, მათზე უფლებები კვლავაც გვაქვს. ამიტომ ძველ შემადგენლობასთან ერთად ახალ სეზონში „დინამოში“ ყოფილი „თბილისელები“ ითამაშებენ, ჩვენთან არიან, გაღელია, კანდელაკი, ზამთარაძე, ბურდული. ახალგაზრდები — ნორაკიძე, ჩივაძე, მიკუჩაძე და გადაბაძე „დინამო-2“-ში ჩავრიცხეთ. ამ კლუბის ერთობ მეიმედება, მას ჯემალ ჩიმაკაძე წვრთნის და იგივე კონცეფციები აქვს, როგორც მე, ჩვენი შეხედულება თითქმის ერთნაირია. ასე რომ, ფარმ-კლუბიდან ფეხბურთელების გამოძახებისას პრობლემები არ გვექნება, მათ „დინამოს“ სათამაშო სტილთან მორგება არ გაუჭირდებათ... „ტორპედოში“ განათხოვრებულებიდან სიჭინავა დაგვიბრუნდება, გუჩუა კი ქუთაისურ კლუბში გააგრძელებს კარიერას, ისევე როგორც იოსებ გრიშიკაშვილი.

**— „დინამო“ რა მიზანს ისახავს?**

— უეჭველად ჩემპიონები გავხდებით, მაგრამ ამაზე მნიშვნელოვანი სხვა რამეა, ჩვენ უნდა შევქმნათ სტაბილური, ბრძოლისუნარიანი გუნდი, თორემ დღეს „დინამოს“ ათგზის ჩემპიონობა არავის ახსოვს. გუნდის აღორძინებაზე უნდა ვიზრუნოთ. ვფიქრობ, ამ პროცესს სამი წელი სჭირდება.

*რეზო არველაძეს ბათრაზ ბითაროვის ამასწინანდელ ინტერვიუზეც ვკითხეთ. მით უფრო, რომ „დინამო“ აშვეთიას დაბრუნებით ერთობ დაინტერესებულია.*

— ორ მხარეს შორის ოფიციალური კონტრაქტის გარდა, ჯენტლმენური შეთანხმებაც ხდება. არ ვიცი ბითაროვთან აშვეთია რაზეა შეთანხმებული, მაგრამ ჩვენ მისით დაინტერესებულნი ვართ. ასეც რომ არ იყოს, ქართველ ფეხბურთელს ყოველთვის დავიცავთ, რაც შეეხება აშვეთიას დისკვალიფიკაციას, მაქსიმუმი, რასაც შეიძლება ბითაროვმა მიაღწიოს ის არის, რომ ფეხბურთელი 1 ნოემბრამდე დაისაჯოს, სწორედ ამ დღეს უმთავრდება „ალანიასთან“ აშვეთიას კონტრაქტი, მერე კი ალბათ სატრანსფერო ვეტოსაც მოგვიხსნიან და ეგებ მიშამაც ჩვენთან ითამაშოს.

**ბაატა ძვანტალიანი**

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა 12
პირველი წრე

1 ტური
ანონსი

# სეკვესტრი

## რას მოგვიტანს მეთორმეტე ზე12?

დღეს საქართველოს მეთორმეტე ...ვნული, ახალფორმატიანი ჩემპი...ტი დაიწყება.

...ას მისცემს ქართულ ფეხბურთს ...ლესი ლიგის სეკვესტრი, წინასწ...ლი სათქმელია, მაგრამ ეს კი შე...ლია ვივარაუდოთ: რასაც ფედე...ცია ელის, არ მოხდება.

...ელი ზაფხულია, ჟურნალ-გაზეთე...დან თუ რადიო-ტელევიზიიდან გად...ცემული სიტყვა „სეკვესტრი" ყუ...ლამის სამართებელივით ჭრის. ზო...ს ჭცის, ზოგმა კი არა, რომ კუთ...ლ, დამამცირებელ ხელფასს არა...ველარ მიიღებს, აღარც დაჰპირ...ან.

...ცხადია, ერთია სახელმწიფო ბიუ...ის შემცირება, მეორე — საფეხ...ო ჩემპიონატის უმაღლეს ლი...ში მოთამაშე გუნდებისა. მაგრამ მს...ება მაინც დიდია და იმ ოთხი ...დის არაერთ მოთამაშეს, რომელიც ...ველ ლიგაში დაქვეითდა, ფედე...ციამ ისეთივე განაჩენი გამოუტანა, ...ორიც სახელმწიფომ საკუთარ მო...აქეებს.

...ერთმა დაგვიფაროს, ის ვთქვათ, ...ლეს ლიგას არავინ გამოაკლდე... მაგრამ თუ ასე იქნება, გავარდნილს ...ველიც უნდა ჰყავდეს. ჩვენში ...სხვაგვარად მოხდა: ფედერაციამ ...ბაშად, ცოტა ნაჩქარევად ოთხი ...ები მოკვეთა. არ უცდია მონაწი-ლე გუნდების ეტაპობრივად შემცირება, რათა გადაემოწმებინა, სწორი გზა აირჩია თუ არა ქართული ფეხბურთის გადასარჩენად.

უცხო სიტყვათა ლექსიკონში „სეკვესტრი" ორგვარადაა განმარტებული. ერთი მნიშვნელობა ჩვენმა ხელისუფლებამ კარგად დაგვასწავლა. სხვაგვარად, სამედიცინო ენაზე კი რაიმე ქსოვილის (ჩვეულებრივ, ძვლის) მკვდარ ნაწილს, რომელიც სალს მოსცილდა, სეკვესტრი ეწოდება.

ახლა ასე ვთქვათ, თუკი ის ნაწილი, რომელიც ფედერაციამ ნებით ჩამოაცილა დარჩენილს, მკვდარია, მაშ, სალი რომელიღაა?

განა შეიძლება, „ცრვენა ზვეზდასთან" 0:4, ანაც „ბეითართან" 0:3, ანდა, გნებავთ, „სლოვანთან" 0:2 წაგებულ და ჭაბუკ ლიეჟელებთან შერცხვენილთ სალი ნაწილები ეწოდოს.

ფედერაცია ვარაუდობდა, რომ გუნდების შემცირება ფეხბურთის დონეს აამაღლებდა, გადარჩენილ 12 გუნდში ფეხბურთელების და თანხების კონცენტრაციას მოახდენდა. ჯერჯერობით სახეირო პირი არც ერთ ვარაუდს უჩანს.

პირველ რიგში ფეხბურთელთა ამბავი ვიკითხოთ. როგორ გგონიათ, რამდენი გადაურჩა უმაღლესი ლიგიდან გავარდნას? იქნებ ფიქრობთ, ნახევარი, ანაც მეოთხედი. არაფერიც! უმაღლესი ლიგის 12 გუნდში მხოლოდ 13 ისეთი ფეხბურთელი იქნება, რომელთა შარშანდელ გუნდებსაც პირველ ლიგაში მოუწევთ თამაში.

ახლა პირველ ლიგაში რა ხდება, ამის თქმა ძალიან ადრეა. მაგრამ ერთი კია, უცხოეთში გასაქცევად გამზადებული იქაც ბევრია.

საქართველოს ჩემპიონატის დონე ყოველწლიურად ეცემა. ამის მიზეზი მაღალი კლასის ფეხბურთელთა შეუჩერებელი კლებაა. ვისაც კი წასვლის შანსი აქვს რუსეთსა თუ უკრაინაში, აზერბაიჯანსა თუ ბულგარეთში, საბერძნეთსა თუ, ვინ იცის, კიდევ სად ჯანდაბაში, ვის გაემტყუნება, ყველა მიდის.

წამსვლელთა წასვლის მიზან-მიზეზი, ცხადია, ფულია. ახლა ეს ვიკითხოთ, რა თანხის კონცენტრაცია მოხდა ამ ახალ ქართულ ზე-12-ში.

თავდაპირველი მოთხოვნით გუნდებს 10 ივლისამდე უნდა გადაეხადათ ჩემპიონატში სამონაწილეო 22 ათასი ლარი. ნაადრევი ვადა თითქოსდა მსაჯთა უკეთ მოსამზადებლად, მათთვის შეკრების მოსაწყობად იყო დათქმული.

თქვენც არ მომიკვდეთ, ამ კვირამდე „დინამოს" გარდა საწევროს გადახდა არავის უფიქრია. დარჩნენ მსაჯები მოუმზადებელნი.

შარშანდელი ჩემპიონატის სიკეთედ ფედერაცია დაძაბულობის ზრდას თვლიდა. ასეც იყო, მოიმატა დაძაბულობამ და იმედი აქვთ, წლეულს უარესი იქნებაო. ვერ დაეწევა, ფეხს ვერ აუწყობს ეს მოუმზადებელი მსაჯი დაძაბული მატჩის დაძაბულ მომენტს და ატყდება მერე ერთი ვაი-უშველებელი: ის, რაც მოხდა შარშან ხობში, რაც ხშირად მომხდარა ბოლნისში, ავჭალაში თუ სხვა ნებისმიერ ადგილას.

მარტო დაძაბულობა რა ბედენაა, ფეხბურთი ბოლოს და ბოლოს სათამაშო სახეობაა და არა საბრძოლო ხელოვნება.

მოიმატოს ფეხბურთელთა დონემ, მწვრთნელთა კვალიფიკაციამ, მოედნების, საწვრთნელი ბაზების მოვლა-პატრონობა შეიძლონ გუნდებმა და მერე ნახეთ დაძაბულობა, სრულიად ბუნებრივად, როგორი მოვიდეს.

ჩვენ ყოველთვის იმედიანად ვეგებებით ახალ სეზონს. ერთი სული გვაქვს, ჯერ როდის დაიწყება და, ყოველ დაწყებისას ძველი და ცუდი რომ მეორდება, როდის დამთავრდება. ზოგს ჰგონია, ჩემპიონატი ბოლო ტურში სრულდება. არადა, ნამდვილად ეროვნული პირველობის ბუნებრივი ფინიში ევროტურნირებზე ბაქი-ბუქით გასვლა და იქიდან ბრაგა-ბრუგით გამოვარდნაა. ეს წინასწარვე ცნობილი და არაზალი რამეაა. ამ ლოგიკით, დაწყება არც სჭირდება, ისეა დამთავრებული.

მაგრამ უიმედოდ მაინც როგორ გინდა იყო. ფედერაციამ ქნას (ღმერთს შევეშვათ), დაწყებისთანავე არ დასრულებულიყოს...

**ვახტანგ ბზიკაძე**

ქუთაისი. „ტორპედო". 19 აგვისტო. 19 საათი

### ტორპედო — სიონი

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი; ზ. დოლიძე, მ. ჟურუშაძე (ყველა თბილისი); დ. სანაია (სოხუმი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა

თბილისი. „სინათლე". 19 აგვისტო. 19 საათი

### მერანი — კოლხეთი

მსაჯები: კ. მქახი (ზუგდიდი); კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი); ლ. ფანიაშვილი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურმუნიში

გორი. „ცენტრალური". 19 აგვისტო. 19 საათი

### დილა — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ა. მუშკუდი; ზ. ხუციშვილი, ზ. მენთეშაშვილი (ყველა თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო

ხაშური. „კიკი ჯომართიძე". 19 აგვისტო. 19 საათი

### იბერია — ლოკომოტივი

მსაჯები: ა. შილაკაძე; მ. ელიკაშვილი, ს. შალამბერიძე (ყველა თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

რუსთავი. „ფოლადი". 19 აგვისტო. 19 საათი

### გორდა — ბათუმი

მსაჯები: პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); მ. მაისურაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: კ. ყრუაშვილი

მცხეთა. „არმაზი". 19 აგვისტო. 19 საათი

### თსუ — დინამო

მსაჯები: მ. მაღალურაძე; ლ. სილაგავა (ორივე თბილისი), ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძაწუკაშვილი

| | გასხვისებულები | ახალწვეულები | სეზონთშორისი |
|---|---|---|---|
| ტორპედო<br>*დავით ყიფიანი* | სომხიშვილი (მილანი), მაღლაკელიძე (კოლხეთი), გოგიაშვილი (თავისუფალი აგენტი) | გრიშიკაშვილი, გუჩუა, გაბიდაური (დინამო), ტოგონიძე, ზ. არჩვაძე (ბათუმი), ჩხაიძე (ლოკომოტივი), შალამბერიძე (კოლხეთი), მამალაძე (თბილისი) | სპარტაკი (ვარნა, ბულგარეთი) 1:0, ჩერნომორეცი (ბურგასი, ბულგარეთი) 0:2, 1:1, კალიაკრა (კავარნა, ბულგარეთი) 7:0, ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) 0:4, 2:0, თსუ 1:0, დილა 4:0, 2:0, ბათუმი 1:0 |
| ვიტ ჯორჯია<br>*სერგო კოტრიკაძე* | მამარდაშვილი, მორჩილაძე (თსუ), თოდუა (ლოკომოტივი) | სულთანიშვილი (დილა), მერლანი, დეკანოსიძე, ინწკირველი (თსუ), თაყაძე (შერიფი, მოლდოვა), ქილაძე (ს.ა. იბერია) | თსუ 0:1, ჭაბუკიანი 2:0, ზოოვეტი 4:0, ჰოჰენშამელნი 4:0, კოტბუსი 1:1, უნიონ ბერლინი 1:2, ჰანზა 0:1, ლიუბეკი 1:1, ზარაუ 7:1, ზანკტ პაული 1:3, ჰაილიგენჰაფენი (რჟავე გერმანია) 6:0, ცხუმი 7:1, ბეითარი (ისრაელი) 0:3 |
| დინამო<br>*რევაზ არველაძე* | ხიზანეიშვილი (სპარტაკი, რუსეთი), დიდავა, ნიტაიშვილი (მაკაბი, თ-ა, ისრაელი), გრიშიკაშვილი, გუჩუა, გაბიდაური (ტორპედო), ო. გველესიანი (ბათუმი), გ. შენგელია (ლოკომოტივი), მინაშვილი (მერანი), ხუციშვილი (?) | აშვეთია (ალანია, რუსეთი), კ. გოგოლაძე (სიონი), ხუჯაძე (ბათუმი), მაზიაშვილი (თსუ), თ. მაისურაძე (ინტერი), ბურდული, ბათიაშვილი, კანდელაკი, გადელია, ზამთარაძე (თბილისი) | შამქირი (აზერბაიჯანი) 1:1, სტანდარდი (ბელგია) 2:2, 1:1, მუქურა 2:0, ლოკომოტივი 1:0, 2:3, საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები 2:0 |
| ბათუმი<br>*ჯანი კარნევალი* | მ. მახარაძე (კარიერა დაასრულა), ხომერიკი (არაუ, შვეიცარია), ტოგონიძე, ზ. არჩვაძე (ტორპედო), მაჭუტაძე, თ. ტულუში (მუქურა), ხუჯაძე (დინამო), ჩლაიძე, თარგამაძე (?) | ო. გველესიანი (დინამო), ბ. შენგელია (სიონი), კ. მჟავანაძე (მუქურა), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი), ბედიაშვილი, ჩოხელი (გორდა), გაბისონია (ქაფაზი, აზერბაიჯანი), ნინუა (ბელასიცა, ბულგარეთი), ბარქაია (თსუ) | ხოფასფორი (თურქეთი) 3:1, 2:1, კოლხეთი 2:1, მუქურა 2:1, ტორპედო 0:1 |
| კოლხეთი<br>*გია ტყებუჩავა* | ტრაპაიძე (ტავრია, უკრაინა), შალამბერიძე (ტორპედო), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი), დავითნიძე (ურალანი, რუსეთი), ე. გვასალია (ტრანსფერზეა) | მაღლაკელიძე (ტორპედო), ბ. ჩიტაია (ცხინვალი), ფრანგიშვილი (სამგურალი), ჭანტურიძე (ცხუმი), კრასოვსკი, თედეევი, გ. ჭანტურია, ლეჟავა (კოლხეთი 2) | ხოფასფორი (თურქეთი) 3:2, ბათუმი 1:2, გურია 3:0, 3:1 |
| სიონი<br>*სპარტაკ არჩვაძე* | კ. გოგოლაძე (დინამო), ბ. შენგელია (ბათუმი), ა. ბოკერია (თსუ), ვ. მაისურაძე (?) | ასპინძელაშვილი, ირემაშვილი (არსენალი), ბარნოვი, კ. მელქაძე (თბილისი), ტარიელაშვილი (მილანი) | ლოკომოტივი 1:0, 3:1, მილანი 0:2, სამგურალი 2:4 |
| იბერია<br>*სოსო ფრუიძე* | ვ. გიგიაძე (ტავრია, უკრაინა), ნაროუშვილი (ლოკომოტივი), ივეჩიანი (გორდა), გ. დოლიძე (გურია) | | სმენა (მოსკოვი, რუსეთი) 3:0, ურალეცი (ნიჟნი ტაგილი, რუსეთი) 1:3, ურალმაში (ეკატერინბურგი, რუსეთი) 1:2, მეტალურგი (ვერხნაია სალდა, რუსეთი) 6:0, 7:0, 4:2 |
| დილა<br>*მერაბ ხუციშვილი* | სულთანიშვილი (ვიტ ჯორჯია), მარეხაშვილი (კარიერა დაასრულა), რ. ხაჭაპურიძე (?); მერაბ კოქლაშვილი (მწვრთნელი) | ა. ხმალაძე, გ. ტულუში (არსენალი), გრიგალაშვილი, ხოხობაშვილი, ეჯოშვილი (ცხინვალი), მ. ბურნაძე (მილანი), ჯაფარიძე, ბუთხუზი, ბადრიშვილი (გორის საფეხბურთო სკოლა); მერაბ ხუციშვილი (მწვრთნელი) | ტორპედო 0:4, 0:2 ლოკომოტივი 1:3, 1:3, 2:1, მერანი 1:4 |
| მერანი<br>*სერგო გაბელაია* | დავითაშვილი (ლოკომოტივი) | მინაშვილი (დინამო), ოდიშარია (ხობი), კაკუბავა (შამქირი, აზერბაიჯანი), დ. გოდერძიშვილი (ლოკომოტივი) | ლოკომოტივი 1:2, 0:0, დილა 4:1 |
| ლოკომოტივი<br>*რევაზ ძოძუაშვილი* | ჯიშკარიანი (ტორპედო ზილი, რუსეთი), გ. ჩიხრაძე (ჰ.ბეით შანი, ისრაელი), კაციაშვილი, გ. გვაზავა (მეტალურგი), ბაქრაძე (სიონი), ჩხაიძე (ტორპედო), დ. გოდერძიშვილი (მერანი), ნიკურაძე (გორდა), ჯულელი (?, კვიპროსი ან ისრაელი), რ. ონიანი (?) | გონჩაროვი (თბილისი), ნაროუშვილი (იბერია), დ. არჩვაძე (თსუ), თოდუა (ვიტ ჯორჯია), ა. ჯელაძე (ალ იტიჰადი, საუდეთი), გ. შენგელია (დინამო), ს. ბურნაძე (გორდა), დავითაშვილი (მერანი), ლონდაძე (სამგურალი) | გორდა 0:1, 1:1, დილა 3:1, 3:1, 1:2, მერანი 2:1, 0:0, სიონი 1:0, 3:1, დინამო 0:1, 3:2, სლოვანი (სლოვაკეთი) 0:2, საქართველოს ეროვნული ნაკრები 2:2 |
| თსუ<br>*თენგიზ კაცია* | მერლანი, დეკანოსიძე, ინწკირველი (ვიტ ჯორჯია), ბარქაია (ბათუმი), მაზიაშვილი (დინამო), დ. არჩვაძე (ლოკომოტივი), ფარქოსაძე (?, გერმანია), ხართიშვილი (?) | მამარდაშვილი, მორჩილაძე (ვიტ ჯორჯია), ა. ბოკერია (სიონი), ე. ალადაშვილი, ხარებავა (არსენალი), სტურუა (სამგურალი), შედანია (ზოოვეტი), არეშიძე (ცხუმი), ზვ. ლაბაძე (თბილისი), ჭედია (ლაზიკა), გ. ხიზანიშვილი (აკადემია) | ვიტ ჯორჯია 1:0, გორდა 0:0, ზოოვეტი 3:1, მილანი 0:0, 2:0, ჭაბუკიანი 3:2, ტორპედო 0:1, სამგურალი 1:2 |
| გორდა<br>*იასონ ალადაშვილი* | გ. კილასონია, ვ. კილასონია (თურანი, თაუზი, აზერბაიჯანი), ს. ბურნაძე (ლოკომოტივი), ბედიაშვილი, ჩოხელი (ბათუმი) | ივეჩიანი (იბერია), კიბირია (საუ), სურმავა, ფოჩხუა (მრეტები), ნიკურაძე (ლოკომოტივი) | ლოკომოტივი 1:0, 1:1, თსუ 0:0, ხაზარი (აზერბაიჯანი) 2:0 |

**...ენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია**

# შალვა აფხაზავადან დავით ჯანაშიამდე

## საქართველოს XII ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. განაცხადები

### ბათუმი

პრეზიდენტი: თემურ ბეჟანიძე
მწვრთნელი: ჯანი კარნევალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| შალვა აფხაზავა | თ | 14.08.80 | 170 | 70 |
| ირაკლი ბარქაია | მ | 12.03.76 | 187 | 75 |
| გიორგი ბედიაშვილი | მკ | 07.02.80 | 186 | 81 |
| ზაზა ბეჟანიძე | ? | 27.03.81 | 174 | 62 |
| გელა გაბისონია | თ | 21.08.70 | 172 | 68 |
| ოლეგ გველესიანი | ნ | 16.09.80 | 179 | 70 |
| ვიტალი დარჩიძე | ნ | 23.09.81 | 178 | 63 |
| ბესიკ თედორაძე | მ | 23.03.82 | 182 | 70 |
| ზურაბ მინდაძე | მ | 13.01.72 | 178 | 68 |
| ამირან მუჯირი | ნ | 20.08.74 | 182 | 73 |
| კახაბერ მჟავანაძე | მ | 02.10.78 | 174 | 69 |
| არჩილ რომანაძე | ნ | 09.10.80 | 170 | 60 |
| კახა სიდამონიძე | მ | 17.04.71 | 188 | 80 |
| კახა სიხარულიძე | მ | 21.08.74 | 180 | 73 |
| კახა ქაცარავა | მ | 15.10.81 | 170 | 59 |
| ზურაბ ქვაჩახია | მკ | 25.09.73 | 185 | 75 |
| მიხეილ ქობულაძე | მ | 17.09.74 | 187 | 80 |
| გელა ქორიძე | ნ | 28.08.75 | 184 | 75 |
| ავთანდილ ღლონტი | ნ | 19.03.74 | 173 | 64 |
| დავით ჩოხელი | მ | 26.04.81 | 182 | 75 |
| ბესიკ შენგელია | თ | 09.02.77 | 175 | 68 |

### გორდა

პრეზიდენტი: თემურ ბუილიშვილი
მწვრთნელი: იასონ ალადაშვილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კახა ალადაშვილი | თ | 30.08.75 | 174 | 68 |
| სპარტაკ ბაჩილავა | ნ | 23.02.79 | 170 | 64 |
| დავით ბერიძე | მ | 11.11.76 | 175 | 67 |
| პავლე ბექაური | მ | 02.01.72 | 170 | 61 |
| ალექსანდრე ბუკია | ნ | 28.05.81 | 185 | 72 |
| ჯუმბერ ბურჯანაძე | ? | 15.11.80 | 176 | 72 |
| მიხეილ გაბელაია | მ | 17.01.75 | 178 | 73 |
| დავით გელაძე | ? | 01.11.80 | 180 | 72 |
| გია გონგაძე | მკ | 19.07.80 | 186 | 75 |
| ბიძინა ივეჩიანი | თ | 09.03.79 | 175 | 68 |
| ლევან კაპანაძე | ? | 29.07.81 | 180 | 68 |
| ალექსანდრე კიტეიშვილი | თ | 14.08.76 | 170 | 66 |
| ზურაბ ლაბაძე | მ | 22.02.78 | 180 | 72 |
| შოთა მახარაძე | მ | 22.03.80 | 190 | 75 |
| მამუკა მელაძე | ნ | 14.02.74 | 173 | 70 |
| გიორგი გ. მიქაძე | თ | 09.05.82 | 172 | 67 |
| გიორგი მიშველიძე | ნ | 18.02.73 | 173 | 65 |
| ხვიჩა მჭედლიძე | მ | 12.01.78 | 172 | 68 |
| გიორგი ნიკურაძე | მკ | 01.10.79 | 188 | 80 |
| კახაბერ ოსკანაშვილი | ? | 04.01.82 | 182 | 62 |
| ზაზა პატარიძე | თ | 10.10.73 | 179 | 71 |
| მიხეილ სახვაძე | მ | 30.12.77 | 175 | 68 |
| ლაშა სილაგაძე | მ | 24.01.79 | 178 | 72 |
| არჩილ სოხაძე | ? | 30.05.82 | 186 | 81 |
| გიორგი სურმავა | ? | 20.08.81 | 173 | 62 |
| შალვა ფოჩხუა | ? | 27.07.79 | 172 | 62 |
| გიორგი ქერაშვილი | ? | 25.01.82 | 184 | 76 |
| დავით ნიკლაური | ? | 24.09.79 | 186 | 75 |

### დილა

პრეზიდენტი: გურამ ნოზაძე
მწვრთნელი: მერაბ ხუციშვილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ვახტანგ აკოფიანი | მ | 15.08.75 | 180 | 75 |
| მურთაზ ბურნაძე | ნ | 14.03.84 | 167 | 60 |
| ხვიჩა გაგნიძე | მ | 01.09.68 | 187 | 83 |
| ლევან გოჩაშვილი | თ | 26.08.79 | 175 | 75 |
| მიხეილ გრიგალაშვილი | ? | 05.11.76 | 177 | 70 |
| დავით ეჯოშვილი | ? | 07.04.76 | 178 | 70 |
| თამაზ ილურიძე | მკ | 04.11.75 | 186 | 76 |
| ვალერი კოტორაშვილი | მ | 02.05.77 | 182 | 70 |
| გიორგი ლომიძე | ნ | 18.01.77 | 182 | 77 |
| დავით მაისურაძე | მ | 23.08.73 | 178 | 72 |
| დავით მდივანი | მკ | 04.07.70 | 174 | 71 |
| არჩილ ოლგესაშვილი | ნ | 19.01.82 | 180 | 71 |
| ალბერტ საყვარელიძე | ნ | 05.02.82 | 176 | 59 |
| რამაზ სოლოლაშვილი | მკ | 23.03.77 | 185 | 77 |
| გიორგი ტულუში | ნ | 03.10.77 | 165 | 60 |
| პაატა ფეზუაშვილი | მ | 14.08.78 | 175 | 70 |
| თამაზ ციცქიშვილი | ნ | 14.10.70 | 176 | 73 |
| ამირან ხმალაძე | თ | 22.10.76 | 189 | 82 |
| ზურაბ ხორგუაშვილი | თ | 12.08.70 | 187 | 80 |
| დავით ხოხობაშვილი | ? | 08.01.77 | 173 | 63 |

### დინამო

პრეზიდენტი: მერაბ რატიანი
მწვრთნელი: რევაზ არველაძე

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გიორგი ანჩაბაძე | ნ | 04.01.73 | 178 | 74 |
| ზურაბ ბათიაშვილი | მკ | 06.02.80 | 180 | 77 |
| ვლადიმერ ბურდული | ნ | 26.02.80 | 183 | 73 |
| თეიმურაზ გადელია | თ | 12.02.74 | 176 | 68 |
| კახა გოგოლაძე | თ | 04.02.68 | 180 | 74 |
| დავით დათუაძე | ნ | 09.07.77 | 167 | 60 |
| ირაკლი ვაშაკიძე | მ | 13.03.76 | 187 | 60 |
| ზაზა ზამთარაძე | მ | 06.09.76 | 180 | 74 |
| ზაზა ზირაქიშვილი | თ | 13.03.75 | 176 | 68 |
| ილია კანდელაკი | მ | 26.12.81 | 180 | 70 |
| მიხეილ მაზიაშვილი | თ | 12.04.76 | 179 | 64 |
| თორნიკე მაისურაძე | ნ | 14.06.78 | 178 | 72 |
| ლაშა მონასელიძე | ნ | 02.01.77 | 183 | 76 |
| გიორგი ვ. მიქაძე | თ | 21.08.80 | 180 | 74 |
| თორნიკე რუხაძე | მ | 01.07.79 | 177 | 75 |
| არჩილ სახვაძე | ნ | 10.08.78 | 181 | 71 |
| თენგიზ სიჟინავა | ნ | 16.05.75 | 180 | 72 |
| რევაზ ქემოკლიძე | მ | 18.03.79 | 185 | 82 |
| გიორგი შაშიაშვილი | მ | 01.09.79 | 182 | 64 |
| მურთაზ შელია | მ | 25.03.70 | 185 | 92 |
| ალექსანდრე ჩიხრაძე | მკ | 17.08.75 | 187 | 80 |
| კახა ცხადაძე | მ | 07.09.68 | 186 | 78 |
| პაატა ჯინჭარაძე | ნ | 21.01.74 | 187 | 79 |

### ვიტ ჯორჯია

პრეზიდენტი: გურამ რუხაძე
მწვრთნელი: ვლადიმერ ხაჩიძე

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ზვიად გვაზავა | ნ | 17.09.78 | 188 | 77 |
| ვლადიმერ გოჩაშვილი | თ | 05.07.76 | 190 | 81 |
| გიორგი დეკანოსიძე | ნ | 02.01.81 | 175 | 65 |
| დავით დილმელაშვილი | ნ | 18.01.81 | 182 | 80 |
| მიხეილ თაყაძე | თ | 21.07.79 | 180 | 70 |
| თენგიზ კობიაშვილი | მ | 03.12.75 | 183 | 75 |
| ლევან მელქაძე | თ | 12.12.79 | 185 | 82 |
| მირზა მერლანი | მკ | 05.10.80 | 186 | 75 |
| ჯაბა მუჯირი | მ | 07.06.80 | 185 | 78 |
| ლაშა ნოზაძე | თ | 18.03.80 | 181 | 70 |
| ედიკ საჯაია | მ | 16.02.81 | 183 | 78 |
| ზვიად სტურუა | მკ | 24.04.78 | 191 | 84 |
| საბა სულთანიშვილი | თ | 25.04.75 | 176 | 66 |
| გიორგი ქორიძე | თ | 19.07.76 | 180 | 71 |
| გიორგი ყიფიანი | ნ | 03.08.78 | 180 | 71 |
| გიორგი ჭანკოტაძე | მ | 04.10.77 | 180 | 77 |
| სერგო ჭურაძე | მკ | 10.07.77 | 187 | 80 |
| ირაკლი ხაჭაპურიძე | ნ | 11.10.77 | 182 | 75 |

### თსუ

პრეზიდენტი: დავით გოდერძიშვილი
მწვრთნელი: თენგიზ კაცია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გიორგი ადამია | თ | 10.07.81 | 176 | 68 |
| ედიშერ ალადაშვილი | მ | 03.08.77 | 180 | 68 |
| გიორგი არეშიძე | ? | 07.11.79 | 184 | 78 |
| კახა ახალაძე | მ | 19.05.79 | 174 | 68 |
| არჩილ ბოკერია | თ | 13.10.78 | 180 | 66 |
| რევაზ გოცირიძე | თ | 17.01.81 | 183 | 75 |
| კონსტანტინე გუგუნავა | მკ | 08.08.73 | 178 | 72 |
| კახა ებრალიძე | მ | 07.03.79 | 186 | 73 |
| მალხაზ ერაძე | ნ | 23.09.73 | 181 | 71 |
| ლევან კვიციანი | ნ | 07.07.78 | 183 | 77 |
| ზვიად ლაბაძე | მ | 13.09.82 | 185 | 76 |
| აკაკი ლობჟანიძე | ? | 13.01.82 | 185 | 75 |
| დავით მამარდაშვილი | მკ | 17.10.77 | 190 | 83 |
| მიხეილ მესხი | თ | 07.04.78 | 178 | 72 |
| დავით მორჩილაძე | თ | 01.02.80 | 177 | 63 |
| ბექა ნოზაძე | ნ | 09.02.82 | 174 | 62 |
| რამაზ სვანაძე | მ | 02.03.81 | 174 | 66 |
| კახაბერ წუწუნავა | თ | 22.09.81 | 175 | 72 |
| გურამ ხარებავა | ნ | 29.09.79 | 176 | 71 |

### იბერია

პრეზიდენტი: ნუგზარ ნიკოლაიშვილი
მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ამირან ბანძელაძე | ? | 25.02.79 | 176 | 70 |
| შალვა ბინაძე | მ | 23.08.77 | 173 | 68 |
| კახაბერ ბობოხიძე | ? | 02.09.79 | 185 | 80 |
| იოსებ გიგიაძე | ნ | 03.06.77 | 173 | 70 |
| ნიკოლოზ გიორგაძე | ნ | 05.02.80 | 170 | 69 |
| ოთარ ვადაჭკორია | თ | 11.02.94 | 164 | 60 |
| ოთარ ვარდანიძე | მკ | 31.12.74 | 178 | 78 |
| ლაშა ვაშაკიძე | ? | 19.11.85 | 155 | 50 |
| აკაკი კაკაშვილი | თ | 18.12.74 | 190 | 76 |
| ზურაბ მეტრეველი | თ | 27.03.79 | 182 | 78 |
| ზაზა მიქელთაძე | მ | 02.02.74 | 181 | 80 |
| შალვა მუმლაძე | ნ | 18.08.78 | 175 | 76 |
| გიორგი ნოზაძე | ნ | 26.08.78 | 186 | 80 |
| დავით ოდიკაძე | ნ | 14.04.81 | 185 | 78 |
| შმაგი ონიანი | ? | 23.03.81 | 175 | 70 |
| გიგა ჟვანია | მ | 16.01.82 | 174 | 70 |
| ირაკლი სანიკიძე | მ | 25.03.78 | 182 | 80 |
| თენგიზ ყურაშვილი | თ | 09.07.80 | 171 | 70 |
| გიორგი შავგულიძე | მ | 14.04.81 | 180 | 79 |
| შალვა ჩიმაკაძე | ? | 04.01.79 | 188 | 81 |
| ალექსანდრე ჩომახიძე | მკ | 28.10.80 | 183 | 80 |
| ვლადიმერ ჭოლაძე | ? | 19.01.81 | 178 | 72 |
| ლაშა ხმალაძე | თ | 03.04.81 | 178 | 75 |

### კოლხეთი

პრეზიდენტი: ჯემალ ინაიშვილი
მწვრთნელი: გია ტყებუჩავა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რომან ახალკაცი | თ | 20.02.80 | 176 | 72 |
| ზაზა ბურკვაძე | მ | 26.04.74 | 178 | 71 |
| მამუკა გვასალია | მკ | 02.10.67 | 185 | 79 |
| კახაბერ გოროზია | მ | 18.02.72 | 175 | 72 |
| დავით თედეევი | მ | 16.03.79 | 181 | 72 |
| ლაშა თოფურია | მ | 02.11.79 | 186 | 80 |
| ლომინო თოფურია | ნ | 06.04.80 | 178 | 71 |
| ამირან კედელაშვილი | მ | 10.08.76 | 178 | 67 |
| დავით კვირკველია | თ | 27.06.80 | 176 | 67 |
| თამაზ კიკლიაშვილი | ნ | 06.10.64 | 180 | 73 |
| გიორგი კრასოვსკი | თ | 20.12.79 | 187 | 79 |
| ზურაბ ლეჟავა | ნ | 08.10.77 | 176 | 68 |
| ირაკლი მალლაკელიძე | მ | 28.02.73 | 172 | 68 |
| ელგუჯა პაპავა | მ | 26.01.74 | 185 | 78 |
| ვალერი ტორჩინავა | მ | 01.02.69 | 175 | 69 |
| გელა ფანჩულიძე | ნ | 19.02.68 | 175 | 70 |
| შალვა ფრანგიშვილი | მ | 03.12.75 | 177 | 71 |
| გოგიტა ქუნთელია | თ | 06.03.71 | 179 | 75 |
| ზაველ ღალანიძე | ნ | 17.05.72 | 173 | 70 |
| ლევან შავგულიძე | თ | 23.11.80 | 185 | 73 |
| ბიძინა ჩემია | მკ | 24.02.80 | 178 | 63 |
| ბექა ჩიტაია | თ | 02.04.80 | 180 | 72 |
| გიორგი ჩიტაია | მ | 12.08.78 | 178 | 69 |
| გოჩა ჭანტურია | თ | 09.06.79 | 172 | 63 |
| დავით ხუჭუა | თ | 02.08.73 | 175 | 69 |
| გიორგი ჭანტურიძე | მ | 05.03.79 | 180 | 76 |
| თემურ ჯღარკავა | მ | 01.08.75 | 189 | 70 |

### ლოკომოტივი

პრეზიდენტი: აკაკი ჩხაიძე
მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ვალერი აბრამიძე | მ | 17.01.80 | 186 | 79 |
| დავით არჩვაძე | მ | 06.10.79 | 174 | 67 |
| დავით ასლანაძე | მ | 16.11.76 | 194 | 80 |
| თორნიკე აფციაური | თ | 28.11.79 | 178 | 71 |
| გიორგი ბალაშვილი | მ | 07.08.73 | 175 | 69 |
| ალექსანდრე ბურნაძე | მ | 26.07.74 | 189 | 80 |
| აქსენტი გილაური | მ | 06.08.79 | 178 | 70 |
| კახა გოგიჩაიშვილი | ნ | 31.10.68 | 176 | 70 |
| ბორის გონჩაროვი | თ | 08.07.79 | 185 | 70 |
| სულიკო დავითაშვილი | თ | 11.12.77 | 173 | 70 |
| სევასტი თოდუა | მ | 13.05.76 | 185 | 80 |
| მანუჩარ ივარდავა | მკ | 23.07.82 | 192 | 77 |
| გივი კვარაცხელია | ნ | 11.05.79 | 188 | 82 |
| გიორგი ლომაია | მკ | 28.08.79 | 193 | 83 |
| ლევან მიქაძე | მ | 13.09.73 | 179 | 72 |
| დიმიტრი პარამონოვი | ნ | 02.08.80 | 196 | 82 |
| მამუკა რუსია | თ | 27.11.74 | 173 | 69 |
| ლაშა სალუქვაძე | ნ | 25.12.81 | 185 | 76 |
| შალვა ლონლაძე | ნ | 17.08.78 | 185 | 74 |
| გიორგი შენგელია | თ | 30.01.79 | 176 | 69 |
| მერაბ ძოძუაშვილი | თ | 04.11.80 | 191 | 69 |
| დავით ქოჭვეიშვილი | მ | 23.01.75 | 189 | 82 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ნ | 06.10.81 | 185 | 71 |
| ცეზარ ხუროძე | თ | 19.09.81 | ??? | ?? |
| არმაზ ჯელაძე | თ | 28.06.73 | 172 | 68 |

### მერანი

პრეზიდენტი: დავით ფურცელაძე
მწვრთნელი: სერგო გაბელაია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ლევან ბაჯელიძე | მ | 02.10.78 | 179 | 72 |
| დავით ბოლქვაძე | ნ | 05.06.80 | 178 | 68 |
| დავით გოდერძიშვილი | თ | 13.05.73 | 170 | 65 |
| გოჩა გუჯაბიძე | მ | 07.07.71 | 185 | 76 |
| აკაკი დევაძე | მკ | 28.11.71 | 183 | 83 |
| იოსებ დევიძე | მ | 05.07.80 | 177 | 67 |
| ლევან თოლორდავა | თ | 27.02.74 | 178 | 73 |
| შალვა ივანიშვილი | მ | 07.06.72 | 177 | 74 |
| გიორგი ილურიძე | მ | 19.10.76 | 175 | 70 |
| სულიკო კაკაბაძე | თ | 18.05.78 | 183 | 62 |
| დემურ კაკუბავა | ნ | 23.10.72 | 179 | 72 |
| გიორგი კვეტენაძე | ნ | 23.12.72 | 181 | 74 |
| კახაბერ კობესაშვილი | ნ | 01.08.76 | 178 | 71 |
| ანდრო კოროშინაძე | მკ | 29.09.72 | 180 | 78 |
| ალექსანდრე კოშკაძე | ნ | 04.12.81 | 177 | 70 |
| მამუკა მინაშვილი | თ | 03.04.71 | 180 | [illegible] |
| რევაზ ნაჭყეპია | მკ | 14.04.72 | 184 | 76 |
| კობა ოდიშარია | თ | 07.08.75 | 177 | 68 |
| ოთარ როსტიაშვილი | თ | 15.05.76 | 179 | 73 |
| ალექსანდრე ჩანადირი | მ | 27.09.79 | 179 | 68 |
| ზაზა ცქიფურიშვილი | მ | 10.01.75 | 182 | 75 |
| მალხაზ ჭინჭარაული | ნ | 22.04.77 | 183 | 71 |
| ავთანდილ ხორხელი | ნ | 26.03.75 | 177 | 71 |
| დავით ჯიშკარიანი | ნ | 28.10.67 | 180 | 77 |

### სიონი

პრეზიდენტი: ზურაბ ლობჟანიძე
მწვრთნელი: სპარტაკ არჩვაძე

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სპარტაკ არჩვაძე | მ | 10.08.76 | 174 | 64 |
| გურამ ასპინძელაშვილი | მ | 01.01.73 | 185 | 76 |
| პაატა ბარნოვი | მ | 15.11.73 | 180 | 75 |
| პაატა გამცემლიძე | ნ | 06.01.74 | 183 | [illegible] |
| მურმან გოგოლაძე | თ | 26.07.70 | 183 | 79 |
| კახა გოდერძიშვილი | მ | 06.09.76 | 178 | 70 |
| ნუგზარ დალაქიშვილი | მკ | 01.05.71 | 180 | 76 |
| ივანე დემურიშვილი | ? | 08.06.82 | 173 | 68 |
| თემურ დიმიტრიშვილი | მ | 14.10.71 | 178 | 70 |
| თეიმურაზ ვოლკოვი | მკ | 21.09.71 | 184 | 79 |
| გიორგი ირემაშვილი | მ | 05.01.76 | 184 | 73 |
| შალვა ისიანი | თ | 14.08.78 | 180 | 75 |
| ნიკოლოზ მინდიაშვილი | მ | 05.03.75 | 178 | 72 |
| ბახვა მოსეშვილი | თ | 29.01.73 | 171 | 65 |
| დავით პეტრიაშვილი | თ | 27.12.78 | 182 | 74 |
| თემურ სამხარაძე | მ | 05.04.78 | 175 | 72 |
| მირზა სამხარაძე | თ | 12.12.76 | 176 | 73 |
| დავით სვანიძე | ნ | 14.10.79 | 181 | 72 |
| დავით სოლოლაშვილი | ნ | 19.08.69 | 176 | 70 |
| ჰამლეტ ნივნივაძე | თ | 28.01.74 | 181 | 78 |
| ლაშა ჩაგელიშვილი | ნ | 25.02.83 | 169 | 60 |
| დავით ჯაფარიძე | ნ | 24.04.78 | 170 | 65 |

### ტორპედო

პრეზიდენტი: მიხეილ ქორქია
მწვრთნელი: დავით ყიფიანი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ზურაბ არჩვაძე | მ | 30.01.72 | 179 | [illegible] |
| მალხაზ ასათიანი | ნ | 04.08.81 | 184 | [illegible] |
| ბადრი ახვლედიანი | მ | 19.10.72 | 174 | [illegible] |
| მიხეილ ბობოხიძე | თ | 23.11.81 | 181 | [illegible] |
| გიორგი გაბიდაური | თ | 08.12.79 | 180 | [illegible] |
| იოსებ გრიშიკაშვილი | მკ | 25.12.73 | 186 | [illegible] |
| ვალტერ გუჩუა | ნ | 26.06.75 | 183 | [illegible] |
| ზაზა ვაჩიბერაძე | ნ | 25.10.73 | 174 | [illegible] |
| ირაკლი ზოიძე | მკ | 21.03.69 | 181 | [illegible] |
| ვახტანგ თურმანიძე | მ | 16.01.73 | 176 | [illegible] |
| გია იმედაძე | თ | 02.10.80 | 184 | [illegible] |
| ზურაბ იონანიძე | ნ | 02.12.71 | 183 | [illegible] |
| კახა კვეტენაძე | ნ | 03.06.70 | 176 | [illegible] |
| მიხეილ მახვილაძე | მ | 22.07.78 | 182 | [illegible] |
| გია მეგრელაძე | თ | 21.07.78 | 179 | [illegible] |
| ნიკოლოზ ტოგონიძე | მკ | 24.01.71 | 188 | [illegible] |
| ჯონი შალამბერიძე | ნ | 25.09.75 | 182 | [illegible] |
| ალექსანდრე შეყრილაძე | მ | 30.08.70 | 172 | [illegible] |
| კახა ჩხეტიანი | ნ | 24.02.78 | 172 | [illegible] |
| გია ჩხაიძე | ნ | 27.02.70 | 182 | [illegible] |
| გრიგოლ ჭანტურია | მკ | 25.09.73 | 185 | [illegible] |
| ვახტანგ ხვადაგიანი | მ | 04.04.72 | 192 | [illegible] |
| დავით ჯანაშია | თ | 07.08.72 | 174 | [illegible] |

# ამონაწერი დებულებიდან

### 3. ჩემპიონატის ჩატარების სისტემა

3.1 საქართველოს 2000-2001 წლების XII ჩემპიონატი გაიმართება სამ ლიგად: უმაღლესი, პირველი და რეგიონული ლიგა;

3.2 უმაღლეს ლიგაში მონაწილეობს 12 გუნდი, რომლებმაც XI ჩემპიონატში დაიკავეს I-XII ადგილები. თამაშები გაიმართება ორ წრედ (შინ და სტუმრად). გუნდები, რომლებიც დაიკავებენ I-VI ადგილებს, მეორე ეტაპზე აგრძელებენ ბრძოლას განახევრებული ქულებით, საპრიზო ადგილებისათვის ორ წრედ (შინ და სტუმრად) და მომდევნო XIII ჩემპიონატში იასპარეზებენ უმაღლეს ლიგაში.

გუნდები, რომლებიც პირველ ეტაპზე დაიკავებენ VII-XII ადგილებს, მეორე ეტაპზე განახევრებული ქულებით ორ წრედ (შინ და სტუმრად) აგრძელებენ ბრძოლას უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად. XI-XII ადგილზე გასული გუნდები გადაყვანილი იქნებიან I ლიგაში, ხოლო X ადგილზე გასული გუნდი ნეიტრალურ მოედანზე (1 მატჩი) შეხვდება I ლიგაში III ადგილზე გასულ გუნდს, გამარჯვებული მოიპოვებს უმაღლესი ლიგის საგზურს.

3.3 I ლიგაში მონაწილე 12 გუნდს შეადგენს XI ჩემპიონატის I ლიგიდან გავარდნილი 4 და რეგიონული ლიგის ოთხ ზონაში I-II ადგილებზე გასული გუნდები. თამაშები გაიმართება ორ წრედ (შინ და გარეთ). გუნდები, რომლებიც დაიკავებენ I-VI ადგილებს, აგრძელებენ ბრძოლას განახევრებული ქულებით, უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად (ორ წრედ — შინ და სტუმრად). I-II ადგილებზე გასული გუნდები XIII ჩემპიონატში იასპარეზებენ უმაღლეს ლიგაში, ხოლო III ადგილზე გასული გუნდი ნეიტრალურ მოედანზე (1 მატჩი) შეხვდება უმაღლეს ლიგაში X ადგილზე გასულ გუნდს, გამარჯვებული მოიპოვებს უმაღლესი ლიგის საგზურს.

გუნდები, რომლებიც დაიკავებენ VII-XII ადგილებს, განახევრებული ქულებით ორ წრედ (შინ და სტუმრად) აგრძელებენ ბრძოლას I ლიგაში ადგილების შესანარჩუნებლად. X-XII ადგილებზე გასული გუნდები გადაყვანილი იქნებიან რეგიონულ ლიგაში.

3.4 უმაღლესი და I ლიგის გუნდებს, რომლებიც I ეტაპის შემდეგ დააგროვებენ კენტ ქულებს, დაემატებათ ერთი ქულა და შემდეგ გაუნახევრდებათ, ხოლო გატანილი და მიღებული ბურთების აღრიცხვა დაიწყება ნოლიდან.

3.5 რეგიონული ლიგა 2000-2001 წლების XII ჩემპიონატში დაიყოფა ტერიტორიული პრინციპით ორ ზონად: აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებად. მატჩები ჩატარდება წრიული სისტემით (შინ და გარეთ). რეგიონულ ლიგაში მონაწილეობას მიიღებს 20-20 გუნდი, რომლებიც დააკმაყოფილებენ სფფ-ს მოთხოვნას.

რეგიონული ლიგის ზონების გამარჯვებული გუნდები მომავალ XIII ჩემპიონატში იასპარეზებენ I ლიგაში. მეორე ადგილზე გასული გუნდები ნეიტრალურ მოედანზე (1 მატჩი) შეხვდებიან ერთმანეთს, რომლის გამარჯვებულიც ითამაშებს I ლიგაში.

3.6 2000 წლის სექტემბრიდან ჩატარდება ზონური გათამაშებები შემდეგი დაყოფის პრინციპით: აჭარა, აფხაზეთი, ქ. თბილისი, კახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, გურია, მესხეთ-ჯავახეთი. ამ გათამაშებებს ატარებენ შესაბამისი რეგიონული ფედერაციები, გამარჯვებული გუნდები კი მოიპოვებენ უფლებას იასპარეზონ რეგიონულ ლიგაში.

3.7 2001-2002 წლების საქართველოს XIII ჩემპიონატი ჩატარდება სამ ლიგად. უმაღლესი ლიგა — 12 გუნდი, I ლიგა — 12 გუნდი და ტერიტორიული პრინციპით დაყოფილი რეგიონული ლიგა, აგრეთვე ზონური გათამაშება.

*საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია*

# საქართველოს XII ჩემპიონატი
## უმაღლესი ლიგა. პირველი ეტაპი

### პირველი წრე

**პირველი ტური**

19 აგვისტო, შაბათი
დილა — ვიტ ჯორჯია
მერანი — კოლხეთი
იბერია — ლოკომოტივი
გორდა — ბათუმი
თსუ — დინამო
ტორპედო — სიონი

**მეორე ტური**

27 აგვისტო, კვირა
დინამო — ტორპედო
კოლხეთი — იბერია
ბათუმი — თსუ
დილა — მერანი
28 აგვისტო, ორშაბათი
ვიტ ჯორჯია — სიონი
ლოკომოტივი — გორდა

**მესამე ტური**

6 სექტემბერი, ორშაბათი
გორდა — კოლხეთი
მერანი — ვიტ ჯორჯია
იბერია — დილა
თსუ — ლოკომოტივი
ტორპედო — ბათუმი
სიონი — დინამო

**მეოთხე ტური**

10 სექტემბერი, კვირა
ვიტ ჯორჯია — დინამო
ლოკომოტივი — ტორპედო
ბათუმი — სიონი
კოლხეთი — თსუ
დილა — გორდა
მერანი — იბერია

**მეხუთე ტური**

17 სექტემბერი, კვირა
გორდა — მერანი
თსუ — დილა
ტორპედო — კოლხეთი
დინამო — ბათუმი
18 სექტემბერი, ორშაბათი
სიონი — ლოკომოტივი
იბერია — ვიტ ჯორჯია

**მეექვსე ტური**

23 სექტემბერი, შაბათი
ლოკომოტივი — დინამო
ვიტ ჯორჯია — ბათუმი
კოლხეთი — სიონი
დილა — ტორპედო
იბერია — გორდა
მერანი — თსუ

**მეშვიდე ტური**

1 ოქტომბერი, კვირა
თსუ — იბერია
სიონი — დილა
დინამო — კოლხეთი
ტორპედო — მერანი
2 ოქტომბერი, ორშაბათი
გორდა — ვიტ ჯორჯია
ბათუმი — ლოკომოტივი

**მერვე ტური**

14 ოქტომბერი, შაბათი
კოლხეთი — ბათუმი
ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი
დილა — დინამო
მერანი — სიონი
იბერია — ტორპედო
გორდა — თსუ

**მეცხრე ტური**

21 ოქტომბერი, შაბათი
თსუ — ვიტ ჯორჯია
ტორპედო — გორდა
სიონი — იბერია
დინამო — მერანი
ბათუმი — დილა
22 ოქტომბერი, კვირა
ლოკომოტივი — კოლხეთი

**მეათე ტური**

25 ოქტომბერი, ოთხშაბათი
გორდა — სიონი
მერანი — ბათუმი
იბერია — დინამო
თსუ — ტორპედო
26 ოქტომბერი, ხუთშაბათი
ვიტ ჯორჯია — კოლხეთი
დილა — ლოკომოტივი

**მეთერთმეტე ტური**

29 ოქტომბერი, კვირა
დინამო — გორდა
სიონი — თსუ
ბათუმი — იბერია
30 ოქტომბერი, ორშაბათი
ტორპედო — ვიტ ჯორჯია
ლოკომტივი — მერანი
კოლხეთი — დილა

### მეორე წრე

**მეთორმეტე ტური**

3 ნოემბერი, პარასკევი
დინამო — თსუ
4 ნოემბერი, შაბათი
ვიტ ჯორჯია — დილა
კოლხეთი — მერანი
ბათუმი — გორდა
სიონი — ტორპედო
ლოკომოტივი — იბერია

**მეცამეტე ტური**

11 ნოემბერი, შაბათი
ტორპედო — დინამო
იბერია — კოლხეთი
თსუ — ბათუმი
მერანი — დილა
სიონი — ვიტ ჯორჯია
გორდა — ლოკომოტივი

**მეთოთხმეტე ტური**

17 ნოემბერი, პარასკევი
კოლხეთი — გორდა
ვიტ ჯორჯია — მერანი
დილა — იბერია
დინამო — სიონი
ბათუმი — ტორპედო
18 ნოემბერი, შაბათი
ლოკომოტივი — თსუ

**მეთხუთმეტე ტური**

25 ნოემბერი, შაბათი
სიონი — ბათუმი
გორდა — დილა
იბერია — მერანი
დინამო — ვიტ ჯორჯია
ტორპედო — ლოკომოტივი
თსუ — კოლხეთი

**მეთექვსმეტე ტური**

29 ნოემბერი, ოთხშაბათი
ვიტ ჯორჯია — იბერია
მერანი — გორდა
ბათუმი — დინამო
დილა — თსუ
კოლხეთი — ტორპედო
ლოკომოტივი — სიონი

**მეჩვიდმეტე ტური**

3 დეკემბერი, კვირა
დინამო — ლოკომოტივი
ბათუმი — ვიტ ჯორჯია
სიონი — კოლხეთი
ტორპედო — დილა
გორდა — იბერია
თსუ — მერანი

**მეთვრამეტე ტური**

28 თებერვალი, ოთხშაბათი
იბერია — თსუ
დილა — სიონი
კოლხეთი — დინამო
მერანი — ტორპედო
ვიტ ჯორჯია — გორდა
ლოკომოტივი — ბათუმი

**მეცხრამეტე ტური**

4 მარტი, კვირა
დინამო — დილა
ბათუმი — კოლხეთი
სიონი — მერანი
ტორპედო — იბერია
თსუ — გორდა
5 მარტი, ორშაბათი
ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია

**მეოცე ტური**

10 მარტი, შაბათი
ვიტ ჯორჯია — თსუ
იბერია — სიონი
გორდა — ტორპედო
მერანი — დინამო
დილა — ბათუმი
კოლხეთი — ლოკომოტივი

**ოცდამეერთე ტური**

18 მარტი, კვირა
სიონი — გორდა
ბათუმი — მერანი
დინამო — იბერია
ტორპედო — თსუ
კოლხეთი — ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი — დილა

**ოცდამეორე ტური**

22 მარტი, ხუთშაბათი
გორდა — დინამო
ვიტ ჯორჯია — ტორპედო
თსუ — სიონი
იბერია — ბათუმი
მერანი — ლოკომოტივი
დილა — კოლხეთი

*მატჩების დაწყების დრო: აგვისტო 19 საათი, სექტემბერი 18, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი 16, თებერვალი, მარტი 15*

საქართველოს ჩემპიონატი
პირველი ლიგა
პირველი წრე



ვასილ ხაჭაპურიძე

**გადაჭრით** კაცი ვერაფერს იტყვის, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, ბოლოს და ბოლოს ლანჩხუთს ნორმალური გუნდი უნდა ეყოლოს.

„გურიას" ბოლოდროინდელი შეჭირვებული ყოფა ბევრს მოეხსენება. უმაღლესი ლიგიდან გავარდნილ გურულებს, არც ქვედა ლიგაში აეწყოთ საქმეები და გასულ სეზონში იქაც ცხრილის ფსკერზე ყურყუმალი მოუწიათ.

აი, მომავალ სეზონს კი ლანჩხუთში ყველა იმედით შეჰყურებს, რადგან „გურიას" ახალი და, რაც მთავარია, შეძლებული პატრონი გამოუჩნდა ვასილ ხაჭაპურიძის სახით.

მოდით, ცოტა შორიდან დავიწყოთ. ვასილ ხაჭაპურიძე ქართულ ფეხბურთში ბევრისთვის ცნობილი პიროვნებაა. 1996 წელს მისი თავკაცობით ზესტაფონის „მარგვეთმა" უეფას თასზეც კი ითამაშა, თუმცა, აქედან რა გამოვიდა ეს სხვა საქმეა.

# გურია რელსებზე შედგა

ასეა თუ ისე, მას შემდეგ ხაჭაპურიძეს საქმეები აერია და დროებით ჩამოშორდა ქართულ ფეხბურთში საქმიანობას.

შარშანდელი სეზონის დაწყებამდე ზესტაფონში კიდევ ერთი გუნდი, „მეტალურგი" შეიქმნა, რომელიც პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნ-და და „მარგვეთს" სხვა სიკეთესთან ერთად, სტადიონის პრობლემაც გაუჩნდა. ხაჭაპურიძემ გამოსავალი იპოვა და გუნდმა საშინაო მატჩები თერჯოლაში ჩაატარა. მიუხედავად ამისა, 1995-96 წლების ჩემპიონატის ვიცეჩემპიონმა მთელი სეზონი დაუმარცხებლად განვლო და პირველი ლიგის საგზურიც ღირსეულად მოიპოვა.

ამასობაში კი „მარგვეთის" დარად, აღმოსავლეთ ზონის ერთ-ერთ ქვეჯგუფში „ლოკომოტივი 2"-მა იმარჯვა და მანაც პირველ ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა. აი, სწორედ აქედან დაიწყო ყველაფერი. ანუ შედგა ალიანსი, რომლის არსიც ასეთია: „ლოკომოტივი 2"-მა თავისი კუთვნილი ადგილი „გურიას" დაუთმო, რომელიც თავის მხრივ „მარგვეთის" ბაზაზე შეკოწიწდა. შედეგად შეიქმნა ახალი კლუბი, სახელწოდებით „გურია ლოკომოტივი 2".

ხსენებული კლუბის პატრონობა ვასილ ხაჭაპურიძემ იტვირთა: მანვე კლუბის პრეზიდენტის პოსტიც დაიკავა. ბუნებრივია, ფულს ვინც იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს, ჰოდა, ყველაფერი სწორედ ხაჭაპურიძის, კარნახით მიდის. კლუბის მწვრთნელად — „მარგვეთის" თავკაცი ზაზა გურიელიძე დაინიშნა და მისი ხელმძღვანელობით გუნდმა გრიგოლეთის ბაზაზე ინტენსიური ვარჯიში 30 ივლისიდან დაიწყო.

ამჟამად გუნდში 25 ფეხბურთელი ვარჯიშობს, მათგან უმეტესობა ყოფილი მარგველები არიან. ამათ ხუთი ფეხბურთელი შარშანდელი „გურიადან", ხოლო სამტრედიის „იბერიიდან" გამოცდილი მეკარე გუბაზ დოლიძეც დაემატნენ და შედეგად არც თუ ურიგო შემადგენლობა შეიკრიბა. მიზანიც შესაბამისი აქვს კლუბს: ვასილ ხაჭაპურიძის თქმით, გუნდის მიზანი უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაა და არც თასზე იტყვის უარს.

ვნახოთ აქედან რა გამოვა. ისე კი „ლოკომოტივი 2"-ს პირველი სერიოზული გამოცდა, უკვე პირველივე ტურში მოუწევს. როცა ქობულეთში „შუქურას" ესტუმრება. აქედან „კოლხეთთან" 1:3, 0:3 წააგო, ხოლო „თბილისთან" 1:0 და სამტრედიის „ოკეანესთან" 3:0 მოიგო.

**გოჩა ჟანჟღავა**
**ლანჩხუთიდან**

# გორდა გადარჩა

**გუშინდელი** დღე დიდხანს ემახსოვრებათ „გორდას" მწვრთნელ-ფეხბურთელებს. რამდენიმე დღის წინ უსასოოდ მყოფ გორდელებს გუშინ მშველელი გამოუჩნდა. „გორდას" კეთილმოსურნე, სამხარეო პოლიციის უფროსის ალეკო ბუკიას ძალისხმევით კლუბს პრეზიდენტი ჰყავს. იგი თბილისელი ბიზნესმენი თემურ ბუიღლიშვილი გახლავთ.

ბუიღლიშვილი გუშინ რუსთავში ჩავიდა, გუნდს შეხვდა, ფეხბურთელები ახალი ფორმით და სხვა სპორტული ინვენტარით დაასაჩუქრა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, 17 საათზე სფფ-ის სალაროში ჩემპიონატში სამონაწილეო თანხა შეიტანა.

ასე რომ, „გორდა" უმაღლესლიგელია.

**ბაადა ძგანტალიანი**

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი
○ სუ ჯოკ აკუპუნქტურა
○ სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
○ კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)
მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით.
თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი
ტელეფონი: 31-55-35, 38-67-56; 8 99 10 71 09

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ფეხბურთის რუკასთან

**ინგლისში** 70 წლისა გარდაიცვალა ჯეკ უოლკერი, „ბლექბერნ როვერსის" ყოფილი მფლობელი. კლუბის თავჯდომარის განცხადებით, უოლკერს ბლექბერნის „ევუდ პარკის" სტადიონზე დაკრძალავენ. მულტიმილიონერი ჯეკ უოლკერი ბავშვობიდან „ბლექბერნის" ქომაგი იყო. მან ქონება ფოლადის წარმოების ინდუსტრიაში საქმიანობით დააგროვა და 1991 წელს კლუბი შეიძინა. უოლკერმა „ბლექბერნში" რამდენიმე მილიონი გირვანქა დააბანდა. მწვრთნელად მიიყვანა კენი დალგლიში და შეიძინა ალან შირერი, დევიდ ბეტი და გრემ ლე სო. 1992 წელს „ბლექბერნი" პრემიერლიგაში გადავიდა, ხოლო სამი წლის მერე ჩემპიონიც გახდა, პირველად 1914 წლის შემდეგ. ბელქბერნელები ამ წარმატებას სწორედა ჯეკ უოლკერის სახელს უკავშირებენ. ჯეკ უოლკერი ინგლისში ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი იყო, მისი ქონება 750 მილიონ გირვანქად არის შეფასებული.

**ესპანეთის ნაკრების სამარცხვინო მაცხის შემდეგ გერმანიასთან ამხანაგურ შეხვედრაში (1:4) ესპანურ პრესაში მწვრთნელ ხოსე ანტონიო კამაჩოზე თავდასხმები არ წყდება. ეს ფიასკო იყო, წერენ ისინი, ნაკრებში ხომ გვარდიოლა, რაულ, ქრბერია და აბელარდო გვყავდა. თავად კამაჩო მარცხში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს. ის ამბობს, რომ ესპანეთში სეზონი ჯერ არ დაწყებულა და ფეხბურთელებიც ამის გამო მოუმზადებლები იყვნენ, ხოლო მეტოქემ ბუნდესლიგა უკვე გაახალა: „ჩემი ფეხბურთელებით ვამაყობ, მერე რა, რომ წავაგეთ. ყველაზე კმაყოფილი კი სესარ სანჩესით ვარ. გაშვებულ გოლებში მას ბრალი არ მიუძღვის".**

**რუსს** ფორვარდ ანდრეი კანჩელსკისს ნაკრებში დაბრუნება სურს. „ოფიციალურად ვაცხადებ, რომ ნაკრებში სიამოვნებით დავბრუნდები — განუცხადა „რეინჯერსის" ფეხბურთელმა გაზეთ „სპორტ ექსპრესს" — თუმც ამის გადაწყვეტა, სამწუხაროდ, მარტო მე არ შემიძლია, ყველაფერი მწვრთნელზეა დამოკიდებული, ის კი გუნდში არ მიწვევს". ოთხი წლის წინ ევრო 96-ზე წარუმატებლობის გამო რუსეთის ნაკრების ხელმძღვანელობამ რამდენიმე ფეხბურთელი დასაჯა და გუნდიდან გააგდო, მათ შორის კანჩელსკისიც.

**ფინელი ფორვარდი იარი ლიტმანენი ირწმუნება, რომ მას დაახლოებით 20 ძლიერი ევროპული კლუბი ეპატიჟება: „ბარსელონამ" ჩემი გაყიდვა გადაწყვიტა. შემდეგ სხვადასხვა კლუბი შემეხმიანა, არ გამოვრიცხავ, მალე გუნდი გამოვიცვალო. ახლა მშვენიერ ფორმაში ვარ, ბოლო ხუთი წლის მანძილზე პირველად მოხდა, რომ სეზონის წინ არ დავშავდი" — განაცხადა ლიტმანენმა. ფინელს კატალონიურ კლუბთან კონტრაქტი 2002 წელს უსრულდება. იგი „ბარსელონაში" ლუის ვან გაალმა „აიაქსიდან" გაიყვანა, თუმცა ახლანდელმა მწვრთნელმა ლუის სერა ფერერმა მისი გაყიდვა გადაწყვიტა.**

**პორტუგალიელმა** მცველმა აბელ შავიერმა, რომელიც უეფამ ცხრათვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა, სასამართლოს მიმართა და უეფას წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელი ევრო 2000-ის ნახევარფინალში მინდვრიდან გააძევეს და მკაცრად დასაჯეს. პორტუგალიელს უეფას ეგიდით ჩატარებულ მატჩებში თამაში აეკრძალა. მისმა კლუბმა „ევერტონმა" ცოტა ხნის წინ სასჯელი უეფაში გაასაჩივრა, თუმც ამან შედეგი არ გამოიღო. ახლა სიტყვა საარბიტრაჟო სასამართლოზეა.

## ინგლისი

# 100 ათასი გირვანქა ჩელსიზე



„ლიდსში" კიდევ ექვსი წლით დარჩენილი მენეჯერი დევიდ ოლირი (მარცხნივ) და ჰარი კიუელი

**მავანი** ინგლისელი გულშემატკივარი, რომელიც უფულობას არ უნდა უჩიოდეს, ასი ათას გირვანქიან ფსონს ჩავიდა „ჩელსის" გაჩემპიონებაზე. ჯანლუკა ვიალის ბიჭებმა მართლა თუ გაიმარჯვეს, ეს ინგლისელი, იცოცხლეთ, დიდძალ მოგებას მიიღებს, მაგრამ, დამეთანხმებით, „ჩელსი" არც ისე უდავო ფავორიტია, ამხელა თანხის გარისკვა ღირდეს.

გაჩემპიონებას უპირველესად „მანჩესტერ იუნაიტედს" უწინასწარმეტყველებენ, მიუხედავად იმისა, რომ ამ გუნდმა რამდენიმე დღის წინ „ჩარითი შილდად" წოდებული ინგლისის სუპერთასი თავხოტორა იტალიელის გუნდს დაუთმო, ხოლო სერ ალექს ფერგიუსონს შემადგენლობის გასაძლიერებლად პრაქტიკულად ხელი არ გაუნძრევია. კაცია და გუნება. ცხვირწითელა შოტლანდიელმა ალბათ იცის თავისი საქმე, მით უმეტეს, რომ რა ხანია, ინგლისში „მანჩესტერთან" ღირსეულად მოპაექრე გუნდი არ გამოჩენილა. გეხსომებათ, წინა სეზონში პრიმერადივიზიონის, სერია A-ს თუ ბუნდესლიგის ჩემპიონთა ვინაობა ბოლო ტურმა გაარკვია, ინგლისში კი „მანჩესტერის" ზეობა ლამის პირველი წრის შემდეგ გადაწყვეტილი იყო. მან მეორეადგილოსან „არსენალს" მთელი 18 ქულით გაუსწრო.

ზაფხულის სატრანსფერო სიგიჟეების ფონზე „მანჩესტერ იუნაიტედი" ერთობ მოკრძალებულ გუნდად ჩანს მაშინ, როცა ყელამდე ვალებში ჩაფლულმა მადრიდის „რეალმა" ახალი ფეხბურთელების შესაძენად ას მილიონ დოლარზე მეტი დახარჯა, მსოფლიოს უმდიდრესმა კლუბმა კი 11,7 მილიონის დახარჯვა იკმარა.

ფაბიენ ბარტეზი ფერგიუსონის ერთადერთი შენაძენია. მოგეხსენებათ, დანიელი პიტერ შმაიხელის წასვლის მერე, წინა სეზონში, მანჩესტერელთა კარს სამი სხვადასხვა მეკარე იცავდა — ედვინ ვან დერ გოუ, მასიმო ტაიბი და მარკ ბოსნიჩი. ფრანგი მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონის აყვანით კი „მანჩესტერის" სასტარტო შემადგენლობა საბოლოოდ შეიკრა.

დღეს „მანჩესტერ იუნაიტედი" იწყებს ბრძოლას იმისთვის, რისთვისაც არასდროს მიუღწევია. სხვადასხვა დროს მან ოთხჯერ შეძლო დუბლის შესრულება — პრემიერლიგის ზედიზედ ორჯერ მოგება. ეს იყო 1956 და 57, 93 და 94, 96 და 97 და 99-2000 წლებში. ჰეთ თრიქი მისთვის მუდამ აუხდენელ ოცნებად რჩებოდა. ისე, პრემიერლიგას სულ სამი შემთხვევა ახსოვს, როცა ერთი გუნდი ზედიზედ სამჯერ გახდა ჩემპიონი: „ჰადერსფილდი" — 1924 — 25 — 26, „არსენალი" — 1933 — 34 — 35 და „ლივერპული" — 1982 — 83 — 84 წლებში. რა გასაკვირია, რომ „მანჩესტერს" არ სურს, „ჰადერსფილდს" რამეთი ჩამორჩებოდეს.

ვინ იცის? თავისთავად ის ფაქტი, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი" ბოლო ათწლეულის ინგლისის საუკეთესო კლუბია, სულაც არ ნიშნავს, რომ ის აუცილებლად ჩემპიონი გახდება. მაშ ვინ, თუ არა ალექს ფერგიუსონის ნაქები გუნდი? ზემოთ ნახსენები ინგლისელი გულშემატკივრის გასახარად, სპეციალისტები ფავორიტთა შორის მეორე ადგილზე „ჩელსის" აყენებენ.

ბოლო ოთხ სეზონში „ჩელსიმ" უამრავი ჯილდო მოიგო. 1997 და 2000 წლებში ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასი, 98-ში ლიგის და თასების მფლობელთა თასები, ახლა ქვეყნის სუპერთასსაც დაეუფლა, თან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „მანჩესტერთან" პაექრობაში, მაგრამ...

„ჩელსიმ" პრემიერლიგა ერთადერთხელ, 1955 წელს მოიგო და მას მერე სანუკვარი ტიტულის მოპოვებას უშედეგოდ ცდილობს. არადა, ინგლისში პრემიერლიგის ჩემპიონობა განსაკუთრებულად ჟღერს და მას ვერანაირი ჯილდო ვერ შეედრება.

„ჩელსიმ" წინა სეზონში ძალიან ბევრი თამაში წააგო. ლამის აქსიომად იქცა ის, რომ ცხრა მატჩის წამგები გუნდი პირველობაზე ვერ იოცნებებს. ამავე დროს ჯანლუკა ვიალის პრემიერლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო დაცვა ჰყავს. „ჩელსიზე" ნაკლები გოლი მხოლოდ „ლივერპულია" გაუშვა, მაგრამ გატანილი გოლების თვალსაზრისით მას საამაყო არაფერი აქვს — მე-13 ადგილზე გასულმა „ევერტონმაც" კი „ჩელსიზე" მეტი შეაგდო.



პრემიერლიგის ხიბლი „ჩელსი" — „მანჩესტერის" „ჩარითი შილდის" ამასწინანდელ მატჩშიც გამოჩნდა

მწირგოლიანობის გამოსასწორებლად ვიალიმ, ვისაც ჯანფრანკო ძოლა და ტორე ანდრე ფლო ჰყავს, ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი შეიძინა და თვლის, რომ სწორედ ჰოლანდიელის გოლებმა უნდა გახადოს „ჩელსი" ჩემპიონი. ვიალის ვარაუდებზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ჰასელბაინკი რომ ბევრ გოლს გაიტანს, ინგლისში ეჭვიც არ ეპარებათ. მადრიდის „ატლეტიკოდან" 22,5 მილიონ დოლარად შეძენილი ფორვარდისგან, არსენალელი ტიერი ანრისთან ერთად, პრემიერლიგის ბომბარდირობას მოელიან.

ვიალისა არ იყოს, არსენ ვენგერსაც თავისი ფორვარდის, ანრის გოლების იმედი აქვს. ანრი და „არსენალის" ახალშენაძენი თავდამსხმელი რობერ პირესი ლონდონელთა შეტევის ხაზს ძალიან სოლიდურ სახეს მისცემენ. აი, „ბარსელონაში" გაყიდული ემანუილ პეტის და მარკ ოვერმარსის შემცვლელთა მოძებნა ვენგერს ფრიად გაუჭირდება. თუმცა შესაძლოა, ვენგერს მალე ახალი თავსატეხიც გაუჩნდეს. დევიდ სიმენი 37 წლისაა, ტონი ადამსი 34-ის. ასაკს თავისი მიაქვს და მწვრთნელი უკვე ახლა უნდა ფიქრობდეს ვეტერანების შესაძლო მემკვიდრეებზე. ისე, არსენ ვენგერი „არსენალის" გაფრანგების პოლიტიკას არ ღალატობს და პირესის გარდა მეცელი გი დემელი წაიყვანა, ხოლო ლორენ ეტამაიერი მართალია კამერუნელია, მაგრამ მაინც ფრანგულენოვანი ქვეყნიდანაა.

ერთობ სერიოზული მიზნები აქვს „ლივერპულს". ეს სახელოვანი წარსულის მქონე კლუბი აგერ ათი წელია, ინგლისის ჩემპიონი ველარ გამხდარა და ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილის დაკავებაც სანატრელი გახდომია, მაგრამ თავად სახელი „ლივერპული" მისი ღირსების დამცველთ აიძულებთ, მუდამ ფავორიტთა შორის იტრიალონ. ასე იქნება ახლაც, რასაც კლუბის შენაძენთა ნუსხაც მოწმობს: კრისტიან ციგე, ნიკ ბარმბი, მარკუს ბაბელი, გარი მაკალისტერი... მათ დახვდებიან: რობი ფაულერი, მაიკლ ოუენი, ემილ ჰესკი... მოკლედ, ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. ახლა გასარკვევი ისღა რჩება, ჟერარ ულიე მათ შესაძლებლობებს რამდენად ეფექტურად გამოიყენებს.

ჩემპიონობის მაძიებელია, „ლიდს იუნაიტედიც". წინა სეზონში ხშირად ვამბობდით, „ლიდსი" პრემიერლიგის ყველაზე ახალგაზრდული გუნდიაო. ახლა წესით, ახალგაზრდულ ასაკს დიდი გამოცდილებაც უნდა შემატებოდა. მით უმეტეს, გუნდი დომინიკ მატეოთი, მარკ ვიდუკათი და ოლივიე დაკურით გაძლიერდა. თუმცა ლიდსურ კონტრაქტებზე საუბრისას უმნიშვნელოვანესი არა რომელიმე ფეხბურთელის, არამედ მწვრთნელის კონტრაქტია. 42 წლის დევიდ ოლირი „ლიდსში" კიდევ ექვსი წლით დარჩება და ჯამში 10 მილიონ გირვანქას მიიღებს. ასეთი ჯამაგირით კი მსოფლიოში ვერც ერთი მწვრთნელი ვერ დაიკვეხნის.

ფავორიტების ამბავი ვთქვით, ახლა მაჩანჩალებსაც გადავწვდეთ.

„იფსვიჩი", „ბრედფორდი", „ჩარლტონი" — მათ სეზონის ბოლოს პრემიერლიგის დატოვების ყველაზე მეტი შანსი აქვთო, ამტკიცებენ ინგლისელები. ეჭვის თვალით უყურებენ „მანჩესტერ სიტის", „საუთჰემპტონის", „დერბის" და „ქოვენთრის" შესაძლებლობებსაც.

ჩვენ ამ გუნდებიდან ყველაზე მეტად „დერბის" ამბები გვაინტერესებს. მიზეზი გასაგებია — გვსურს, რომ გიორგი ქინქლაძემ პრემიერლიგაში თავი ისახელოს. გიორგის ორი ახალი თანაგუნდელი შეემატა, დენი ჰიგინბოთომი „მანჩესტერ იუნაიტედიდან" და ბიორნ ოტო ბრაგსტადი „რუსენბორგიდან". „დერბიზე" სხვა რა ვთქვათ? ჯობს, ისევ ინგლისელ სპეციალისტებს დავესესხოთ, წინა სეზონში „დერბი" პრემიერლიგაში ქართველმა დატოვაო.

სულ სხვა პრობლემა აქვს მეორე პრემიერლიგელ ქართველს, რატი ალექსიძეს, მის „ჩელსის" „დერბისგან" განსხვავებული მიზნები ამოძრავებს, ალექსიძემ კი სათადარიგოთა სკამიდან წამოდგომისთვის უნდა იბრძოლოს.

**გიორგი დარჯანია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ინგლისის პრემიერლიგა 2000-2001. ყველა გუნდის განაცხადი

### არსენალი (ლონდონი)

*მეკარეები*
1 დევიდ სიმენი
13 ალექს მანინგერი
24 ჯონ ლუკიჩი
31 სტიუარტ ტეილორი
*მცველები*
2 ლი დიქსონი
5 მარტინ კიოუნი
6 ტონი ადამსი
16 სილვინიო
18 ჟილ გრიმანდი
20 მეტიუ აპსონი
22 ოლეგ ლუჟნი
23 ნელსონ ვივასი
29 ეშლი კოული
ბრაიან მაკგოვერნი
რის უესტონი
*ნახევარმცველები*
4 პატრიკ ვიეირა
7 რობერ პირესი
8 ფრედერიკ ლიუნგბერგი
12 ლორენ ეტამაიერი
15 რეი პარლოუ
19 შტეფან მალცი
39 პაოლო ვერნაცა
ჟერმან პენანტი
*თავდამსხმელები*
10 დენის ბერხკამპი
14 ტიერი ანრი
25 ნვანკვო კანუ
გრემ ბარეტი
კრისტოფერ ვრე
*მწვრთნელი: არსენ ვენგერი*

### ჩელსი (ლონდონი)

*მეკარეები*
ედ დე გუი
13 კევინ ჰიჩკოკი
23 კარლო კუდიჩინი
*მცველები*
2 კრისტიან პანუჩი
3 სელესტინ ბაბაიარო
4 იეს ჰოგი
5 ფრანკ ლებეფი
14 გრემ ლე სო
15 მარიო მელხიოტი
17 ალბერტ ფერერი
26 ჯონ ტერი
30 ემერსონ ტომე
33 ლუკა პერკაზი
სტეფან ბროუდი
ჯო კინენი
*ნახევარმცველები*
6 მარსელ დესაი
8 გუსტავო პოიეტი
11 დენის უაიზი
16 რობერტო დი მატეო
18 გაბრიელე ამბროზეტი
20 ჯოდი მორისი
21 ბერნარ ლამბური
24 სემ დალა ბონა
34 ჯონ ჰარლი
*თავდამსხმელები*
9 ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი
12 მარიო სტანიჩი
19 ტორე ანდრე ფლო
22 ეიდურ გუდიონსენი
25 ჯანფრანკო ძოლა
27 რატი ალექსიძე
28 რობერტ უოლესტონი
32 მიკაელ ფორსელი
სებასტიან კნეისლი
ლეონ ნაითი
კორტნი პიტი
*მწვრთნელი: ჯანლუკა ვიალი*

### მანჩესტერ იუნაიტედი

*მეკარეები*
1 ფაბიენ ბარტეზი
13 მარკ ბოზნიჩი
17 რაიმონდ ვან დერ გოუ
33 პოლ რაჩუბკა
ნიკ კალკინი
*მცველები*
2 გარი ნევილი
3 დენის ირვინი
4 დევიდ მეი
5 რონი იონსენი
6 იაპ სტამი
12 ფილიპ ნევილი
21 ჰენინგ ბერგი
22 რონი უოლვორკი
24 ვეს ბრაუნი
27 მიშელ სილვესტრი
30 ჯონ ოში
ლი როში
*ნახევარმცველები*
7 დევიდ ბექემი
8 ნიკი ბათი
15 იესპერ ბლომკვისტი
16 როი კინი
23 მაიკლ კლეგი
25 კვინტონ ფორჩუნი
26 მარკ უილსონი
28 მაიკლ სტიუარტი
31 დარენ ფლეტჩერი
32 ბოიანდ ჯორდიჩი
*თავდამსხმელები*
9 ენდი კოული
10 ტედი შერინგემი
11 რაიან გიგზი
18 პოლ სქოულზი
19 დუაიტ იორკი
20 ოლე გუნარ სოლსკიაერი
29 ალექს ნოტმენი
34 ჯონათან გრინინგი
35 დევიდ ჰეილი
*მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი*

### ნიუკასლ იუნაიტედი

*მეკარეები*
1 შეი გივენი
13 სტივ ჰარპერი
29 ჯონ კარელსე
*მცველები*
2 უორენ ბარტონი
3 მარსელინიო ელენა
4 დიდიე დომი
5 ალან გომა
12 ენდი გრიფინი
18 აარონ ჰიუზი
21 დიეგო გავილანი
27 დევიდ ბეჰაროლი
30 სტივენ კოლდუელი
33 დეს ჰამილტონი
34 ნიკოს დაბიზასი
36 გარი კოლდუელი
39 დევიდ მაკმაჰონი
40 კარლ სერანტი
*ნახევარმცველები*
7 რობ ლი
8 კირონ დაიერი
10 კრისტიან ბასედასი
11 გარი სპიდი
15 ნოლბერტო სოლანო
17 დანიელ კორდონე
19 სტივენ გლასი
22 ჯეიმი მაკლენი
24 გარი ბრედი
25 ბრაიან კერი
26 ჯეიმს კოპინგერი
31 სტივ გრინი
37 ლორან შარვე
*თავდამსხმელები*
9 ალან შირერი
16 კარ კორტი
32 კევინ გალაჰერი
*მწვრთნელი: ბობი რობსონი*

### დერბი ქაუნთი

*მეკარეები*
1 მარტ პოომი
24 ენდი ოუქსი
*მცველები*
2 ჰორასიო კარბონარი
3 შტეფან შნური
15 დენი ჰიგინბოთემი
16 იაკობ ლაურსენი
18 რიჩარდ ჯექსონი
19 სტივ ელიოტი
21 კრის რიგოტი
27 იან ევატი
კონ ბლეტისი
ბიორნ ოტო ბრაგსტადი
*ნახევარმცველები*
4 დერილ პაუელი
5 რორი დელაპი
6 კრეიგ ბარლი
7 სეტ ჯონსონი
10 გიორგი ქინქლაძე
13 ავი ნიმნი
14 ლარს ბოჰინენი
15 მარკ ბრიჯ-უილკინსონი
17 ადამ ბოლდერი
20 სტეფანო ერანიო
22 ადამ მიურეი
23 პოლ ბოერტიენი
28 სუმო ვალაკარი
*თავდამსხმელები*
8 დინ სტარიჯი
9 დეონ ბარტონი
11 ლი მორისი
12 მალკოლმ კრისტი
25 ბრანკო შტრუპარი
26 მარვინ რობინსონი
*მწვრთნელი: ჯიმ სმიტი*

### ასტონ ვილა (ბირმინგემი)

*მეკარეები*
1 დევიდ ჯეიმსი
13 ნაილ კატლერი
39 პეტერ ენკელმანი
40 მეტიუ გენტი
*მცველები*
3 ალან რაიტი
4 გარეთ საუთგეიტი
5 უგო ეჰიოგუ
15 გარეთ ბერი
16 ალფაი ოზალანი
24 მარკ დილანი
31 ლოიდ სამუელი
*ნახევარმცველები*
6 ჯორჯ ბოატენგი
7 იან ტეილორი
11 ალან ტომპსონი
14 დაეიდ ჟინოლა
26 სტივ სტოუნი
27 მაიკლ სტენდინგი
30 ჯონათან ბრიუერსი
32 აარონ ლესკოტი
38 ჯონ მაკგრათი
*თავდამსხმელები*
9 დიონ დაბლინი
10 პოლ მერსონი
12 ჯულიან ჯოუჩიმი
17 ლი ჰენდრი
19 რიჩარდ უოკერი
20 ლუკ ნილისი
22 დარიუს ვასელი
*მწვრთნელი: ჯონ გრეგორი*

### ბრედფორდ სიტი

*მეკარეები*
1 გარი უოლში
13 მეტიუ კლარკი
17 აიდან დევისონი
*მცველები*
2 იან ნოლანი
3 ენდი მეიერსი
5 დევიდ ვეზეროლი
12 ეშლი ვესტვუდი
14 ენდრიუ ობრაიენი
18 გუნარ ჰალე
20 პეტერ აზერტონი
22 უეინ ჯაკობსი
23 მარკ ბოუერი
26 დან პეტრესკუ
*ნახევარმცველები*
4 სტიუარტ მაკკოლი
6 გარეთ უოლი
7 ჯეიმი ლოურენსი
11 პიტერ ბიგრი
16 ლი შარპი
25 სკოტ კერი
30 დევიდ ჰოპკინი
*თავდამსხმელები*
8 რობი ბლეიკი
10 ბენიტო კარბონე
15 დინ უინდასი
19 ისაია რანკინი
21 დინ სონდერსი
24 გარეთ გრანტი
ეშლი უორდი
*მწვრთნელი: კრის ჰაჩინგსი*

### ქოვენთრი სიტი

*მეკარეები*
1 მაგნუს ჰედმანი
13 კრის კირკლენდი
23 მორტენ ჰილდგაარდი
*მცველები*
2 მარკ ედვორთი
4 პოლ უილიამსი
5 კოლინ ჰენდრი
6 რიჩარდ შოუ
17 გარი ბრინი
20 ტომას გუსტაფსონი
24 მარკუს ჰალი
26 მუჰამედ კონჯიჩი
*ნახევარმცველები*
3 სტივ ფროგატი
8 იუსუფ ჩიპო
10 მუსტაფა ჰაჯი
12 პოლ ტელფერი
14 კარლტონ პალმერი
15 ჯონ ოსტიჩი
21 გევინ სტრაჩანი
22 ბარი ქუინი
27 სტივენ მაკფი
29 რუნარ ნორმანი
*თავდამსხმელები*
9 სედრიკ რუსელი
11 ისრაელ ზუნიგა
16 ჯონ ალოიზი
25 ბარი ფერგიუსონი
28 ჯეი ბოტროიდი
30 ლორან დელორჟი
*მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი*

### ევერტონი (ლივერპული)

*მეკარეები*
1 პოლ ჟერარი
13 სტივ სიმონსენი
35 ტომას მირე
*მცველები*
2 სტივ უოტსონი
3 ალესანდრო პისტონე
4 რიჩარდ გაფი
5 დევიდ ვეირი
6 დევიდ ანსუორთი
15 რიჩარდ დანი
20 ალექს კლილენდი
22 დეივ უოტსონი
*ნახევარმცველები*
7 ნიკლას ალექსანდერსონი
8 ალექს ნიარკო
10 სტივენ ჰიუზი
11 მარკ პემბრიჯი
12 მაიკლ ბოლი
16 თომას გრავესენი
17 სკოტ ჯემილი
18 პოლ გესქოინი
25 პიტერ დენი
28 აბელ შავიერი
*თავდამსხმელები*
9 კევინ კემპბელი
14 ფრენსის ჯეფერსი
19 ჯო-მაქს მური
21 დენი კადამარტერი
23 მარკ ჰიუზი
26 ფილ ჯევონსი
27 ჯეიმი მილიგანი
დანკან ფერგიუსონი
*მწვრთნელი: უოლტერ სმიტი*

### ლიდს იუნაიტედი

*მეკარეები*
1 ნაიჯელ მარტინი
13 პოლ რობინსონი
26 დენი მილოშევიჩი
შონ ოლოვეი
*მცველები*
2 გარი კელი
3 იან ჰარტი
5 ლუკას რადებე
6 ჯონათან ვუდგეიტი
18 დენი მილსი
22 მაიკლ დაბერი
29 კევინ ევანსი
30 რობერტ მოლენაარი
31 გარეთ ევანსი
37 დემიენ ლინჩი
41 ჯეისონ ლანსი
დომინიკ მატეო
*ნახევარმცველები*
4 ოლივიე დაკური
11 ლი ბოუელი
14 სტივენ მაკფაილი
19 ერიკ ბაკე
20 მეტიუ ჯოუნსი
23 დევიდ ბეტი
24 დენი ჰეი
27 ალან მაიბერი
32 საიმონ უოტსონი
33 უესლი ბოილი
34 კევინ დიქსონი
35 ლი მეტიუზი
39 ალან მარტინი
40 ალან კელი
42 ტონი ლენონი
*თავდამსხმელები*
8 მაიკლ ბრიჯისი
9 მარკ ვიდუკა
10 ჰარი კიუელი
12 დარენ ჰაკერბი
16 ჯეისონ უილკოქსი
17 ალან სმიტი
36 უორენ ფინი
38 ტონი ჰაკვორთი
43 ჰარპალ საინი
*მწვრთნელი: დევიდ ოლირი*

### ლივერპული

*მეკარეები*
1 სანდერ ვესტერფელდი
19 პეგი არპეშადი
26 იორგენ ნილსენი
*მცველები*
2 სტეფან ენჩოსი
4 რიგობერ სონგი
5 სტივ სტონტონი
6 მარკუს ბაბელი
12 სემი ჰიპია
14 ვეგარდ ჰეგემი
23 ჯეიმი კარაგერი
30 ჯიმი ტრაორე
31 როდე კიპე
კრისტიან ციგე
კევინ დოჰერთი
*ნახევარმცველები*
7 ვლადიმირ შმიცერი
11 ჯეიმი რედნაპი
13 დენი მერფი
16 დიტმარ ჰამანი
17 სტივენ ჯერარდი
20 ნიკ ბარმბი
21 გარი მაკალისტერი
24 ბერნარ დიომედი
29 სტივენ რაიტი
ლეიტონ მაქსველი
ალან ნავარო
რიჩი პარტრიჯი
*თავდამსხმელები*
8 ემილ ჰესკი
9 რობი ფაულერი
10 მაიკლ ოუენი
15 პატრიკ ბერგერი
18 ერიკ მეიერი
22 ტიტი კამარა
32 ჯონ ნიუბი
ჰაუკურ გუდნასონი
*მწვრთნელი: ჟერარ ულიე*

### ლესტერ სიტი

*მეკარეები*
1 ტიმ ფლაუერსი
ჯონ ჰოჯსი
საიმონ როისი
*მცველები*
2 გარი როუეტი
3 ფრენკ სინკლერი
4 გერი ტაგარტი
5 სტივ უოლში
14 კალუმ დავიდსონი
15 ფილ ჯილკრისტი
18 მეტ ელიოტი
ტომი გუდვინი
ჯორდან სტიუარტი
დენი ტომასი
*ნახევარმცველები*
6 მაზი იზეტი
7 ნილ ლენონი
8 რობი სევიჯი
11 სტივ გაპი
16 სტიუარტ კემპბელი
17 სტივენ ოუქსი
24 ენდი იმპი
25 სტიუარტ უილსონი
ტიმ მაკკანი
როს მიტჩელი
რობერტ ულატორნი
*თავდამსხმელები*
9 დარენ ედი
10 სტენ კოლიმორი
13 არნარ გუნლაუგსონი
20 ტრევორ ბენჟამინი
22 ადე აკინბი
27 ტონი კოტი
28 ლოური დაფილდი
*მწვრთნელი: პიტერ ტეილორი*

### საუთჰემპტონი

*მეკარეები*
1 პოლ ჯოუნსი
13 ნაილ მოსი
20 სკოტ ბივენი
*მცველები*
2 ჯეისონ დოდი
3 ჯონ ბერესფორდი
5 კლაუს ლუნდეკვამი
6 დეან რიჩარდსი
12 რიჩარდ დრიდენი
15 ფრენსის ბენალი
18 უეინ ბრიჯი
24 პატრიკ კოლეტერი
25 გარი მონკი
27 ტაჰარ ელ ხალეჯი
*ნახევარმცველები*
4 კრის მარსდენი
8 მეტიუ ოუკლი
11 დევიდ ჰოუელსი
14 სტიუარტ რიპლი
21 ჯო ტესემი
22 დევიდ ჰიუზი
26 იმანტას ბლეიდელისი
28 კევინ გიბენსი
30 ჰასან კაჩლული
32 ტრონდ-ეგილ სოლტვედტი
მარკ დრეიპერი
პოლ ჰიუზი
ბრუნო ლეალი
*თავდამსხმელები*
7 მეტიუ ლე ტისიე
10 კევინ დევისი
16 ჯეიმს ბიტი
17 მარიან პახარსი
19 დენი როდრიგესი
31 შონ ბრედლი
35 ლუიშ ბოა მორტე
უვე როსლერი
*მწვრთნელი: გლენ ჰოდლი*

### მიდლსბრო

*მეკარეები*
1 მარკ შვარცერი
13 მარლონ ბერესფორდი
25 მარკ კროსლი
*მცველები*
2 კერტის ფლემინგი
3 დინ გორდონი
4 სტივ ვიკერსი
5 ჯანლუკა ფესტა
6 გარი პალისტერი
21 კრეიგ ჰარისონი
27 რობერტ სტოკდეილი
28 კოლინ კუპერი
29 ჯეისონ გეივილი
32 სტივ ბეკერი
*ნახევარმცველები*
7 რობი მასტო
8 კრისტიან კარამბუ
9 პოლ ინსი
14 პოლ ოკონი
15 ნილ მედისონი
22 მარკ სამერბელი
23 კარლოს არტურო მარინელი
24 ფილ სტამპი
31 ალან მური
33 ენტონი ორმეროდი
*თავდამსხმელები*
10 ბრაიან დინი
11 ალენ ბოკშიჩი
12 კეიტ ონილი
16 ჟოზეფ-დეზირე ჟობი
18 ენდი კემპბელი
19 ჰამილტონ რიკარდი
20 ალან არმსტრონგი
26 ნოელ ველანი
*მწვრთნელი: ბრაიან რობსონი*

### სანდერლენდი

*მეკარეები*
1 ტომას სორენსენი
13 ენდი მერიოტი
30 იურგენ მახო
*მცველები*
2 კრის მაკინი
3 მაიკლ გრეი
5 სტივ ბოულდი
6 პოლ ბატლერი
14 დარენ ჰოლოვეი
17 ჯოდი კრადოკი
18 დარენ უილიამსი
24 ჯორჯ მაკკარტნი
25 მარკ მეილი
32 სტანისლავ ვარგა
*ნახევარმცველები*
4 დონ ჰატჩისონი
7 ნიკი სამერბი
8 გევინ მაკკენი
11 კევინ კილბეინი
15 კარსტენ ფრედგაარდი
16 ალექს რაე
19 ერიკ რუა
20 სტეფან შვარცი
21 პოლ ტირლველი
22 ნილ ვაინრაიტი
23 კრის ლამსდონი
26 ტომას ბატლერი
28 ჯონ ოსტერი
29 ტომ პეეტერსი
*თავდამსხმელები*
9 ნეილ ქუინი
10 კევინ ფილიპსი
12 დანიელ დიჩიო
27 მაიკლ რიდი
31 მილტონ ტაისონ ნუნეში
34 კევინ კილი
მაიკლ პროკტორი
*მწვრთნელი: პიტერ რიდი*

### ტოტენჰემ ჰოთსპური (ლონდონი)

*მეკარეები*
1 იან უოკერი
13 ნილ სალივანი
*მცველები*
2 სტივენ კარი
3 მაურისიო ტარიკო
5 სოლ კემპბელი
6 კრის პერი
12 გარი დოჰერთი
18 ბენ ტეტჩერი
21 ლუკ იანგი
26 ლედლი კინგი
30 ენტონი გარდნერი
34 რამონ ვეგა
*ნახევარმცველები*
4 შტეფან ფროინდი
7 დარენ ანდერტონი
8 ტიმ შერვუდი
17 ოივინდ ლეონარდსენი
25 სტეფან კლემენსი
29 საიმონ დევისი
31 რუელ ფოქსი
32 ჟოზე დომინგუში
33 მარკ გოუერი
37 ჯონ პირსი
იონ იონსენი
ჯონათან პარტინი
*თავდამსხმელები*
9 ლეს ფერდინანდი
10 სტეფან ივერსენი
11 სერგეი რებროვი
15 ვილემ კორსტენი
16 კრის არმსტრონგი
27 დეივ მაკევანი
28 მეტიუ ეზერინგტონი
35 ნილ ფენი
*მწვრთნელი: ჯორჯ გრემი*

### ვესტ ჰემი (ლონდონი)

*მეკარეები*
1 შაკა ჰისლოპი
22 კრეიგ ფორესტი
32 სტივენ ბივატერი
*მცველები*
2 გარი ჩარლზი
3 სტიუარტ პირსი
4 სტივ პოტსი
5 იგორ შტიმაცი
6 ჰეიდენ ფოქსი
7 მარკ კელერი
15 რიო ფერდინანდი
17 ნაიჯელ უინტერბერნი
19 იან პირსი
20 სკოტ მინტო
30 ხავიერ მარგასი
*ნახევარმცველები*
8 ტრევორ სინკლერი
11 სტივ ლომასი
16 ჯონ მონკუ
18 ფრენკ ლამპარდი
25 სტიულანდ ანგუსი
26 ჯო კოული
*თავდამსხმელები*
9 დავორ შუკერი
10 პაოლო დი კანიო
12 პოლ კიტსონი
14 ფრედერიკ კანო
*მწვრთნელი: ჰარი რედნაპი*

### ჩარლტონ ატლეტიკი

*მეკარეები*
1 დინ კელი
13 საშა ილიჩი
22 ბენ რობერტსი
*მცველები*
2 რადოსტინ კიშიშევი
3 კრის პაუელი
5 რიჩარდ რუფუსი
6 კარლ ტაილერი
12 სტივ ბრაუნი
15 ედი იუდსი
16 გრეგ შილდსი
19 ენდი ტოდი
24 ჯონათან ფორჩუნი
32 დენი შიტუ
34 მარკ როიალი
*ნახევარმცველები*
4 გრემ სტიუარტი
7 შონ ნიუტონი
8 მარკ კინსელა
11 ჯონ რობინსონი
17 სკოტ პარკერი
18 პოლ კონჩესკი
20 კლაუს იენსენი
23 ენტონი ალმანი
27 ქემალ იზეტი
31 ქარიმ ბაგერი
33 დევიდ კოლინზი
*თავდამსხმელები*
9 ენდი ჰანტი
10 კლაივ მენდონკა
14 მარტინ პრინგლი
21 ჯონათან იოჰანსონი
25 ლი ჰელსი
26 მატიას სვენსონი
28 ჯონ სალაკო
29 კევინ ლისბი
30 ჩარლი მაკდონალდი
*მწვრთნელი: ალან კერბიშლი*

### იფსვიჩ თაუნი

*მეკარეები*
1 რიჩარდ რაიტი
13 მაიკ სალმონი
21 კეიტ ბრანაგანი
26 ჯეიმს პულენი
*მცველები*
2 ფაბიან უილნისი
3 ჯეიმი კლაპამი
4 ჯონ მაკგრილი
5 ტონი მოუბრეი
6 მარკ ვენუსი
15 ჯონ სკაილზი
16 გარი კროფტი
17 უეინ ბრაუნი
18 მანუელ ტეტისი
19 ტიტუს ბრემბლი
29 ჯასტინ მილერი
31 სტივენ მოფატი
ჰერმან ჰრეიდარსონი
*ნახევარმცველები*
7 ჯიმ მეჯილტონი
8 მეტ ჰოლანდი
14 ჟერმან რაიტი
22 სტიუარტ ნივენი
28 ნაბილ აბიდალაჰი
30 მარტინ როიზერი
*თავდამსხმელები*
9 დევიდ ჯონსონი
10 ჯეიმს შოუკროფტი
11 მარკუს სტიუარტი
12 რიჩარდ ნეილორი
20 რიჩარდ ლოგანი
23 შონ ფრიარსი
24 მილ მიდჯლი
25 ეშლი ნიკოლსი
27 გილერმო გრააენი
*მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი*

### მანჩესტერ სიტი

*მეკარეები*
1 ნიკ ვიაერი
13 ტომი რაიტი
26 რიჩარდ მაკკინი
30 სტივენ ჰოჯსონი
*მცველები*
3 რიჩარდ ედჯილი
4 ჯერარდ ვიკენსი
5 ენდი მორისონი
7 სპენსერ პრიორი
15 ალფ ინგე ჰაალანგი
20 დენი ტიატო
21 ნიკ ფენტოლი
25 რიჩარდ ჯობსონი
27 შონ ჰოლმსი
36 დენი გრენვილი
სტივ ჰაუი
*ნახევარმცველები*
2 ლი კრუკსი
6 კევინ ჰორლოკი
8 იან ბიშოპი
17 ჯიმ უიტლი
18 ჯეფ უიტლი
20 გარი მეისონი
28 ტონი გრანტი
31 დევიდ ლეიკუკი
*თავდამსხმელები*
9 პოლ დიკოვი
10 შონ გოტერი
11 ტერი კუკი
12 დენი ალშოპი
14 გარეთ ტეილორი
22 ჟორჟ ვეა
29 შონ რაიტ-ფილიპსი
32 ლენონ მაიკი
33 კრის კილემი
34 მარკ კენედი
პაულო ვანჩოპე
*მწვრთნელი: ჯო როილი*

# რაიან გიგზი: ტიტულს ვინ შეგვეცილება?!

# მარკუს ბაბელი: აჯობე იუნაიტედს და...




რაიან გიგზი



მარკუს ბაბელი

**ინგლისის ჩემპიონობა ყველასთვის სანუკვარია, მაგრამ გამარჯვებას დიდი ძალისხმევა სჭირდება. თუ ძლიერი ხარ, მინდორზე დაამტკიცებ და ჩემპიონიც გახდები. ფეხბურთელები, რომლებიც 365-ს ელაპარაკნენ, ჩემპიონები არიან. მარკუს ბაბელი მიუნხენის „ბაიერნის“ შემადგენლობაში გახდა გერმანიაში უძლიერესი, ხოლო რაიან გაგზმა და მისმა „მანჩესტერმა“ ინგლისში აჯობეს ყველას. ახლა ბაბელი კარიერას „ლივერპულში“ აგრძელებს. მოკლედ საქმე ისაა, რომ წლეულს საუკეთესოს ტიტულს ერთ-ერთი (ან ვერც ერთი) უნდა დაეუფლოს. ვისი გუნდი აჯობებს, ბაბელის „ლივერპული“ თუ გიგზის „იუნაიტედი“? ძნელია თქმა, ინგლისში ორივე ტიტულიანი და ამბიციური კლუბია. თუმცა...**

**— ამ სეზონში თქვენი გუნდის შანსს როგორ შეაფასებდით?**

*მარკუს ბაბელი:* თუ „ლივერპული“ თავის თამაშს ითამაშებს, მაშინ „მანჩესტერ იუნაიტედს“ კონკურენციას გაუწევს და ეგებ ჩემპიონიც გახდეს. სეზონის დასაწყისიდანვე უნდა ვეცადოთ, უპირატესობას მივაღწიოთ. გარდა ამისა, ევროტურნირებზეც უნდა გამოვიჩინოთ თავი. ადვილი არ იქნება, მაგრამ „ლივერპულმა“ ევროპაში თავისი სიტყვა უნდა თქვას.

*რაიან გიგზი:* ჩვენი მიზანი ინგლისის ჩემპიონობა და ევროთასებზე წარმატების მიღწევაა. საამაყოა, როცა ქვეყნის პირველ გუნდში თამაშობ. ინგლისის თასზე ერთი სეზონი გავაცდინეთ და ახლა ამ გათამაშებასაც მოუთმენლად ველით. „იუნაიტედი“ ყოველთვის უმაღლესი ჯილდოებისთვის იბრძვის, წლეულსაც ასე იქნება. ჩვენ ფავორიტებად გვთვლიან, შანსებზე ესეც მეტყველებს.

**— გუნდში სისუსტეებს თუ ამჩნევთ?**

*ბაბელი:* რაც ვნახე, იქედან გამომდინარე ვიტყვი, რომ გუნდი თამაშის ხარისხს აუმჯობესებს. ყველა ხაზი კარგადაა დაბალანსებული. კარგი იქნება, თუ მეტად შევიკვრებით. სეზონი დაიწყება და უკეთ გამოჩნდება, რომელი რგოლი მოითხოვს მეტ ყურადღებას.

*გიგზი:* მიჭირს „იუნაიტედის“ ნაკლზე საუბარი. შარშან პრემიერლიგა უდიდესი უპირატესობით მოვიგეთ, თუმცა მთავარი ისაა, რომ მიღწეულზე არასდროს შევჩერდებით, ყოველთვის მეტი წარმატება გვწყურია.

**— პირადი მიზნებიც გაგვიმხილეთ.**

*ბაბელი:* „ლივერპულში“ ჩარიცხვა ჩემთვის დიდი წარმატება იყო. „ბაიერნში“ 6 წელიწადი ვითამაშე. სხვაგან წასვლაც შემეძლო, მაგრამ პრემიერლიგაში გადმოსვლა და „ლივერპულთან“ ერთად წარმატების მიღწევა განვიზრახე. ინგლისში უკვე გადმოვედი, ახლა მსურს, გუნდთან ერთად ჯილდოც მოვიგო.

*გიგზი:* ჩემთვის მთავარია ტრავმებს გადავურჩე და მეტი ვითამაშო, თანაც გუნდის წარმატებაში წვლილი შევიტანო. შარშან ნამდვილად ვისიამოვნე, რადგან რთული ტრავმა არ მიმილია, როცა თამაში შეგიძლია, ეს, ალბათ, ყველაფერს სჯობს.

**— შარშანდელი სეზონის მიღწევებზეც გვითხარით...**

*ბაბელი:* „ბაიერნის“ შემადგენლობაში ბუნდესლიგა რომ მოვიგე, სიხარულით მეშვიდე ცაზე ვიყავი, იქაურობა ახლაც ხშირად მენატრება, თუმცა როცა ეს განცდა მეუფლება, მაშინვე ვიხსენებ, რომ ახალ სეზონს „ლივერპულში“ დავიწყებ... არ დავმალავ, ბედნიერი ვარ.

*გიგზი:* ბუნებრივია, „იუნაიტედთან“ ერთად წარმატება მსიამოვნებს. თანაც, ვიმეორებ, ტრავმას გადავურჩი და ესეც მიხარია. „მანჩესტერში“ თამაში ძალიან მომწონს და სულ იმას ვფიქრობ, გუნდთან ერთად მეტი ტიტული მოვიგო. ისე, ყოველი სეზონი თავისებურად რთულდება.

**— იმედგაცრუებაზეც გკითხავთ...**

*ბაბელი:* „ბაიერნში“ თამაშით ალბათ ნაკლებად დავიჩივლებ, უფრო გერმანიის ნაკრებზე მწყდება გული. ევრო 2000 ძალიან სუსტად ვითამაშეთ, ამას კრახიც შეიძლება ეწოდოს. ვიმეორებ, „ლივერპულში“ ბედნიერი ვარ, თუმცა მეც და სხვა ფეხბურთელებსაც გული გვწყდება, ჩემპიონთა ლიგაში რომ ვერ ვითამაშებთ.

*გიგზი:* ახლაც მგონია, რომ ჩემპიონთა თასის შენარჩუნება შეგვეძლო. სწორედ ეს იყო წინა სეზონის მთავარი იმედგაცრუება. მეოთხედფინალში მადრიდის „რეალთან“ გამოვეთიშეთ ასპარეზობას, რაზეც ყველას გული დაგვწყდა. ისე კი ცუდად ნამდვილად არ გვითამაშია.

**— თქვენი გუნდიდან წლეულს თავს ვინ გამოიჩენს?**

*ბაბელი:* „ლივერპულში“ ახალი მისული ვარ და ვეცდები, ერთ-ერთი მათგანი მეც ვიყო. მაიკლ ოუენს და რობი ფაულერს წარმატების რეალური შანსი აქვთ, თუმცა არც სხვებს დავივიწყებ. „ლივერპულში“ ძლიერი ფეხბურთელები თამაშობენ. და თავის გამოჩენა ყველას ძალუძს.

*გიგზი:* „ოლდ ტრეფორდზე“ ყველა კარგი ფეხბურთელია და მათი გამორჩევა მიჭირს. ვგონებ, „იუნაიტედის“ მთავარი სიძლიერე ისაა, რომ გუნდი შეკრულია. ინდივიდუალიზმზე ყურადღებას ნაკლებად ვამახვილებთ. სწორედ ერთიანობაა წარმატების პირობა.

**— მთავარი კითხვაც, პრემიერლიგას ვინ მოიგებს?**

*ბაბელი:* ვფიქრობ, „ლივერპულს“ ბრწყინვალე შანსი აქვს. ამისთვის კი მთავარია „მანჩესტერ იუნაიტედს“ აჯობო. ის მაიმედებს, რომ ჩვენ ახლა ძლიერი გუნდი გვყავს და ყველა ფეხბურთელი წარმატებისთვის იბრძოლებს.

*გიგზი:* ვინ მოიგებს პრემიერლიგას? „მანჩესტერი“ სხვა ვინ. იქნებ ჩვენი ოპონენტები არ დაეთანხმონ ამ აზრს, მაგრამ არც მე მსურს იმის დაჯერება, რომ ტიტულს ვინმე შეგვეცილება.

**365-დან თარგმნა**
**ნიკა შუბლაძე**

# კოსმოპოლიტური მიმოხილვა

ფრაგმენტები ცნობილი ქართველი მწვრთნელის ენგელბერტ პონტელავას (დიდება მას) დღიურიდან.



1 აგვისტო. აუ, ჩემი
2 აგვისტო
კარგი, რა... შვილი ვიყო
3 აგვისტო
ილება
4 აგვისტო
არ ილება
5 აგვისტო
პივა, თევზი და რამე
6 აგვისტო
ტრენიროვკა
7 აგვისტო
მობილური მომპარეს
8 აგვისტო
პაკრიშკა მოვპარე
9 აგვისტო
პრესკონფერენცია იყო.

კითხვა: — ბატონო ენგო, ფეხბურთში თქვენი დაბრუნების შემდეგ უცხოელმა მწვრთნელებმა გამალებით დაიწყეს 4-3-1-1-1 განლაგების პერპენდიკულარული დამუშავება. რას ნიშნავს ეს?

პასუხი: — ზნაჩიტ როგორ არი იცი? აი, შენ ჟურნალისტი ხარ და ფუტბოლი არ გიყომარია და როგორ აგიხსნა, მაინც ვერ გაიგებ. ჯერ ითამაშე ცოტა და კითხვები მერე დამისვი, გაიგე.

კითხვა: — ბატონო ენგო, „რომასთან“ რომ მოგიხდეთ თამაში და მეტოქემ პრესინგის მეთოთხმეტე ვარიანტს მიმართოს, თქვენ ანტიპრესინგის მეცხრამეტე ვარიანტით ხომ არ უპასუხებდით?

პასუხი: — მე არავის მეშინია, გაიგე? გინდა „რომა“ იყოს და გინდა „მანჩესტერ იუნაიტედი“

კითხვა: — ბატონო ენგო, თქვენს გუნდში სადღობეიშვილი მარჯვენა ფრთაზე თამაშობს, ვადღობეიშვილი მარცხენაზე. მათთვის ადგილების გაცვლა ხომ არ გიფიქრიათ?

პასუხი: — არა. რომც ვიფიქრო შენ არ გეტყვი, გაიგე. ბლატნოი ვარ და იმიტო

კითხვა: — რატომ არ ათამაშებთ ამომავალ ვარსკვლავს გელა ლევინაგოის?

პასუხი: — არ დაწერო და გეტყვი. მამამისს ჯერ მაყუთი არ მოუცია.

კითხვა: — კი მაგრამ, მას ხომ „რეალი“ ეპატიჟება?

პასუხი: — დაპატიჟება „არაგვში“ გამიგია. ჰა, ჰა, ჰა

10 აგვისტო
ილება
11 აგვისტო
ილება
12 აგვისტო
ილება
13 აგვისტო
ფაქტზე დამიჭირეს
14 აგვისტო
თევზი დავიჭირე
15 აგვისტო
დავლიე
16 აგვისტო
ტრენიროვკა
17 აგვისტო
მაყუთი გაიჭრა
18 აგვისტო
სლიშკომა დაიჭრა
19 აგვისტო
მარხვაზე ვარ
20 აგვისტო
ილება
21 აგვისტო
მაგრა დავთვერი
22 აგვისტო
წავაგეთ, მე ამის...
23 აგვისტო
მარხვაზე ვარ
24 აგვისტო
რაზბორკაზე
პლავკა დავჭერი
25 აგვისტო
ილება
26 აგვისტო
ილება
27 აგვისტო
ილება
28 აგვისტო
ილება
29 აგვისტო
დავლიე
30 აგვისტო
ტრუხა იყო
31 აგვისტო
ტრენიროვკა




ვინა, ტო?! გინდა კაპელოს, გინდა ამ სერის პირობებში ამუშავე ლუზოი ქართველი ტრენერი და მერე ვნახოთ...

**ბაბუნა ძედია**

*განცხადება: ახალგაზრდა, ქერა, გრძელფეხება, ლამაზი, გათხოვილი ქალი ეძებს მექრთამე საყვარელს. იმ შემთხვევაში თუ ქმარი ბოლოს და ბოლოს თვითონ დაიწყებს ქრთამის აღებას, გთხოვთ, განცხადება გაუქმებულად ჩათვალოთ.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიო ახვლედიანის

## სვეტი

# თავისუფლება პროლეტარიატს!

მახსოვს, როგორ არა: ჟან მარკ ბოსმანის ამბავი რომ ატყდა ამავე მაგიდასთან ვიჯექი და სვეტს ვწერდი. დიდმა პანიკამ მოიცვა მაშინდელი საფეხბურთო ევროპა და ერთი პროვინციელი მესვეტეც რომ აჰყოლოდა მღელვარებას, რა გასაკვირია.

დიდად შემაშფოთა მაშინ ამ წამოწყებამ და სვეტიც შესაბამისი გამოვიდა, თუმცა, გულის სიღრმეში მაინც მჯეროდა, რომ ლოთბაზარა მესამელიგელი მართალია! მართალია და მორჩა! ზიანს მოიტანს თუ სარგებელს — მისი გულისთქმა ნაღდია, მართალია! მართალია და მოიგო.

მოიგო და ფეხბურთსაც არ წაუგია.

ახლა კი ჩვენს მივარდნილ მხარეში ელექტრონს ახალი ამბავი მოაქვს — ფეხბურთელიც ადამიანია და როცა უნდა მაშინ მიატოვებს სამუშაოსო. ევროპის მესვეურნი ახლა ამის გამო შეეტოტებიან ფიფა-უეფას.

აგაშენებთ ღმერთი:

ყოველთვის მეგონა, რომ ფეხბურთელი ევროპის ყველაზე უუფლებო მოქალაქეა — ფულს კი ბევრს იღებს, მაგრამ ოქროს გალიაში ზის. ყოველთვის მეგონა, რომ ფიფა კრემლივით რამეა. ყოველთვის მეგონა, რომ ეს ბევრნულიანი ტრანსფერები ოდესმე უნდა შეწყდეს.

ახლა ამასაც ადგება საშველი. მაგრამ რა მოხდება?

ვარსკვლავები სირბილს დაიწყებენ და გუნდური ამბავი მოკვდებაო.

რატომ დაიწყებენ? თვითმიზანი ხომ არ არის ყოველ კვირას ახალ გუნდში თამაში? ფულით მოიტყუებენო. ეჰ, მეგობრებო — ამ ფულის ანუ საერთო გუნდური ხელფასის ზედა და ქვედა საზღვრებიც უნდა დაწესდეს. უნდა დაწესდეს, იმიტომ რომ არ შეიძლება ფეხბურთელის ხელფასი აფსურდულ ციფრებამდე მიდიოდეს. ენბიეის და ენეიჩელს თუ აქვს საზღვრები, გადასვლა-გადმოსვლის სისტემები და თან ფედერალურ კანონებსაც არაფერი ეწინააღმდეგება, ფიფა ვინ არის ეგეთი, რომ შუა თავისუფალ ევროპაში თავის კონსტიტუციას აფრიალებდეს.

იგივე გამოდის: პერსპექტივა რთული და ბუნდოვანია, მაგრამ ვინც ფეხბურთელთა სრულ თავისუფლებას მოითხოვს, მართალია. მართალია და მორჩა!

უეფადან ისმის, ფეხბურთი მოღვაწეობის სპეციფიკური სფეროა. დაზვერვა უფრო სპეციფიკურია, თუ ფეხბურთი?

მგონია, რომ ამ საშიშარი კანონის მიღება დიახაც მოხდება, განთავისუფლებულ ფეხბურთელთა მისვლა-მოსვლის რეგულირება კი ეროვნულ ფედერაციათა ხელში უნდა იყოს.

# ვინ და, სპორტინგი!

***პორტუგალიის ჩემპიონატი იწყება და, ბუნებრივია, პირველად ყველა იმას მარჩიელობს, თუ ვინ გახდება წლეულს ქვეყნის უძლიერესი გუნდი. მთავარ ფავორიტად კვლავ სამი კლუბი მოიაზრება და მათი გამოცნობა ძნელი არ არის — ეს „პორტუ", „ბენფიკა" და „სპორტინგია", მათ შორის ვინ იმარჯვებს, აბა ვინ იცის, თუმცა...***



**უქარდელოდ „პორტუს" ძალიან გაუჭირდება**

## პორტუგალია

ლისაბონის „სპორტინგმა" თვრამეტწლიანი პაუზის შემდეგ შარშან ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა და დღევანდელი გადასახედიდან ისე ჩანს, მომავალ სეზონშიც უპირველესი ფავორიტია. მას თანაქალაქელ „ბენფიკასთან" და „პორტუსთან" შედარებით უპირატესობები გააჩნიაო, ამტკიცებს „როიტერის" კორესპონდენტი ლისაბონში. ცხადია, პორტუგალიელი იქაური ქვეყნის ჩემპიონატის სამზარეულოში მეტადაა ჩახედული, მაგრამ რაში გამოიხატება „სპორტინგის" უპირატესობა?

„სპორტინგმა" ცოტა ხნის წინ ამხანაგურ შეხვედრაში ჩემპიონთა თასის მფლობელ მადრიდის „რეალს" 2:1 მოუგო. „ბენფიკა" და „პორტუ" წინასასეზონოდ შედარებით სუსტად გამოიყურებიან. პორტუელებს წლეულს უთუოდ დააკლდებათ მარიო ჟარდელი. ფორვარდი მათ „გალათასარაის" მიჰყიდეს. ბრაზილიელის შემცვლელი კი „პორტუში" ჯერჯერობით არ ჩანს. მოკლედ, მათი მთავარი ამოცანა ახლა ძლიერი თავდამსხმელის მოძებნაა.

ხუთი წელია, „პორტუ" ჩემპიონთა ლიგაში საკვალიფიკაციო ეტაპის გარეშე ხვდებოდა და ტურნირის ერთ-ერთი მუდმივი მონაწილე გახლდათ, წლეულს მათ ეს სიამოვნება მოაკლდათ. ქვეყნის ჩემპიონები ვერ გახდნენ და შესარჩევ ეტაპზე მოუწიათ თამაშმა.

იქ მათ ბელგიის ჩემპიონი „ანდერლეხტი" დაუპირისპირდა. პირველი მატჩი ბრიუსელში ერთი კვირის წინ 1:0 დასრულდა, მასპინძლებმა იმარჯვეს. ასე რომ, მომავალ კვირაში პორტუელებს შინ უპირობო, გამარჯვება სჭირდებათ, რათა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვდნენ.

„ბენფიკას" საქმეები კიდევ უფრო ცუდად ყოფილა. გუნდმა სეზონის წინ რვა ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა. გერმანელი მწვრთნელის, იუპ ჰაინკესის ხელმძღვანელობით ლისაბონელებმა რვიდან მხოლოდ ორი მატჩი მოიგეს, ხოლო ხუთჯერ ფრედ ითამაშეს. ამას გარდა კლუბში ფინანსური კრიზისია.

კვლავ ქვეყნის ჩემპიონ „სპორტინგს" მივუბრუნდეთ. ცხადია, სეზონის წინ კლუბების მთავარი ამოცანა სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობა და სასურველი ფეხბურთელების გუნდში მიზიდვაა. „სპორტინგში" ახლა შვიდი ახალწვეულია, თუმცა აღსანიშნავია, რომ ლისაბონელებმა ამ ყველაფერში მიზერული თანხები დახარჯეს.

მოთამაშეთა უმრავლესობა „სპორტინგში" თავისუფალი აგენტის სტატუსით ჩაირიცხა. ამბობენ, წლეულს ლისაბონელებს გაცილებით დაბალანსებული შემადგენლობა ეყოლებათ, ვიდრე წინა სეზონში, როცა ჩემპიონები გახდნენ.

ახალწვეულთა შორის გამორჩეული პორტუგალიის ნაკრების ფორვარდი ჟოაუ პინტუა. ფეხბურთელმა ლისაბონის „ბენფიკა" დატოვა და ქალაქის მეორე კლუბში ჩაირიცხა. პინტუს „ბენფიკას" თავკაც ჰაინკესთან არცთუ სასიამოვნო დამოკიდებულება ჰქონია, რის გამოც კლუბის გამოცვლა არჩია. ისიც ითქვა, მწვრთნელმა პორტუგალიელი გუნდიდან გააგდოო.

პინტუ ჩემპიონებს თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდა, სამაგიეროდ, „სპორტინგმა" მას პორტუგალიის ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელთა შორის ყველაზე მაღალი ხელფასი დაუნიშნა — წელიწადში 2,27 მილიონი დოლარი.

„რეალ სოსიედადიდან" სამშობლოში დაბრუნდა პორტუგალიის ნაკრების კიდევ ერთი წევრი, რიკარდო ზა პინტუ. კარიერის გაგრძელება მანაც „სპორტინგში" არჩია.

ჩემპიონთა რიგებში არგენტინელი ფორვარდი ალბერტო აკოსტაც თამაშობს, იგი წინა სეზონში „სპორტინგის" საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ლისაბონურ კლუბს ახლა არნახული თავდასხმა ჰყავს — თვლიან პორტუგალიელები.

დაცვაც საგრძნობლად ძლიერია. „სპორტინგში" ლიეჟის „სტანდარდიდან" მარცხენა მცველი დიმაშ ტეიშეირა და „ოვიედოდან" პაულუ ბენტუ მივიდნენ. ეს უკანასკნელი დაწეული ნახევარმცველია და უფრო ხშირად დაცვას ეხმარება.

კარს კი კვლავ პიტერ შმაიხელი დარაჯობს, „მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი დანიელი მეკარე, რომელსაც განსაკუთრებული იღბალი დაჰყვება — სადაც თამაშობს, ის გუნდი ჩემპიონი ხდება. ასე იყო „ბრონდბიუშიც", „მანჩესტერშიც", ასე გრძელდება „სპორტინგშიც".

„პორტუმ" და „სპორტინგმა" წინა კვირას პორტუგალიის სუპერთასის შეხვედრა ჩაატარეს, რომელიც ფრედ 1:1 დასრულდა და მათ შემდგომში კიდევ მოუწევთ დაპირისპირება, რათა ამ თასის მფლობელი გამოავლინონ.

ჟარდელის გაყიდვის შემდეგ „პორტუმ" 15 მილიონი დოლარით შეავსო სალარო. ამის შემდეგ პორტუელებმა „ნიუკასლ იუნაიტედიდან" ხორვატი ფორვარდი სილვიო მარიჩი შეიძინეს, მის სანაცვლოდ კი 2 მილიონი დოლარი გადაიხადეს. თუმცა მარიჩი „ანდერლეხტთან" მატჩში დაშავდა და იძულებითი შესვენება მოუწევს. თანაც მარიჩი ჩემპიონთა ლიგის და ქვეყნის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს ალბათ ვერც შეცვლის.

„პორტუში" გაესპანელებული არგენტინელი ფორვარდი ხუან პიციც ირიცხება.

„ბარსელონას" ყოფილი მოთამაშე პორტუგალიელებმა შარშან „როსარიო სენტრალიდან" გადაიბირეს, თუმცა მასაც მცირე ტრავმები აწუხებს და ჩემპიონატს სრული მზადყოფნით ვერ დაიწყებს.

დაბოლოს, „ბენფიკაზეც" ვთქვათ. ლისაბონელებმა ცოტა ხნის წინ „ფიორენტინას" ნუნუ გომეში მიჰყიდეს. პორტუგალიის ნაკრების ფორვარდის სანაცვლოდ ლისაბონურმა კლუბმა 18,3 მილიონი დოლარი მიიღო, თუმცა „ბენფიკა" ახლა თურმე ფინანსურ კრიზისშია და ახალი ფეხბურთელების შეძენას ვერ ახერხებს. თუ ვინმეს იყიდის, იმაშიც მცირედ თანხას თუ გადაიხდის.

**ნიკა შუბლაძე**



**„ბენფიკადან" წასულები, აწ ფიორენტინელი ნუნუ გომეში და სპორტინგელი ჟოაუ პინტუ**

## საჭირბოროტო კითხვა-პასუხი

***— აბა, თქვი რამეები, გულის გასახარებელი სამოთხეები.***

— ეჰ, რა ვთქვა? ანელკა დამესიზმრა.

***— რას აკეთებდა?***

— ბრაზილიაში მიდიოდა. „გრემიოში" უნდა ვითამაშოო.

***— და პარიზი?***

— ჩემი დონე არ არიო.

***— ეგ უკან უკან მიდის, ხო იცი, შენ.***

— კლუბობრივად უკან, ხელფასობრივად წინ.

***— კიდევ რა დაგესიზმრა.***

— ბერლუსკონი დამესიზმრა.

***— მაგას რაღა უნდოდა?***

— „მანჩესტერს" ყიდულობდა.

***— რა შაგ ქვად უნდოდა?***

— „მილანი" ფილიპინებზე გაეყიდა და ევროპაში მინდა გუნდიო.

***— „მილანი" ფილიპინებში?***

— ხო, თავის გატუზოებით, რედონდოებით, შევჩენკოებით, მანილას „მილანი".

***— მანილა რა არის?***

— მანილა, ფილიპინების დედაქალაქია.

***— და მილანი?***

— რა მილანი?

***— მილანს რა გუნდი ჰყავს ეხლა?***

— „რეალ მილანი", მადრიდიდან მიუყიდიათ.

***— აბა, მანჩესტერი იყიდაო.***

— ეგ ბერლუსკონიმ. „რეალი" მორატიმ იყიდა, იმიტომ რომ „ინტერი" გაყიდა.

***— ვის მიყიდა?***

— კენ ბეიტსს, რომელმაც „ჩელსი" გაუშვა ბუენოს აირესში.

***— კარგი, ნუ დამაბნიე. მილანს რა გუნდები ჰყავს?***

— „რეალ მილანი" და „მილან იუნაიტედი".

***— და მანჩესტერს რაღა, ვირის თავფეხი?***

— არა რატომ, „სიტი" ხომ ჰყავს?

***— „სიტი" არავინ იყიდა?***

— „სიტის" ვინ იყიდის?

***— და გაზა?***

— გაზა გაყიდულია.

***— არა, თუ დაგესიზმრა?***

— ყოველამე არ მესიზმრება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანია. ბუნდესლიგა. მე-2 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 19 აგვისტო | | | |
| 002 | მიუნხენ 1860-ვერდერი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 003 | უნტერჰახინგი-ფრაიბურგი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 004 | ვოლფსბურგი-კაიზერსლაუტ. | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 005 | ბოხუმი-ბაიერნი | 4,7 | 3,1 | 1,7 |
| 006 | ჰერტა-ჰამბურგი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 007 | შტუტგარტი-ლევერკუზენი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| | 20 აგვისტო | | | |
| 008 | ჰანზა-შალკე | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 009 | კიოლნი-აინტრახტი | 2,1 | 2,9 | 3,4 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. მე-2 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 19 აგვისტო | | | |
| 012 | ალემანია-როიტლინგენი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 013 | ოსნაბრიუკი-მიონხენგლადბ. | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| | 20 აგვისტო | | | |
| 014 | ნიურნბერგი-ალენი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 015 | ნიურნბერგი-ალენი | | | |
| | 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 016 | მაინცი-კიკერსი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 017 | ობერჰაუზენი-დუისბურგი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 018 | ზაარბრიუკენი-ფიურტი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| | 21 აგვისტო | | | |
| 019 | ულმი-არმინია | 1,9 | 3,0 | 3,8 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. 1-ლი ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 19 აგვისტო | | | |
| 020 | ჩარლტონი-სიტი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 021 | ჩელსი-ვესტ ჰემი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 022 | ქოვენთრი-მიდლსბრო | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 023 | დერბი-საუთჰემპტონი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 024 | ლიდსი-ევერტონი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 025 | ლესტერი-ასტონ ვილა | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 026 | ლივერპული-ბრედფორდი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 027 | ლივერპული-ბრედფორდი | | | |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 028 | სანდერლენდი-არსენალი | 3,6 | 2,9 | 2,0 |
| 029 | ტოტენჰემი-იფსვიჩი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 030 | ტოტენჰემი-იფსვიჩი | | | |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | 20 აგვისტო | | | |
| 031 | მანჩესტერი-ნიუკასლი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 032 | მანჩესტერი-ნიუკასლი | | | |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. მე-2 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 21 აგვისტო | | | |
| 033 | არსენალი-ლივერპული | 2,1 | 2,9 | 3,4 |

### ინგლისი. I დივიზიონი. მე-2 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 19 აგვისტო | | | |
| 035 | ბარნლი-უიმბლდონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 036 | ქრიუ-ბლექბერნი | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 037 | ნორვიჩი-ნოტინგემი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 038 | პორტსმუთი-გრიმსბი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 039 | პრესტონი-შეფილდი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 040 | უენსდი-ჰადერსფილდი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 041 | სტოკპორტი-ვულვერჰემპტონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 042 | ტრანმერი-ჯილინგემი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 043 | უოტფორდი-ბარნსლი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 044 | ვესტ ბრომვიჩი-ბოლტონი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| | 20 აგვისტო | | | |
| 045 | კრ.პალასი-ქუინზ პარკი 17.00 | | | |
| | | 2,3 | 2,9 | 3,0 |

### ინგლისი. II დივიზიონი. მე-2 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 19 აგვისტო | | | |
| 047 | ბორნმუთი-კემბრიჯი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 048 | ბრენტფორდი-სუონსი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 049 | ბრისტოლი-სტოკი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 050 | ბერი-რექსემი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 051 | ნოტსი-მილუოლი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 052 | პორტ ვეილი-ოქსფორდი | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| 053 | რედინგი-სუინდონი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 054 | უოლსოლი-ოლდემი | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| 055 | უიგანი-ლუტონი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 056 | უიკომბი-ნორთჰემპტონი | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| | 20 აგვისტო | | | |
| 057 | პიტერბრო-როვერსი 16.00 | 2,4 | 3,0 | 2,7 |

### ინგლისი. III დივიზიონი. მე-2 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 19 აგვისტო | | | |
| 058 | ბრაიტონი-როჩდეილი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 059 | კარდიფი-ბლეკპული | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 060 | დარლინგტონი-ექსეტერი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 061 | დარლინგტონი-ექსეტერი | | | |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 062 | ჰალიფაქსი-ლინკოლნი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 063 | ჰართლპული-ჩესტერფილდი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 064 | ჰალი-პლიმუთი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 065 | ლეიტონი-კარლაისლი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 066 | ბარნეტი-მენსფილდი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 067 | სკანთორპი-კიდერმინსტერი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 068 | შრიუსბერი-მაკლსფილდი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 069 | ტორკი-საუთენდი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 070 | იორკი-ჩელტენემი | 2,1 | 3,2 | 3,1 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-4 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 19 აგვისტო | | | |
| 072 | სენტ ეტიენი-ბორდო | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 073 | ლანსი-ტულუზი | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 074 | მეცი-პსჟ | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 075 | ნანტი-მარსელი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 076 | რენი-სტრასბური | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 077 | სედანი-ლილი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 078 | ტრუა-ოსერი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| | 20 აგვისტო | | | |
| 079 | მონაკო-გენგამი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 080 | მონაკო-გენგამი | | | |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. მე-4 ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 19 აგვისტო | | | |
| 083 | ანჟე-ლე მანი | 2,4 | 2,7 | 3,0 |
| 084 | კანი-მარტიგი | 1,8 | 2,8 | 4,7 |
| 085 | გენიონი-კრეტეი | 1,8 | 2,8 | 4,7 |
| 086 | ლავალი-კაენი | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 087 | ლე ავრი-ნიმი | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 088 | ლორიანი-შატორუ | 2,0 | 2,7 | 4,0 |
| 089 | მონპელიე-ნიორი | 1,35 | 3,8 | 8,0 |
| 090 | მონპელიე-ნიორი | | | |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 091 | სოშო-აიაჩო | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 092 | ვასკეალი-ნიცა | 2,4 | 2,8 | 2,9 |

### პორტუგალია. I ლიგა. 1-ლი ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 19 აგვისტო | | | |
| 094 | პორტუ-ბენფიკა | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 095 | ბრაგა-გიმარაეში | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| | 20 აგვისტო | | | |
| 096 | ავეში-ბელენენსეში | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 097 | სალგეირუში-ფერეირა | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 098 | ჟილ ვისენტე-კამპომაიორენსე | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 099 | ალვერკა-მარიტიმუ | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 100 | ლეირია-ამადორა | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 101 | სპორტინგი-ფარენსე | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 102 | სპორტინგი-ფარენსე | | | |
| | 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |

### პორტუგალია. II ლიგა. 1-ლი ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 20 აგვისტო | | | |
| 103 | ნავალი-მაია | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 104 | ესპინიუ-შავეში | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 105 | მარკუ-სანტა კლარა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 106 | ლამაში-ნასიონალი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 107 | აკადემიკა-ფელგეირაში | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 108 | ვარზიმი-ლეცა | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 109 | პენაფიელი-რიუ ავე | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 110 | ფრეამუნდე-ოვარენსე | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 111 | სეტუბალი-იმორტალი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 112 | სეტუბალი-იმორტალი | | | |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. 1-ლი ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 19 აგვისტო | | | |
| 114 | გრააფსხაპი-პსვ | 6,0 | 3,3 | 1,55 |
| 115 | ბრედა-ვალვაიკი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 116 | ფეიენოორდი-ალკმაარი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 117 | ფეიენოორდი-ალკმაარი | | | |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | 20 აგვისტო | | | |
| 118 | უტრეხტი-ჰერენვენი 17.30 | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 119 | როზენდალი-ნაიმეგენი 17.30 | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 120 | გრონინგენი-ტილბურგი 17.3C | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 121 | ვიტესი-ტვენტე | 1,8 | 3,1 | 4,0 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. 1-ლი ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | 19 აგვისტო | | | |
| 122 | ტელსტარი-ექსელსიორი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 123 | ვენლო-ვოლენდამი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 124 | ჰერაკლესი-ჰაარლემი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 125 | მაასტრიხტი-დენ ბოსხი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 126 | ჰელმონდი-დორდრეხტი | 1,9 | 3,3 | 3,4 |
| 127 | ვეენდამი-იგლსი | 1,8 | 3,3 | 3,6 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 128 | დენ ჰააგი-ოსი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 129 | დენ ჰააგი-ოსი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

21 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 130 | ზვოლე-ემენი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 131 | ეინდჰოვენი-კამბური | 2,3 | 3,1 | 2,8 |

### ბელგია. I დივიზიონი. მე-2 ტური

19 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 132 | სტანდარდი-ლუვიე | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 133 | სტანდარდი-ლუვიე 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 134 | შარლერუა-ჰარელბეკე | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 135 | ანტვერპენი-ბევერენი | 1,9 | 3,3 | 3,4 |
| 136 | ანდერლეხტი-ვესტერლო | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 137 | ანდერლეხტი-ვესტერლო 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 138 | სენტ ტრუიდენი-ლიერსი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 139 | გენკი-აალსტი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 140 | გენკი-აალსტი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 141 | გენტი-მეხელენი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 142 | ლოკერენი-ბეერსხოტი | 2,3 | 3,0 | 2,9 |

20 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 143 | მუსკრონი-ბრიუგე | 2,7 | 3,0 | 2,4 |

### ჩეხეთი. მე-4 ტური

19 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 147 | იაბლონეცი-სპარტა | 7,0 | 3,8 | 1,4 |

20 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 148 | ჟიჟკოვი-ტეპლიცე 13.15 | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 149 | ბლშანი-პრჟიბრამი | 1,65 | 3,3 | 4,0 |
| 150 | ბუდეიოვიცე-ბანიკი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 151 | დრნოვიცე-ბოჰემიანსი | 1,8 | 3,2 | 3,8 |

### პოლონეთი. მე-5 ტური

19 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 152 | ვისლა-პოგონი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 153 | რუხი-პოლონია | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 154 | ზაგლებე-ვიძევი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 155 | შლიონსკი-სტომილი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 156 | ამიცა-კატოვიცე | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 157 | ამიცა-კატოვიცე 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| 158 | პლოცკი-ოდრა | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 159 | ლეგია-გურნიკი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 160 | ლეგია-გურნიკი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 161 | რაძიონკოვი-გროცლინი | 2,0 | 2,9 | 3,6 |

### თურქეთი. მე-2 ტური

19 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 163 | იეთფა-რიზე | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 164 | ანკარაგიუჯიუ-ქოჯაელი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 165 | იოზგათი-დენიზლი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 166 | გალათასარაი-ერზურუმი | 1,1 | 7,0 | 15,0 |
| 167 | გალათასარაი-ერზურუმი 0:1 | 1,3 | 4,0 | 4,8 |

20 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 168 | ტრაბზონი-ბურსა | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 169 | ტრაბზონი-ბურსა 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 170 | გაზიანთეფი-სამსუნი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 171 | გენჩლერბირლიგი-ადანა | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 172 | ფენერბაჰჩე-ისთანბული | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 173 | ფენერბაჰჩე-ისთანბული 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

### შოტლანდია. მე-5 ტური

19 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 174 | აბერდინი-ჰიბერნიანი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 175 | დანდი იუნ.-სენტ ჯონსტონი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 176 | ჰართსი-სელტიკი | 4,2 | 3,0 | 1,8 |
| 177 | კილმარნოკი-მოზერუელი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 178 | რეინჯერსი-დანფერმლაინი | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 179 | რეინჯერსი-დანფერმლაინი 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |
| 180 | სენტ მირენი-დანდი | 2,9 | 3,0 | 2,3 |

### შოტლანდია. გადადებული მატჩი

20 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 181 | დანდი-დანდი იუნაიტედი | 1,9 | 3,1 | 3,6 |

### ავსტრია. მე-8 ტური

19 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 182 | ადმირა-ბრეგენცი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 183 | აუსტრია-ლინცერი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 184 | აუსტრია-ლინცერი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 185 | გრაცერი-შტურმი | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| 186 | ტიროლი-ზალცბურგი | 1,8 | 2,9 | 4,4 |

20 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 187 | რიდი-რაპიდი | 3,6 | 2,9 | 2,0 |

### შვეიცარია. "ა" ჯგუფი. მე-7 ტური

19 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 189 | არაუ-ლოზანა | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 190 | ლუგანო-ქსამაქსი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 191 | სერვეტი-ბაზელი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 192 | ივერდონი-გრასჰოპერი | 3,1 | 3,0 | 2,2 |

20 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 193 | ციურიხი-ლუცერნი | 1,9 | 2,9 | 4,0 |

### შვეიცარია. "ბ" ჯგუფი. მე-9 ტური

19 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 194 | სოლოთურნი-კარუჟი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 195 | ვანგენი-ლოკარნო | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 196 | ვინტერთური-ვილი | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 197 | ბელინცონა-დელემონი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 198 | კრინსი-თუნი | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| 199 | იანგ ბოისი-ბადენი | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| 200 | იანგ ბოისი-ბადენი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

### დანია. მე-5 ტური

19 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 201 | ბრიონდბიუ-ჰერფიოლგე | 1,5 | 3,6 | 5,6 |

20 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 202 | ორჰუსი-აკადემისკი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 203 | სილკებორგი-ოდენსე | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 204 | ვიბორგი-ჰადერსლევი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 205 | ვიბორგი-ჰადერსლევი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 206 | ლიუნგბიუ-ოლბორგი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

21 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 207 | მიდტიულანდი-კოპენჰაგენი | 2,7 | 3,0 | 2,4 |

### რუსეთი. 22-ე ტური

19 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 209 | დინამო-ლოკომოტივი | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 210 | ნ.ნოვგოროდი-კრილია | 2,4 | 3,0 | 2,4 |
| 211 | როტორი-ფაკელი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 212 | ტორპედო-როსტსელმაში | 1,45 | 3,5 | 7,0 |
| 213 | ტორპედო-როსტსელმაში 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 214 | ჩერნომორეცი-ალანია | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 215 | სატურნი-ურალანი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 216 | სატურნი-ურალანი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

20 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 217 | ანჟი-სპარტაკი | 3,5 | 3,0 | 2,0 |

### შვედეთი. მე-16 ტური

19 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 218 | ჰელსინგბორგი-გეტებორგი | 2,4 | 3,0 | 2,7 |

20 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 219 | ნორჩიოპინგი-ჰალმსტადი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 220 | სუნდსვალი-აიკ | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 221 | იორგრიტე-ფრიოლუნდა | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 222 | იორგრიტე-ფრიოლუნდა 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

21 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 223 | გაის-ტრელებორგი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 224 | ჰამარბი-ჰეკენი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 225 | იორებრო-ელფსბორგი | 2,2 | 3,0 | 3,1 |

### ნორვეგია. მე-20 ტური

20 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 226 | ბოდიო გლიმტი-ლილესტრ. | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 227 | ბრინი-სტაბეკი | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 228 | მოსი-ჰაუგესუნდი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 229 | ოდ გრენლანდი-რუსენბორგი | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 230 | სტარტი-ვიკინგი | 3,8 | 3,2 | 1,8 |
| 231 | ვოლერენგა-ბრანი | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| 232 | ტრომსიო-მოლდე | 1,9 | 3,3 | 3,4 |

### იტალია. თასის მე-3 ტური

20 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 233 | კიევო-პიაჩენცა | 2,3 | 2,7 | 3,2 |
| 234 | მონცა-ვიტერბეზე | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 235 | სამპდორია-ემპოლი | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 236 | კროტონე-ფერმანა | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 237 | ატალანტა-პისტოიეზე | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 238 | რავენა-აველინო | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 239 | ჩიტადელა-კალიარი | 2,7 | 2,7 | 2,6 |
| 240 | სალერნიტანა-ასკოლი | 1,5 | 3,0 | 7,0 |
| 241 | ტორინო-ტერნანა | 1,5 | 3,0 | 7,0 |
| 242 | ჩეზენა-ვარეზე | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 243 | ვენეცია-სიენა | 1,4 | 3,3 | 7,5 |
| 244 | სავოია-პესკარა | 2,3 | 2,8 | 3,1 |
| 245 | ანკონა-კოზენცა | 2,3 | 2,7 | 3,2 |
| 246 | პიზა-ჯენოა | 2,3 | 2,8 | 3,1 |
| 247 | ბრეშელო-ტრევიზო | 3,0 | 2,7 | 2,4 |
| 248 | ბრეშა-ალძანო | 1,4 | 3,3 | 7,5 |

### ესპანეთი. სუპერთასი. I მატჩი

20 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 249 | ესპანიოლი დეპორტივო | 2,4 | 2,9 | 2,8 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ**

# მურნინგი შურის აწევას გადაურჩა

## სიდნეის ოქრომდე მამა ალონზოს ყველაზე ძვირფას საჩუქარს მიართმევენ

*„მაიამი ჰითის“ ცენტრი ალონზო მურნინგი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთი უპირველესი სუპერვარსკვლავია. ერთ თვეში მურნინგი ამერიკის ნაკრების შემადგენლობაში სიდნეის ოლიმპიადაზე ითამაშებს. მერე კი ლიგის მორიგი ჩემპიონატიც დაიწყება.*

*ამ ინტერვიუში მურნინგი საუბრობს ოლიმპიადაზე, ამერიკის ნაკრებზე, „მაიამი ჰითზე“ და... ალონზო მურნინგზე.*

**— როგორ ემზადებით ოლიმპიური თამაშებისთვის?**

— ჯერჯერობით მხოლოდ დავრბივარ და შტანგით ვვარჯიშობ. ძირითადად ფიზმომზადებას ვაქცევ ყურადღებას. 26 აგვისტოს ჩვენი გუნდი ჰავაის კუნძულებზე გაემგზავრება შეკრებაზე. ოლიმპიადისთვის კარგ ფორმაში ვიქნებით.

**— ოლიმპიადის შემდეგ ასოციაციის ჩემპიონატი იწყება. ამერიკის ნაკრების წევრები არ გადაიღლებიან?**

— არა მგონია. ჩვენ ფიზიკურად გამძლე ხალხი ვართ. ოლიმპიადაზე ბევრი ღადებითი ემოცია გვექნება, ამდენად გადაღლა გამორიცხულია. ჩვენ მივეჩვიეთ განუწყვეტლივ მგზავრობას და თამაშს. ერთადერთი ცუდი ის იქნება, რომ სასაათო სარტყელების შეცვლა მოგვიწევს. არც ეგ გახლავთ პრობლემა — თვითმფრინავში დავისვენებთ.

**— შევიტყვეთ, რომ ოლიმპიადის დროს ქალიშვილი უნდა შეგეძინოთ. მართალია, თითქოს ავსტრალიიდან ამერიკაში გამოფრენას, ბავშვის ნახვას და უკან გაბრუნებას აპირებთ?**

— მართალია.

**— კი მაგრამ, არ დაიღლებით. ოლიმპიადაზე ხომ დაძაბული მატჩები გელით?**

— რატომ უნდა დავიღალო? თვითმფრინავში გამოვიძინებ. ვნახოთ, ან პირველი კლასით ვიმგზავრებ, ან ცალკე თვითმფრინავს ვიქირავებ. ორივე შემთხვევაში ფეხების გასაშლელი ადგილი მექნება.

**— ოლიმპიადის მონაწილე რომელიმე გუნდი დაახლოებით მაინც არის ამერიკის ნაკრების დონის?**

— თითქმის ყველა გუნდს ჰყავს ძლიერი მოთამაშეები. მე კანადისა და ავსტრალიის ნაკრებებს ვიცნობ, მათი რამდენიმე წევრი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თამაშობს. ჩინეთს ჰყავს კალათბურთელი, რომელიც „დალას მავერიქსმა“ დრაფტში აიყვანა. ვფიქრობ, წინააღმდეგობას ყველა გაგვიწევს, მაგრამ ჩვენ მაინც ფავორიტები ვართ. სხვა თუ არაფერი, ამდენი ნიჭიერი კალათბურთელი სხვას არავის ჰყავს.

**— თუ არის ამერიკის ნაკრებში ისეთი კალათბურთელი, რომელთანაც ერთად განსაკუთრებით გსურთ თამაში?**

— ვინს კარტერი. მას ფრენის უნარი აქვს და მეტად თვალსასეირო რამეებს აკეთებს. კარტერის პარტნიორობამ, წესით, დიდი სიამოვნება უნდა მომიტანოს.

**— ამერიკის რომელი ნაკრები იყო საუკეთესო?**

— რა თქმა უნდა ის, რომელმაც 1992 წლის ოლიმპიადა მოიგო. შემადგენლობას გადახედეთ --- კრისტიან ლეიტნერის გარდა ყველა „საკალათბურთო დიდების დარბაზის“ წევრია.



ალონზო მურნინგი სეზონის საუკეთესო დამცველის პრიზით

**— „მაიამიში“ რამდენიმე მოთამა... დაიმატა — ედი ჯონსი, ენტონი ... ისონი, სავარაუდოდ, ბრაიან გრ... ნტიც. ჩემპიონობის შანსი გაგ... რდათ?**

— ამ კალათბურთელების მოსვლ... შემდეგ ჩემპიონობისთვის ბრძო... უფრო უნდა გაგვიიოლდეს. მთავარ... ყველანი ჯანმრთელად ვიყოთ.

**— რამდენიმე წელიწადში თქ... ნი იმიჯი შეიცვალა, უფრო ცნობ... ლი გახდით...**

— ამას იმით ვგრძნობ, რომ მ... ხალხი მცნობს. საზოგადოებაში ტრ... ალი მეც მიყვარს. არ მინდა, გულ... მატკივარს მხოლოდ მოედანზე მყ... დავამახსოვრდე.

**— თქვენი კარიერის ყველაზე ... თელ წერტილად რა მიგაჩნიათ?**

— პირველი პროფესიული სეზ... „შარლოტ ჰორნეთსში“ გავატარე. პლ... ოფის პირველ წრეში „ბოსტონ ... ლტიქსს“ ვხვდებოდით. გადამწყვ... ბურთი ჩავაგდე, რომლის წყალო... თაც სერია მოვიგეთ და მეორე წრე... გავედით. დიდებული იყო ის მომენტ... როცა ბილ რასელმა სეზონის საუ... თესო დამცველის პრიზი გადმომცა. ... დნიერებაა, როცა რასელის ნაირი ბ... მბერაზი ადამიანი პატივს დაგდებს. ... დამიჯერებთ, პრიზის მიღებაზე მე... ის გამიხარდა, რასელმა რომ დამ... ლდოვა.

**— ვინ ითამაშა მთავარი რო... თქვენს კალათბურთელად ჩამოყ... ლიბებაში?**

— ძალიან ბევრმა ადამიანმა. შე... ლებელია, მათგან ვინმეს გამოყო... დღეს რომ კალათბურთელი და პირ... ვნება ვარ, ამაში ბევრს მიუძღვის წ... ლილი.

თუმცა, ერთს ვიტყვი: პატრიკ ი... ნგმა კალათბურთის მაღალ დონეზე თ... მაშის სურვილი გამიჩინა. პატრიკი ... მთვის ყოველთვის სამაგალით... მოთამაშე იყო.

**— როგორ გგონიათ, დარჩა კ... ლათბურთში ისეთი რამ, რაც ... იცით?**

— ბევრი რამ. როდესაც იგრძნ... რომ კალათბურთში ახალს ვერაფე... აღმოაჩენ, თამაშს თავი უნდა დაა...



ეროვნული ბიბლიოთეკა





ანა კურნიკოვას ხასიათი სერენა უილიამსმა წაუხდინა

# სერენამ ანა გაიტანა

**ინდიანაპოლისი. ინდიანა. RCA-ს პირველობა. საპრიზო 800 ათასი $**

...მ ჰენმანი გუშინწინ მეოთხედფი-...ში გავიდა. ცინცინატის ტურნირის ...ნალისტმა რვა საუკეთესოში ადგი-...ი მაროკოელ იუნეს ელ აინაუის ...მარცხებით დაიმკვიდრა. მათი მესამე ...რის მატჩი დაძაბული იყო. არაბმა პი-...ველი სეტი მოიგო, რაც მეცხრე გეი-...ში მეტოქის მოწოდების აღებით შე-...ლო. მეორე სეტში ბრიტანელი ამოძ-...ავდა, თამაშის ხარისხი გამოაკეთა და ...ზრდილი უპირატესობით მოიგო. მე-...ე კი იყო მესამე პარტია და ტაი-...ეიკი, რომელშიც ჰენმანის 3:2-ზე, მა-...ოკოელმა ორი თავისი მოწოდება გა-...უშვა, თანაც მეორე ორმაგი შეცდო-...თ. თამაშის ბედიც ამ დროს გადა-...ყდა, ჰენმანმა 4:6, 6:2, 7:6 (7:3) ...იმარჯვა. მეოთხედფინალში ბრაზილი-...ლი გუსტავო კუერტენიც ითამაშებს. ...ნ ახალგაზრდა ამერიკელი, ტეილორ ...ენტი, ორ სეტში დაამარცხა. თავიდან ...ერტენის უპირატესობა აშკარა იყო, ...ნ საწყისი სეტი 6:2 მოიგო, მაგრამ ...ტი ბოლომდე არ გატყდა და იმდე-...მოახერხა, მეორე სეტი ტაი-ბრეიკა-...ე მიიყვანა. მხოლოდ იქ დაიბნა რა-...ომლაც ტიტულიან მეტოქეს თავისი ...ა მისი მოწოდებები თითქმის ერთია-...დ ჩააბარა და... 6:2, 7:6 (7:2) კუერტე-...ის სასარგებლოდ. მომდევნო ეტაპზე ...აზილიელი სამხრეთაფრიკელ უეინ ...ერერას ეთამაშება. ამ უკანასკნელმა ...თობ იოლად ბელგიელი ქსივიერ მა-...ისე დაჯაბნა, ხოლო ცინცინატის „მა-...ტერსის" ჩემპიონს, შვედ ტომას ...კვისტს მესამე წრიდან გასაღწევად ...ერო მეტი ჯაფა დაადგა. მისი მეტო-...მსოფლიოს ექსპირველი ჩოგანი, ეს-...ნელი კარლოს მოია იყო. ენკვისტმა ...ებულად დაიწყო, პირველი სეტი 6:2 ...იგო, მაგრამ უცებ გამოცოცხლებუ-...მა მოიამ მეორე ზუსტად ამ ანგარი-...თ დაინარჩუნა და მესამეშიც ერთობ ...ერგიული ჩანდა, თუმცა შვედის და-...კვნით შტურმს ვერაფერი მოუხერხა ...ა თამაში 2:6, 6:2, 4:6 წააგო. წინ ...ერტენია. მეოთხედფინალში ერთი თა-...ში მაინც კარგი საცქერი უნდა გამო-...დეს.

**...სამე წრე. გუსტავო კუერტენი (ბრაზილია, 1) — ტეილორ დენტი (აშშ) 6:4, 7:6 (7:4); ტომას ენკვისტი (შვედეთი, 4) — კარლოს მოია (ესპანეთი) 6:2, 2:6, 6:4; ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია, 5) — ალბერტ კოსტა (ესპანეთი, 11) 6:2, 6:2; სებასტიან გროსჟანი (საფრანგეთი) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი, 6) 7:6 (7:3), 6:2; ტიმ ჰენმანი (დიდი ბრიტანეთი) — იუნეს ელ აინაუი (მაროკო) 4:6, 6:2, 7:6 (7:2); უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) — ქსავიერ მალისე (ბელგია) 6:4, 6:2**

**ვაშინგტონი. „ლეჯ მეისონ ტენის კლასიკ". საპრიზო 800 ათასი $**

ამ ტურნირის ორგზის გამარჯვებული ანდრე აგასი ვაშინგტონში ზურგის ტრავმას, რომელმაც წინა შეჯიბრიდან გამოთიშა, ჯარჯერობით არ უჩივის. „ლეჯ მეისონ ტენის კლასიკის" მესამე წრეში მან ვაშინგტონელი ებრაელი პოლ გოლდსტეინი იოლად დაამარცხა, მიუხედავად იმისა, რომ ვაშინგტონელს ადგილობრივი ფანები მხურვალედ ქომაგობდნენ. თამაშის დაწყებიდან საათსა და 15 წუთში ტაბლოზე 6:3, 6:2 ენთო და მეტოქენი საპრესკონფერენციო დარბაზისკენ მიიწევდნენ. გოლდსტეინმა აგასი აქო (აბა, რას იზამდა?), ხოტორა პირველმა ნომერმა კი თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მოუთხრო ჟურნალისტებს. „ზურგს ჯერ არ შევუწუხებივარ — აგასიმ ტურნირის დაწყებიდან გასული დრო იგულისხმა — რაც მიხარია და მიკვირს კიდეც, ერთი კია, აქ ერთობ ცივა". ვაშინგტონში მართლაც ამ დროისთვის უჩვეულო სიცივეა... აგასის კი მეოთხეფინალში ბავშვი ელის, მაგრამ მაგარი ბავშვი! ამერიკელი ედი როდიკისთვის წლეულს პირველი პროფესიონალური სეზონია (17 წლისა გახლავთ). ადრე, თებერვალში, ავსტრალიის ღია პირველობის ჭაბუკთა ტურნირი მოიგო და დიდებშიც მაშინ გადავიდა. აქამდე განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია, მარტში „კი ბისკეინზე" აგასისთანაც ითამაშა და წააგო, თუმცა ვაშინგტონში ყმაწვილი ჯანზე ჩანს. მესამე წრეში ძლიერი სლოვაკი, კაროლ კუჩერა ორ სეტში, 7:6 (7:5), 6:1 მოისტუმრა. ანგარიში უჩვენებს, რომ ბრძოლა მხოლოდ პირველ პარტიაში ყოფილა, მეორეში კი ძალაუფლება მთლიანად როდიკის ჩაუგდია ხელში. რაც ამ ახალგაზრდის მაღალ ფიზიკურ კონდიციებზე მეტყველებს.

დანარჩენი თამაშებიდან ჟან-მაიკლ გემბილის ბლიცია გამოსარჩევი. ამერიკელმა ბელგიელი კრისტოფ როშუს ორ სეტში მარტო ერთი გეიმი დაუთმო და 36 წუთში მეოთხედფინალისტი იყო, ხოლო გერმანელი ნიკოლას კიფერი, რომელიც მეოთხედფინალში სწორედ გემბილთან გაარჩევს საქმეს, მესამე წრეში ერთობ დაიღალა. შვეიცარელი ლორენცო მანტა ბოლომდე ჯიუტად იდგა და ცოტა დააკლდა, თავისი არ დამართა ბევრად სახელიან მეტოქეს. კიფერმა მაინც მოიგო...

**მესამე წრე. ანდრე აგასი (აშშ, 1) — პოლ გოლდსტეინი (აშშ, 16) 6:4, 6:2; ალექს კორეჩა (ესპანეთი, 2) — პარადორნ შრიჩაპანი (ტაილანდი) 6:3, 6:1; ნიკოლას კიფერი (გერმანია, 3) — ლორენცო მანტა (შვეიცარია) 5:7, 6:4, 6:4; ჟან-მაიკლ გემბილი (აშშ, 5) — კრისტოფ როშუ (ბელგია) 6:0, 6:1; ბაირონ ბლეკი (ზიმბაბვე, 6) — ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია) 6:1, 6:3; ედი როდიკი (აშშ) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 7:6 (7:5), 6:1; უეინ არტურსი (ავსტრალია) — ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი, 10) 6:3, 6:2; დავიდ პრინოზილი (გერმანია, 14) — ანდრე სა (ბრაზილია) 6:3, 3:6, 6:3**



გუსტავო კუერტენი

**მონრეალი. „დიუმურიე ოუფენ". საპრიზო 1 080 ათასი $**

ხუთშაბათს საჩოგბურთო მონრეალის მთავარი ინტერესის საგანი, „დიუმურიე ოუფენის" მესამე წრის ის თამაში იყო, სადაც ბადის მოპირდაპირე მხარეებზე სერენა უილიამსი და ანა კურნიკოვა იდგნენ. კორტის ტრიბუნებზე 11 ათასი მაყურებელი შეიკრიბა და ჩოგბურთის სექსსიმბოლოსა და დაკუნთული შავი გოგოს დუელს დიდი მონდომებით უჭვრეტდა. თავიდანვე ცხადი გახდა: შეხვედრას უილიამსი მოიგებდა. ამას ადასტურებდა პირველი სეტის მისი ორი ბრეიკი და 6:3 მოგება. მეორე პარტიის დასაწყისში ტურფა ანამ გაიბრძოლა, მესამე გეიმში სამი ბრეიკ-პოინტი გამოიმუშავა და სულ ეს იყო: სამივე მეტოქემ აართვა. მერე კი უილიამს-მანქანამ სიმძლავრეს უმატა და კურნიკოვა სწრაფად, სულ საათსა და სამ წუთში დაამსხვრია: 6:3, 6:2. მეოთხედფინალში გავიდა მეორე ფავორიტიც: მარტინა ჰინგისმა ჩეხ კვეტა ჰრდლიკოვას 6:1, 6:4 მოუგო, ხოლო ლინდსი დევენპორტმა, ეს უკვე მეხუთედ, ფეხი იღრძო და ტურნირს დაემშვიდობა. პრესკონფერენციაზე დიდი ლინდსი შეშფოთებული ჩანდა: „ეს მინდოდა ახლა? ზედ ამერიკის ღია პირველობის წინ... ფეხი გუშინდელი თამაშის მეორე სეტში ვიღრძე, მინდოდა, შევჩერებულიყავი და ეს არ გავაკეთე. ვფიქრობ, შევცდი, ტრავმა იქნებ სერიოზული იყოს."

ზურგის ტრავმამ შეაწუხა ფრანგი ჟული ალარი და ამიტომ ესპანელი კონჩიტა მარტინესი ხელის გაუნძრევლად გავიდა მეოთხედფინალში.

**მესამე წრე. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია,1) — კვეტა ჰრდლიკოვა (ჩეხეთი) 6:1, 6:4; მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) — ლინდსი დევენპორტი (აშშ, 2) 4:3 (ტრავმა); კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 13) — ჟული ალარი (საფრანგეთი) ტრავმა; სერენა უილიამსი (აშშ, 4) — ანა კურნიკოვა (რუსეთი, 11) 6:3, 6:2; ემი ფრეზერი (აშშ) — ანკე ჰუბერი (გერმანია, 6) 6:4, 3:6, 6:4; არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 7) — ჯენიფერ კაპრიატი (აშშ, 13); სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი, 8) — ჩანდა რუბინი (აშშ, 15) 6:4, 6:1.**

# რად უნდა კინგს ჰოლიფილდის ძმარი?

## იმად, რომ ფულის ტომარას პირი მოუკრას

**წინა** უქმეებზე ევანდერ ჰოლიფილდმა ჯონი რუისი დაამარცხა და ასოციაციის (ვბა) მძიმე წონის ჩემპიონი გახდა. ჩემპიონის ტიტული მეოთხედ ერგო ჰოლიფილდს და ამით ისტორიის წიგნებშიაც ჩაეწერა, მაგრამ რა მიიღო უბრალო ბრძოლაში გაჭირვებით მომგებმა ატლანტელმა მებრძოლმა?

რა მიიღო და 5 მილიონი დოლარი. იმას იქეთ კი არაფერი.

ჰოლიფილდი 38 წლისა ხდება. თავისი საუკეთესო ბრძოლები ოთხი წლის წინ ჩაატარა მაიკ ტაისონის წინააღმდეგ. ამ ოთხ წელიწადში დაკარგა ყველა ტიტული, მაგრამ მოიპოვა 100 მილიონი დოლარი. ახლა, ჰოლიფილდი კვლავ ჩემპიონია, ვინაიდან მისი ქამრონნობა დასჭირდა სუპეროლრაშ დონ კინგს, ვისაც სამომავლო კომბინაციები ისე გაუთვლია, რომ მათში აუცილებლად ჭირდება ჰოლიფილდი. როცა ლენოქს ლუისმა ჰოლიფილდი დაამარცხა და სამივე დიდი ქამარი შემოირტყა, ცხადი შეიქმნა, რომ დონ კინგი მძიმე წონის საჩემპიონო ბრძოლას ველარ მოაწყობდა — ლუისის ბანაკი არ მიუშვებდა. ამიტომ დონმა ბრიტების წინდაუხედაობით შედგენილი პირობები ააფრიალა — ასოციაციის (ვბა) ტიტულის დაცვა მე უნდა მოვაწყოო. ლუისმა იუარა. კინგმა სასამართლო მოიგო და ახლა ხელში ჰყავს ჰოლიფილდი — კონტროლირებადი ჩემპიონი.

ჰოლიფილდი ველარ არის დიდი გაქანების მოკრივე. რუისის დონის კაცსაც კი ძლივს აჯობა. მისი ტიტული ფორმალურია, მაგრამ მაინც ტიტულია. თანაც, ჰოლიფილდი ხარბი ვინმეა, ფული დაანახე და ბალდადიდან მოვა. დონ კინგმა იცის, რომ ევანდერი არ შეუშინდება ლუისთან და ტაისონთან ჩხუბს, თუ ათიოდ ტომარა ოქროს დაპირდები.

სხვა საკითხია, ახსოვს თუ არა ლუისს ჰოლიფილდი, ან თუ ახსოვს სჭირდება კი?

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**




დონ კინგი ევანდერ ჰოლიფილდს ლენოქს ლუისთან და მაიკ ტაისონთან საჩხუბრად ამზადებს




კარლ ლუისი

# შესძახებენ წვეროსანთ, ალაჰ აკბარ?

**ავღანეთის** მმართველმა მოძრაობა „თალიბანმა“ განაცხადა, რომ მიუხედავად საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აკრძალვისა, ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რათა მათი ქვეყნის ნაკრები სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე გამოვიდეს. გავრცელებული ინფორმაციით, ავღანელთა ეროვნულ გუნდში მთლიანად კაცები შევლენ. მათი ნაკრების ხერხემალს შეადგენენ მოკრივეები და მოჭიდავეები — სპორტის იმ სახეობათა წარმომადგენლები, რომლებსაც ოლიმპიურ თამაშებზე არაერთხელ მოუპოვებიათ სხვადასხვა სინჯის მედლები.

მაგრამ ახლახან საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ავღანეთს სოკ-ის წევრობა შეუჩერა, მიზეზად კი ის დაასახელა, რომ თალიბები ქვეყანაში სპორტს ვერ აკონტროლებენ. თუმცა, ამაზე თავისი მოსაზრება აქვს ავღანეთის სპორტის მინისტრს შაქურ მუტმეინს. იგი შიშობს, რომ 1936 წლის ბერლინის ოლიმპიადის შემდეგ ავღანეთის გუნდმა შეიძლება პირველად გამოტოვოს სპორტის ეს უდიდესი დღესასწაული.

— ჩვენთვის ცნობილია, რომ მსოფლიოს სპორტიდან ავღანეთის ჩამოშორება აშშ-ს ხრიკებია — განაცხადა მუტმეინმა.

საქმე ისაა, რომ ამერიკელები თალიბებისგან მოითხოვენ მათ ქვეყანაში დამალული „პირველი ტერორისტის“, არაბი ოსამ ბენ ლადენის გადაცემას, რომელსაც ბრალად ედება აფრიკის ორ სახელმწიფოში ამერიკის საელჩოების აფეთქებაში მონაწილეობა.

საგულისხმოა, რომ ავღანური სპორტი მკაცრ ისლამურ კანონებშია მოქცეული. სპორტსმენებს ეკრძალებათ მოკლესახელოიანი მაისურებისა და შორტების ჩაცმა.

ამასთან, ეკრძალებათ წვერის გაპარსვაც, ხოლო ის ურჩები, რომლებიც ამ კანონს დაარღვევენ, ისლამური წესრიგის დამცველთაგან მკაცრად დაისჯებიან.

გარდა ამისა, შეზღუდვები მაყურებელზეც ვრცელდება. მათ ეკრძალებათ ტაშით შეეგებონ თავიანთ სპორტსმენებს, სანაცვლოდ ისინი ვალდებულნი არიან ათლეტებს მიესალმონ შეძახილებით — „ალაჰ აკბარ“!

საინტერესოა, რომ სხვადასხვა ინფორმაციის მიხედვით, ქაბულის სტადიონი არაერთხელ გამოუყენებიათ ცოდვილთა სახალხოდ დასასჯელად.

**გიგა გურასპაშვილი**

# პრინცი იმუქრება, ჩემპიონი ბრალს დებს

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი სოკ-ის სამედიცინო კომისიის მიერ მიღებულ იმ ახლებურ დოპინგ-ტესტს მიესალმა, რომელიც ერიტროპოეტინის (ეპო) გამოვლენის საშუალებას იძლევა.

— მსოფლიოს სპორტისთვის ეს ღირსშესანიშნავი და ბრწყინვალე დღეა. თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ისტორიაში სიდნეის ოლიმპიადა ყველაზე „სუფთა“ იქნება — თქვა სამარანჩმა სევილიაში, ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე.

საინტერესოა, რომ ახლახან ლოზანაში სოკ-ის სამედიცინო კომისიამ მხარი დაუჭირა ოლიმპიადაზე სისხლის ახლებური დოპინგ-ტესტირების დანერგვას. ამგვარი გამოკვლევა ხელს შეუწყობს ეპო-ს აღმოჩენას, რომლის ტრადიციული მეთოდებით დადგენაც აქამდე შეუძლებელი იყო. არადა, ამ აკრძალულმა სტიმულატორმა ბოლო დროს გავრცელების საშიში ფორმები მიიღო.

— ჩვენ საშუალება გვექნება შევამოწმოთ ნებისმიერი სპორტსმენი დღე-ღამის ნებისმიერ დროს — იმუქრება მსოფლიოს სპორტში დოპინგის პირველი მტერი, სოკ-ის სამედიცინო კომისიის ხელმძღვანელი, პრინცი ალექსანდრ დე მეროდი.

აღსანიშნავია ცხრაგზის ოლიმპიური ჩემპიონის, ამერიკელი კარლ ლუისის განცხადება იმის თაობაზე, რომ მძლეოსნობაში დოპინგის პრობლემა ახლა უფრო მწვავეა, ვიდრე ოდესმე. გავიხსენოთ ლინფორდ კრისტის, დაგ უოკერის, დიტერ ბაუმანისა და ხავიერ სოტომაიორის მაგალითი. მართალია, ბაუმანი და სოტომაიორი ოლიმპიადაზე დაუშვეს, მაგრამ ფაქტი ჯიუტია — დოპინგ-სკანდალებში ყველაზე მეტად მძლეოსნები ეხვევიან.

კარლ ლუისი, რომელმაც კარიერა 1997 წელს დაასრულა, დოპინგის თემას არაერთგზის შეხებია. მან სპორტში აკრძალული ნივთიერების გამოყენების წინააღმდეგ პირველად 1988 წლის სეულის ოლიმპიდის მერე გაილაშქრა. სწორედ სეულის ოლიმპიურ თამაშებზე იყო, კანადელმა ბენ ჯონსონმა 100-მეტრიანი დისტანცია რეკორდულ დროში, 9,79 წამში რომ გაირბინა და მთელი მსოფლიო აალაპარაკა. თუმცა მოგვიანებით მას ოლიმპიური ჩემპიონის წოდება ჩამოერთვა, რადგან სტეროიდზე ტესტირებამ დადებითი შედეგი აჩვენა. ჯონსონისთვის ჩამორთმეული ოქროს მედალი კი ლუისს გადაეცა.

ახლა ლუისმა კვლავ წაუყენა ბრალდებები ამერიკისა და მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციებს, სპორტსმენთა მიერ აკრძალული პრეპარატების მიღების ფაქტებს ჩქმალავთო.

—შეგიძლიათ, ნებისმიერი ტესტი ჩაატაროთ და სპორტსმენთა ნებისმიერი რაოდენობა შეამოწმოთ. — ამბობს ლუისი —, მაგრამ ამით რას მიაღწევთ, თქვენ ხომ თავად ჩქმალავთ მათ შედეგებს?

საგულისხმოა, რომ ლუისი სიდნეის ოლიმპიადაზე კონცერნ „ნაიკის“ წარმომადგენლის რანგში ჩავა, თუმცა, როგორც აცხადებს, ზოგიერთი განსაკუთრებით „ბინძური“ ასპარეზობის ყურებას არ აპირებს. შეკითხვაზე, გააქარწყლებს თუ არა თავის გულშემატკივრების იმედებს იმით, რომ ერთი მხრივ სპორტში დოპინგის გამოყენების წინააღმდეგია, ხოლო ამავე დროს თავად უკეთებს რეკლამას ბუნებრივი კომპონენტებით დამზადებულ აბებს, რომლებსაც თავის ტკივილის გასაყუჩებლად დღეში ორჯერ იღებს, ლუისი პასუხობს: „ვცდილობ, ბავშვებს ავუხსნა, რომ მთავარი ის კი არ არის, თუ რას იღებ, არამედ ის, რას არ იღებ. ამ პრეპარატებს ისე ვსვამ, როგორც ვიტამინებს“.

**გიგა გურასპაშვილი**

# სოფელიც არის და სოფელიც

**ჩვენი** ოლიმპიური სოფელი ისტორიაში საუკეთესოაო, ირწმუნებიან სიდნეის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორები.

სოფლის ტერიტორიაზე 1150 ნაგებობაა, რომლებშიც 10 ათასი ათლეტი და 5 ათასი ოფიციალური პირი დაბინავდება. ყველა ეს ნაგებობა დაბალსართულიანი დიზაინის სტილშია დაპროექტებული.

ცხადია, სოფელში არის ყველაფერი, რაც საჭიროა ნორმალური ცხოვრების, დასვენებისა და გართობისთვის.

სხვათა შორის, 5 ათა კაცს ერთდროულად შეუძლია მიუჯდეს სასადილო მაგიდებს.

სოფლიდან ერთი ხელის გაწვდენაზეა მთავარი ოლიმპიური სტადიონი და სხვა სპორტული ბაზები.

ოლიმპიურ თამაშების მონაწილენი 2 სექტემბრიდან თანდათან ჩასახლდებიან სოფელში, სადაც ისინი არც ცხოვრების საფასურს გადაიხდიან და არც თეთრეულის რეცხვისას.

— ვამაყობთ ჩვენი სოფლით — თქვა ავსტრალიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჯონ კოუტსმა.

—უეჭველად, ეს სოფელი საუკეთესოა დღემდე არსებულთა შორის — მხარი აუბა ჯონ კოუტს რობინ მაერმა, ვინც ავსტრალიის კალათბურთელ ქალთა ნაკრების კაპიტანი იყო ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც მისმა გუნდმა ბრინჯაო მოიპოვა.

## XX საუკუნის ფოტომატიანე

# ალფრედ ორტერი



**მეხიკოს** ოლიმპიურ თამაშებზე ამერიკელი ალფრედ ორტერი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონისა და ოთხგზის მსოფლიოს რეკორდსმენის რანგში ჩავიდა. მსოფლიოს ამ უძლიერეს ბადროსმტყორცნელს სამივე ოქრო სამ სხვადასხვა ოლიმპიურ თამაშებზე მოეპოვებინა. ამიტომ მეხიკოში მას გამარჯვებას არავინ უწინასწარმეტყველებდა, მით უმეტეს, რომ ოთხ ოლიმპიურ თამაშებზე გამარჯვება ისტორიას არ ახსოვდა. ისიც გასათვალისწინებელი იყო, რომ ტოკიოს თამაშების მერე მან თავისი ბადრო გადაივიწყა და მეხიკოს სტარტებამდე ორი წლით ადრე განაახლა ვარჯიში.

და მაინც, ორტერმა არც მექსიკის დედაქალაქში დათმო გამარჯვება, რისთვისაც იგი მეხიკოს ოლიმპიური თამაშების გმირად აღიარეს თანამემამულე ბობი ბიმონთან ერთად.

ალფრედ ორტერის ბედის ვარსკვლავი მოულოდნელად მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე ამობრწყინდა. მაშინ, 1956 წელს, მეხიკოს თამაშებისგან განსხვავებით, ორტერი ავსტრალიის ამ ქალაქში ჩავიდა როგორც სრულიად უცნობი სპორტსმენი. მას სპეციალისტთა ვიწრო წრეშიც კი არ იცნობდნენ. მაშინ ოცდახუთისა იყო და ბადროს ტყორცნაში სერიოზული ვარჯიში მხოლოდ ერთი წლის დაწყებული ჰქონდა. ის, რომ ორტერი აშშ-ს ოლიმპიურ ნაკრებში ჩარიცხეს, ეს უკვე დიდი მოულოდნელობა იყო, მელბურნში გამარჯვება კი მართლაც საოცარი რამ იყო — აბა, ერთწლიანი ვარჯიშით ოლიმპიური ჩემპიონი სხვა ვინ გამხდარა?

მელბურნში ორტერმა პირველსავე ცდაზე ბადრო თავის პირად რეკორდზე (55 მეტრი) შორს (56,36 მ) ტყორცნა და ყველასათვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. ამიტომ ჟურნალისტები უმალ დაინტერესდნენ ამ 100-კილოგრამზე მძიმე სპორტსმენით და გაიგეს, რომ ორტერი მძლეოსნობამდე ჯერ ბეისბოლით ყოფილა გატაცებული, მერე — ამერიკული ფეხბურთით.

შინ დაბრუნებული ორტერი კანზასის უნივერსიტეტში ჩარიცხეს, მაგრამ არა ლამაზი თვალების ან ოლიმპიური ჩემპიონობისთვის, არამედ თავისი მათემატიკური ნიჭის წყალობით. ამის მერე სპორტსმენი ორტერის სახელი აღარავის გაუგონია, რადგან მთელი ყურადღება სწავლას დაუთმო და ინჟინრის დიპლომიც მიიღო.

ორტერს გადანახული ბადრო ლამის მთელი ოთხი წლის მერეღა გაახსენდა. რომის (1960) ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე წაივარჯიშა და ყველასთვის მოულოდნელად პირადი რეკორდი გააუმჯობესა (58,11 მ), მაგრამ თანამემამულე მსოფლიოს რეკორდსმენ რიჩარდ ბაბკის დასამარცხებლად ეს საკმარისი არ იყო.

და მაინც, რომში ორტერმა მეხუთე ცდაზე ბადრო 59,18 მ-ზე ტყორცნა და ორგზის ოლიმპიური ჩემპიონიც გახდა.

ამის მერე ორტერი მძლეოსნობიდან კვლავ გაქრა, მაგრამ 1964 წელს ტოკიოს ოლიმპიადისთვის ისევ დაიწყო ვარჯიში და კვლავ ნაკრებში მოხვდა. თუმცა, ერთი შეხედვით „ამომავალი მზის“ ქვეყანაში მას გამარჯვების შანსი პრაქტიკულად არ ჰქონდა. არ ჰქონდა ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩეხოსლოვაკიელი მსოფლიოს რეკორდსმენი ლუდვიკ დანეკი ბადროს მთელი 5 მეტრით შორს ტყორცნიდა, თანაც ორტერი, მისი კარგა ხნის უვარჯიშებლობაც რომ არა, ოლიმპიურ ფინალამდე დაშავდა. უკვე წინასწარ შეჯიბრებაში ტრავმა ძალიან აწუხებდა. ფინალამდე ტკივილგამაყუჩებელი ნემსებიც გაუკეთეს, მაგრამ შვება მაინც ვერ იგრძნო.

ასე იყო თუ ისე, მეხუთე ცდამდე წინ დანეკი იყო, მაგრამ იმ მეხუთემ, ისე როგორც რომში, გამარჯვება ორტერს მოუტანა.

— ტკივილი ძალზე მაწუხებდა, მაგრამ, სამაგიეროდ, სხვა აღარაფერზე ვფიქრობდი. ამიტომ დანეკის ბოლო შედეგით არც დავინტერესებულვარ — იხსენებდა ორტერი, რომელმაც თავის სპორტულ კარიერაში ყველაზე მძიმე გამარჯვება სწორედ ტოკიოში მოიპოვა.

საინტერესოა, რომ ორტერისთვის ტოკიოში ჩასვლაც კი მეტად ძნელი აღმოჩნდა. ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს სამსახურიდან არ უშვებდნენ, რადგან მისი სპორტით გატაცება არ ეპიტნავებოდათ. ამასთან, ორტერს შვებულებაც გამოეყენებინა, მაგრამ პრესამ ისეთი ამბავი დააწია იმ კომპანიის ხელმძღვანელობას, რომ მათაც ხელები აწიეს, ორტერმა კი ჟურნალისტები არ გააწბილა.

ამის მერე ყველა ფიქრობდა, რომ ორტერი თავის ბადროს სამ ოქროს მედალთან ერთად ვიტრინაში მიუჩენდა ადგილს. ასეც მოიქცა.

ორი წლის მერე ცდუნებას ვერ გაუძლო და ვარჯიში განაახლა. შემოდგომაზე პირადი რეკორდიც გააუმჯობესა (63,21 მ), მაგრამ მეხიკოში, ისე როგორც გარდასულ სამ ოლიმპიურ ბრძოლაში, მას გამარჯვებას არავინ უწინასწარმეტყველებდა, მით უმეტეს, რომ როგორც ვთქვით, ოთხი ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ისტორიას არ ახსოვდა. ფიქრობდნენ, რომ ჩემპიონი არაერთგზის მსოფლიოს რეკორდსმენი (68,40 მ) ჯეი სილვესტერი გახდებოდა, მაგრამ ორტერი მეხიკოში წაყვანილ ცოლსა და ორ ქალიშვილს შეპირდა, მეოთხე ოქროსაც მოვიპოვებ, რათა ოჯახის თითოეულ წევრს თითო ოქროს მედალი გვქონდესო.

შეასრულა პირობა კაცმა, რომელიც მთელ თავის სპორტულ შესაძლებლობებს ოლიმპიადებზე ავლენდა. ამიტომაც მას ოლიმპიადების რისხვაც შეიძლება ვუწოდოთ. თუ არ ჩავთვლით აშშ-ს ჩემპიონატებს, სადაც ორტერი ძირითადად საოლიმპიადოდ შესარჩევ შეჯიბრებებში გამოდიოდა, სხვა ასპარეზობებში მხოლოდ ერთხელ გამოვიდა და იქაც გაიმარჯვა. ეს მოხდა 1959 წელს პანამერიკულ თამაშებზე.

ქრისტიან კალენი



...დურბანიდან

# ოვალური რეპორტაჟი სამხრეთ აფრიკიდან

**დღეს** სამი ერის პირველობის ბოლოსწინა, მეხუთე მატჩია, რომლის დამთავრების შემდეგ შეიძლება, არც ერთმა გუნდმა ჯერ კიდევ არ ...ეს, რომელ ადგილზე გავა. ახალი ...ნდია მოიგებს თუ წააგებს, ჩემპი...ის შანსი მაინც დარჩება. ცხადია, ...ჯვებით ისინი მიზანს ძალიან მი...ოვდებიან, მაგრამ ერთი კვირის ...ავსტრალიამაც სულ ცოტა, იგი...გარიშით (და იმდენივე ლელოთი) ...დამარცხა სამხრეთ აფრიკა, მაშინ ...ირს ოზები მოიგებენ. პირველო...თეორიული შანსი მასპინძლებსაც ...„ქურციკებმა" ამისთვის დარჩე...ივე მატჩში უნდა აჯობონ მე...ებს და თანაც პრემიალური ქუ...ც უნდა მოიხვეჭონ, „შავებსა" და ...ბებს" კი იგივეს გაკეთების სა...ება არ უნდა მისცენ. მერე უკვე ...ების შეფარდება დაითვლება. თუ...აფრიკელთა გაჩემპიონების ამბავი ...ფანტასტიკაა, ვიდრე რეალობა. ...ჰანესბურგში გასამართი დღევან...მატჩისთვის გუნდების შემად...ობებში მცირედი ცვლილებებია. ...ძელთა მთავარ მწვრთნელს, ნიკ ...ს ახალგაზრდა დე ვეტ ბარის ...ფლეკით შეცვლამ მოუწია სამ...ედელთა ცენტრში. მცველად ტი...დელპორტი გაამწესა. პერსი მონ...ერის კი სათადარიგოთა სკამზე ...„მიუსაჯა", ისევე როგორც ორი...ან დერ ვესტჰოიზენს, რომელთა...ერთი — იაკო — ნაკრებში საე...პირველადაა მიწვეული. შერკი...მესამე ხაზს კორნ კრიხე დაუბ..., რის გამოც ანდრე ფენტერმა ...ხაზში გადაინაცვლა. აი, სულ ...„ქურციკების" ცვლილებები.

...ბლექსის" დამრიგებელმა უეინ ...კი ავსტრალიასთან ორი კვირის ...ბული შემადგენლობა ხელუხ...ლად დატოვა. მისი აზრით, „შავებს" ...სანანი მარცხის გამოსყიდვას შეეცდებიან და მოსაგებად თავს არ დაზოგავენ. ბურთიც ექნებათ და მოვდინცე ვნახოთ, რას შეძლებენ. მანამდე კი ახალზელანდიელთა ერთ-ერთ საუკეთესო მორაგბეს კრისტიან კალენს მოვუსმინოთ, რომელიც საინტერნეტო საინფორმაციო საშუალება „რაგბი 365"-ისთვის სამი ერის პირველობის მატჩებს მიმოიხილავს.

„ყოველ კვირას ამ რუბრიკის დასაწერად სხვადასხვა ადგილას ვარ. დღეს დურბანიდან გეხმაურებით. ძალიან ცხელა, რაც ნერვებს მიშლის, რადგან ახლა ჩვენთან სიცივისა და წვიმების დროა და მეც იმას ვარ შეჩვეული. სამხრეთ აფრიკამდე კარგად ვიმგზავრეთ. ჩამოსვლისთანავე წავივარჯიშეთ. ზოგიერთი მერე სტადიონზე წავიდა, რათა აქაურთა მატჩი ენახა სამხრეთ აფრიკის პროვინციათა პირველობაზე. მე სასტუმროში დარჩენა და დასვენება ვამჯობინე. ბევრიც პლაჟზე გაიქცა. ჯოში (კრონფელდი) და სკოტი (რობერტსონი) სერფინგითაც გაერთნენ.

რაც ამ მატჩისთვის ვემზადებით, არავინ დაშავებულა. დაგ ჰოულეტი კია ტრავმირებული, მაგრამ იგი ახალ ზელანდიაშივე დაიმტვრა. ის ძალიან ძლიერი მორაგბეა და იმედია, მალე დაგვიბრუნდება. სამშაბათს ერთმა ჟურნალისტმა მითხრა, თუ ლელოს გაიტან წლევანდელ სამ ერზე ყველა შეხვედრაში ერთი ლელო მაინც გექნება გატანილიო. ნამდვილად არ ვიცოდი, ასე თუ იყო. ახლა მთელ გუნდს დავიხმარ და „ქურციკებს" მაინც დაკლელოებ. მას შემდეგ, რაც ახალზელანდიელ მცველთაგან ყველაზე მეტი ლელო დამიგროვდა, ყოველთვის მეკითხებიან გუნდში ჩემს როლზე, სიმართლე თუ გინდათ, გეტყვით — ჩემი აზრით, რეკორდები მათივე დასამხობად მყარდება. სეზონის დასაწყისში ვიცოდი, რეკორდისგან შორს არ ვიყავი. მიზანს მივაღწიე და ახლა დარწმუნებული ვარ, ვინმე ჩემს რეკორდსაც დაამსხვრევს.

„ქურციკები" დე ვეტ ბარის ნაცვლად რობი ფლეკს ათამაშებენ და მის წინააღმდეგ დიდი სიფრთხილეა საჭირო. სამხრეთაფრიკელთა უკანახაზელები მუდამ სახიფათონი არიან.

მატჩის მოახლოებასთან ერთად სულ უფრო ბევრს ლაპარაკობენ — ზღვის დონიდან სიმაღლეზე და, შესაბამის სათამაშო ტაქტიკაზე. ეს ნამდვილად მნიშვნელოვანი საკითხია. იოჰანესბურგში რამდენჯერ მითამაშია და თუ ხანდახან არანაირი პრობლემა არ შემქმნია, ზოგჯერ პირიქით მომხდარა. ამიტომაც მზადება დურბანში ვარჩიეთ.

ასეა თუ ისე, შაბათს ჩვენი მიზანი, რა თქმა უნდა, გამარჯვებაა. თანაც სამი ერის ჩემპიონად გახდომისთვის პრემიალური ქულაც ჰაერივით გვჭირდება, ამიტომაც ბევრს შევუტევთ და თავს არ დავზოგავთ".

რას იტყვით! კრისტიან კალენს მორაგბეობის გარდა წერაც ხომ საკმაოდ კარგად შესძლებია?

სავარაუდო შემადგენლობები

სამხრეთ აფრიკა: ტინუს დელპორტი, ჩესტერ უილიამსი, გრანტ ესტერჰოიზენი, რობი ფლეკი, ბრეიტონ პოლსე, ბრაამ ფან სტრაატენი, ვერნერ სვანეპოლი, ანდრე ფოსი (კაპ.), კორნ კრიხე, იოჰან ერასმუსი, მარკ ენდრიუსი, ანდრე ფენტერი, კობუს ფისახი, შარლ მარე, ოლი ლე რუ; სათადარიგონი: ჯონ სმიტი, ალბერტ ფან დენ ბერგი, ვარენ ბრონსნიჰანი, რობი კემპსონი, იოსტ ფან დერ ვესტჰოიზენი, იაკო ფან დერ ვესტჰოიზენი, პერსი მონგტომერი

ახალი ზელანდია: კრისტიან კალენი, ტანა უმაგა, ალამა იერემია, პიტა ალატინი, ჯონა ლომუ, ენდრიუ მერთენსი, ჯასტინ მარშალი, რონ კრიბი, ჯოშ კრონფელდი, ტეინ რენდელი, ნორმ მაქსველი, ტოდ ბლეკედერი, კის მეუვსი, ენტონ ოლივერი, კარლ ჰოფტი; სათადარიგონი: ლეონ მაკდონალდი, ტონი ბრაუნი, ბაირონ კელეჰერი, სკოტ რობერტსონი, ტროი ფლეველი, გრეგ სომერვილი, მარკ ჰემეტი

**გაიოზ თალაკვაძე**



ახალზელანდიელები დღევანდელი მატჩისთვის დურბანში მოემზადნენ






ივან ტომასი

# ...მილს ზოგჯერ გრძელი ფეხი აქვს

...**მეტრზე** რბენაში ევროპის ჩემპიონი, ივან ტომასი მოატყუეს. ეს მან ...თქვა და ბრალი ბრიტანეთის მძლეოსნობის ფედერაციის თანამშრომლებს ... ტომასი ნაკრებში ვერ მოხვდა, რადგან: „მე მითხრეს, რომ 400 მეტრზე ...ალთა სია 21 აგვისტომდე არ შეივსებოდა და დამარწმუნეს, ოლიმპიურ ...ვე ტურნირზე არ მერბინა, ტრავმას გაიმიზეზებო".

...ასმა წლევანდელი სეზონის უმეტესი ნაწილი მართლაც ტრავმების გამო ...ნა, მაგრამ ახლა ფორმაში შედიოდა და იმ ტურნირის იმედი ჰქონდა, ...ოლოს გერმანულ ლევერკუზენში რომ მოეწყობა. აქაოდა იქ ვირბენ ... და ნაკრებში მიმიღებენო.

...მეტრზე მორბენალთა ბრიტანული სამეული კი უკვე დასახელდა: სიდნე...რკ რიჩარდსონი, შინ ბედლოკი და ჯემი ბოლხი გამოვლენ, ტომასის ...სტებმა მხოლოდ ნაწილობრივ გამოიღო შედეგი — თუ გერმანიაში ... ირბენს, ტომასს ესტაფეტურ ოთხეულში დარჩენილ ვაკანტურ ადგილს ...ფენ. გარდა ამისა, მარკ რიჩარდსონის დასჯის საკითხი მძლეოსნობის ...შორისო ფედერაციის საარბიტრაჟო სასამართლომ უნდა განიხილოს. ...ჩარდსონს ორწლიანი დისკვალიფიკაცია ებოძა, მისი ადგილიც ტომასი... განთავისუფლდება.

...ფილია ტომასი? ეგ არ ვიცით, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, ყვავს კაკალი ...ინაეო...

**დავით გულუა**



# უმკურნალეთ ტურს!

**ველოსპორტის** საერთაშორისო კავშირმა (ვსკ) პარასკევს ეჭვქვეშ დააყენა საფრანგეთის დოპინგთან ბრძოლის საბჭოს (დბს) „ინტელექტუალური პატიოსნება" და მას ბრალი დასდო დოპინგისა და სამკურნალოდ აუცილებელი პრეპარატების ერთმანეთში აღრევაში.

„დბს-ს კომუნიკემ შთაბეჭდილება შექმნა, რომ „ტურ დე ფრანსის" დროს ჩატარებული დოპინგ-კონტროლების 45 პროცენტი დადებითშედეგიანი იყო. ეს არ არის სწორი, მეტიც, უბრალოდ, სიცრუეა და, ვფიქრობთ, შეგვიძლია, ვილაპარაკოთ ეგრეთ წოდებულ ინტელექტუალურ უპატიოსნებაზე" — წერია კომუნიკეში, რომელსაც ხელს აწერენ ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის ანტიდოპინგური და უსაფრთხოების კომისიები.

— თუ მისი მიზანი ის იყო, რომ თავისი არსებობის შესახებ ქვეყანას გაეგო, შეიძლება ჩაითვალოს, რომ საწადელი მშვენივრად აისრულეს — ირონიაც ურევია ვსკ-ს კომისიების კომუნიკეში — ხოლო თუ დოპინგთან ბრძოლის საბჭოს თავისი კომპეტენტურობისა და ობიექტურობის ჩვენება სურდა, ამას ნამდვილად ვერ მიაღწია. ველოსპორტის სამყარომ კიდევ ერთხელ დაინახა, რომ მის გამოყენებას და დაჩაგვრას ცდილობენ იმ მიზეზებისთვის, რომლებსაც დოპინგთან ბრძოლასთან საერთო არაფერი აქვთ.

შეგახსენებთ, გასულ კვირას დბს-მ განაცხადა, რომ 71 მრბოლის 96 ანალიზიდან 43-ში (45 პროცენტი) აკრძალული ნივთიერებების (კორტიკოსტეროიდები, სალბუტამოლი, ტერბუტალინი) კვალი აღმოჩნდა. ეს დოპინგ-კონტროლები წლევანდელი „ტურ დე ფრანსის" დროს განხორციელდა.

ველოსპორტის საერთაშორისო კავშირი მანამდეც ამბობდა, რომ „ტურზე" დოპინგი არავის გამოუყენებია და ახლაც იგივეს იმეორებს. „დანამდვილებით ვამბობთ, რომ წლევანდელ „ტურ დე ფრანსზე" დოპინგის გამოყენების ერთი შემთხვევაც არ დაფიქსირებულა. რამდენიმე მრბოლის შარდში ზოგიერთი აკრძალული ნივთიერების აღმოჩენას გასამართლებელი მიზეზი აქვს. სპორტსმენთა გარკვეული რაოდენობა სამკურნალოდ იყენებდა სხვადასხვა წამლებს, ეს გუნდების ექიმებს ოფიციალურად აქვთ დაფიქსირებული, რაც ანტიდოპინგური კონტროლის წესებით სავსებით დასაშვებია" — ვკითხულობთ წინა პარასკევს გამოქვეყნებულ კომუნიკეში. იქვე ისიც წერია, რომ მხოლოდ ორი შემთხვევაა საეჭვო, ოღონდ მათ ძირისძირობამდე შეუსწავლელად დოპინგზე საუბარი მაინც ნაადრევიაო.

ხუთშაბათს კი საფრანგეთის ექიმთა გაერთიანებამ განაცხადა, რომ „ექიმები, რომლებიც ჯანმრთელ ადამიანებს მედიკამენტებს გამოუწერენ, სამართლის ძალით დაისჯებიან. „ჩვენ გაოცებულნი ვართ, თუ რამდენი სპორტსმენი იღებს კორტიკოიდებისა და ბრონქილატორების შემცველ პრეპარატებს, რომლებითაც ჩვეულებრივ სერიოზული ან მძიმე ავადმყოფები სარგებლობენ" — ამბობენ ფრანგი ექიმები.

თავის მხრივ საფრანგეთის ახალგაზრდობისა და სპორტის მინისტრმა მარი-ჟორჟ ბიუფემ განაცხადა, რომ სპორტიდან დოპინგის გასადევნად დროა საჭირო. რაც შეეხება სპორტსმენთა კალენდარს, იგი, ქალბატონი მინისტრის აზრით, ერთობ გადატვირთულია და მათ სწორედ ამიტომაც სჭირდებათ სხვადასხვა წამლები თითქმის მუდმივად.

**გაიოზ თალაკვაძე**



დოპინგთან ბრძოლის საბჭომ „ტურს" ჯვარი ვერ დასწერა

## გერმანია

II ტური

კოტბუსი 1:4 დორტმუნდი

0:1 ევანილსონი (9), 0:2 სტევიჩი (59), 0:3 ჰერლიხი (64), 1:3 მირიუტა (68), 1:4 ჰერლიხი (81)

II დივიზიონი

II ტური

ქემნიცი 0:2 ჰანოვერი

ზანქტ პაული 5:0 ვალდჰოფი

## ინგლისი

I დივიზიონი

II ტური

ბირმინგემი 1:3 ფულემი

II დივიზიონი

II ტური

კოლჩესტერი 0:1 როტერჰემი

## ჩეხეთი

IV ტური

სინოტი 5:0 პლზენი

ბრნო 0:2 სიგმა

სლავია 1:0 ლიბერეცი

## საფრანგეთი

IV ტური

ბასტია 2:0 ლიონი

1:0 ლაშუე (53), 2:0 ანდრე (61)

II დივიზიონი

IV ტური

ნანსი 3:1 ბოვუა

## ჰოლანდია

I ტური

სპარტა 2:2 როდა

## რუსეთი

XXII ტური

ზენიტი 0:1 ცსკა

## შვეიცარია

VII ტური

სენტ გალენი 3:1 სიონი

## თურქეთი

II ტური

ანთალია 1:2 ბეშიქთაში



# სპიდოიანები

დასრულდა კარგახანს მობობოქრე კამათი იმაზე, მართებდათ თუ არა მოცურავეებს ფირმა „სპიდოს" ახალი საცურაო კოსტიუმების ჩაცმა და რახან ისინი თურმე ცურვის სიჩქარეს ცოტათი ამაღლებენ, უსამართლობა ხომ არ ი[...] სიდნეის ოლიმპიადაზე მათი გამო[...] კოსტიუმები საბოლოოდ მოიწონეს [...] მოცურავეთ ისღა დარჩენიათ, [...] ალკაზმულობით მოიწონონ თავი. აი, [...] სხვადასხვაგვარნი მამათა და მდედრთა [...] წინხედზე მჯდარ რიგიან გოგოს ელკა გრე[...]



# კვანი და კვანი

გამოეწყვნენ ამერიკელი ფიგურულად მოსრიალე მიშელ კვანი, მისი და კარენი და ჰოლივუდს მივიდნენ. მათი ჯანმრთელი ღიმილი და უკარიესო კბილები მავანმა ფოტოგრაფმა ჰოლივუდის ახალი კინოპროდუქტის, ფილმ „უჯრის" წინ აღბეჭდა ფოტოზე. ფილმში ჯენიფერ ლოპესი თამაშობს.

# აბორიგენულ[...]





ხელოვნების ფესტივალი სიდნეიში გუშინ დაიწყო. ერთგან ავსტრალიელ აბორიგენთა ხალხური [...] იქით წყლის სულთათვის ფოთლოვანი მსხვერპლის შეწირვა და ეს რაღაა? წრეები ძალიან დიდ [...] რომ არ შემოწერდნენ, ვიფიქრებდით რომ ლახტი არამარტო ქართველებს გვცოდნია... მაგრამ არ[...] ეს უფრო საგანგებო რიტუალსა ჰგავს, იქაურები ტუბოგულეს, იგივე „წყალთა შეყრას" რომ უწო[...]



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართ[...]
თბილისი, ალექსანდ[...] ყაზბეგის გამზირი 42, კორპუსი, IV სართუ[...]
საფოსტო მისამართ[...] თბილისი — 79, საფოს[...] ყუთი 208. ტელეფონი: 3[...]
ელექტრონული ფოს[...]
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერს[...]
http://www.sarbieli.com[...]